# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№150 (12 829) | 29 ივნისი ორშაბათი 2009 | ფასი 60 თეთრი


# ბრაზილიაა მაინც...

## სელესაო აქაც პირველია



>> გვერდი 6 კონფედერაციათა თასი. ფინალი და მატჩი მესამე ადგილისათვის

# დვალიშვილის პოკერი

## ზაფხულში გავიღვიძეთ



სანდრო იაშვილი

## იაშვილი და მარცვალაძე: ორი მატჩი, ორი გოლი



ოთარ მარცვალაძე



ლადო დვალიშვილი (№10)

>> გვერდი 4 ლეგიონის უქმეები



# ტატიშვილის მეხუთე ტიტული

>> გვერდი 12 წარმატება შვედეთში

# კიდევ ერთი ქალური სენსაცია



## იანკოვიჩიც გავარდა

>> გვერდი 16 უიმბლდონი

# შელია და ხაჩიძე სპარტაკში





>> გვერდი 3

ლეგიონი

## ივანიშვილს ვილში ანათხოვრებენ

შვეიცარიის ჩემპიონ „ციურიხის" დუბლშემადგენლობაში კარგი სეზონი ჰქონდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრ **გიორგი ივანიშვილს**, თუმცა მას „ციურიხის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ამ ეტაპზე გაუჭირდება, ამიტომაც კლუბი მისი იჯარით განათხოვრებითაა დაინტერესებული. შესაძლოა, ეს სეზონი გიორგიმ შვეიცარიის ჩელენჯლიგის „ვილში" გაატაროს. ქართველი ფორვარდი უკვე „ვილთან" ერთად ემზადება ახალი სეზონისთვის მან პირველი გოლიც გაიტანა. „ვილი" „კრიენსს" ამხანაგურად გაეჯიბრა და 1:3 დამარცხდა. ამ მატჩში წაგებულთა ერთადერთი გოლი 66-ე წუთზე ივანიშვილმა გაიტანა, რომელმაც მეორე ტაიმში ითამაშა. მანამდე ჩვენებურმა ქვედა ლიგის „ბაზენჰაიდთანაც" (4:2) ითამაშა, იქაც მეორე ტაიმი.



გიორგი ივანიშვილი

## სპეციალური მადლობა მუჯირს

რუსულ პრემიერლიგაში შესვენებაა და კლუბების უმეტესობა ავსტრიაში შეკრებაზე იმყოფება. ჩემპიონმა „რუბინმა" უკვე ორჯერ ითამაშა. პირველ შეხვედრაში ყაზანელებმა 3:0 მოუგეს ტრნავის „სპარტაკს". თათრულმა გუნდმა ტაიმები სრულიად განსხვავებული შემადგენლობებით ითამაშა. პირველი ტაიმი ითამაშა **დავით კვირკველიამ**, მეორე - **ლაშა სალუქვაძემ**. სხვათა შორის, სალუქვაძე ტრავმის შემდეგ პირველად ვიხილეთ მოედანზე. მეორე ტესტმატჩში „რუბინმა" 6:0 გაანადგურა ავსტრიული „გრატკორნი". ჩვენებურთაგან პირველი ტაიმი მოუწია თამაში ლაშა სალუქვაძეს, ხოლო დავით კვირკველია მეორე ტაიმში გამოჩნდა მოედანზე.

მოსკოვის „ლოკომოტივმა" ავსტრიისჩემპიონი „ზალცბურგი" 2:0 დაამარცხა. **იური სიომინმა** ჩვენებურები მეორე ტაიმში ათამაშა. **დავით მუჯირმა** 63-ე წუთზე სახიფათო საჯარიმო შეასრულა, თუმცა ავსტრიელთა მეკარემ ბოლო მომენტში შეძლო გუნდის გადარჩენა. 67-ე წუთზე კი რუსებმა მარცხენა ფლანგიდან შეუტიეს და ქართველმა ნახევარმცველმა **ალან გაგატოვს** გაატანინა. **მალხაზ ასათიანმა** დამაჯერებლად ითამაშა დაცვაში. სხვათა შორის მატჩის შემდეგ ინტერვიუში (რომელიც „ლოკომოტივის" ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა) მადლობა გადაუხადა მუჯირს ბრწყინვალე საგოლე პასისთვის: „მე მხოლოდ კარგად უნდა „გავხსნილიყავი" და დამერტყა", - აღნიშნა გაგატოვმა. ავსტრიაში ჩავიდა მოსკოვის „სპარტაკიც", თუმცა რუსეთის სახალხო გუნდს ჯერ არ უთამაშია, ძირითად გუნდთან ერთად ავსტრიაშია 16 წლის **ჯანო ანანიძეც**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ერთი ამბის გამო...

# ანაქრონიზმი გრძელდება

რუსთავის „ოლიმპში" ხუთი ბრაზილიელი ფეხბურთელის მისვლას, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, წინ არაფერი დაუდგება. სავარაუდოდ, ამ ხუთეულს „ოლიმპს" ბრაზილიური კლუბი „ატლეტიკო პარანაენსე" მიუყვანს. ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპის ლიგის შესარჩევში „ოლიმპის" განკარგულებაში ეს ხუთივე ბრაზილიელი იქნება. მოკლედ, ძალიან საინტერესო სიახლეა და, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი ინტერესით ველით, რა გუნდი დადგება სანახევროდ ბრაზილიელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული „ოლიმპი".

„ოლიმპის" შესაძლო გაბრაზილიელება მჭექი ამბავი გამოდგა და ამავე დროს - საყურადღებოც. ამ წამოწყებით, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაც დაინტერესდა და სპორტისა და კულტურის სამინისტროც. ისეც მოხდა, რომ „ატლეტიკო პარანაენსეს" წარმომადგენლები საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურ პირებს შეხვდნენ. რა თქმა უნდა, ამაში მიუღებელი არაფერია, კარგიც კია, რომ სახელმწიფო ინტერესდება საკლუბო ფეხბურთის ავან-ჩავანით, თუმცა...

ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა გადაწყვეტილება უკვე მიიღო - 



დავით კირკიტაძე

უმაღლეს ლიგაში სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი კლუბები აღარ დაიშვებიან. შესასრულებლად ეს საკმაოდ რთული გადაწყვეტილებაა, რადგან უცბად, ერთი ხელის მოსმით, სახელმწიფო კლუბები ვერ გადაეწყობიან კერძო სტრუქტურაზე. რუსთავის „ოლიმპი" ფორმალურად არც არასდროს ყოფილა სახელმწიფო კლუბი. საბუთებით ახლაც კერძო კლუბია, მაგრამ რა ხდება რეალურად?

*ამონარიდი „ლელოს" წინა ნომრიდან:*

*მოლაპარაკებებზე ბრაზილიური დელეგაციის მასპინძელი, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **დავით კირკიტაძე** გვესაუბრება.*

*- ნიკა რურუასთან დღეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გვქონდა. მოლაპარაკების შედეგად კონკრეტულ შეთანხმებამდე მივედით. დღევანდელმა მატჩმა (ლაპარაკია „ოლიმპი"-„სიმურგის" საკონტროლო მატჩზე - დ. თ.) მძიმე შთაბეჭდილება დატოვა და დავრწმუნდით, რომ რაც შეიძლება მეტი ბრაზილიელის ჩამოყვანაა საჭირო. მათ გვერდით კლასს ჩვენი მოთამაშეებიც აიმაღლებენ.*

***- იმედია, ფარერებს მაინც მოვუგებთ. აი, მეორე ეტაპზე კი, პოლონელების წინააღმდეგ, „ოლიმპი" ხუთ ბრაზილიელს დაიმატებს. ასეა?***

*- დიახ, 5 ფეხბურთელის დამატების უფლება გვაქვს და გვსურს, ეს ხუთეული „ატლეტიკო პარანაენსედან" იყოს.*

თუ ყურადღებით ჩაიკითხავთ ამ ამონარიდს, მიხვდებით, თუ რარიგ კერძო სტრუქტურას წარმოადგენს საფეხბურთო კლუბი „ოლიმპი". **ნიკა რურუა** კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გახლავთ, დავით კირკიტაძის თანამდებობა კი ამონარიდშია მითითებული.

ახლა ისიც ვიკითხოთ, სიყალბესთან გვაქვს თუ არა საქმე? საკითხის პოზიტივში გადატანა გვაძლევს ვარაუდის შესაძლებლობას - ფედერაცია ვალდებული იყო, ასეთი გადაწყვეტილება მიეღო და თუ ყველაფერი რეალურად სხვანაირადაა, ეს მხოლოდ ამ ეტაპზე, პროცესი ნელ-ნელა დაიწყება და მალე მართლა აღარ იარსებებენ სახელმწიფო კლუბები, მალე ქართული საკლუბო ფეხბურთი ანაქრონიზმს თავს დააღწევს.

როგორც უნდა იყოს, ფედერაციის გადაწყვეტილება უკვე იურიდიული დოკუმენტია და ყველა კლუბი ვალდებულია, ოფიციალურად მაინც წარმოადგენდეს კერძო სტრუქტურას. ილუზია კი, ალბათ, უნდა გაქრეს - დამდეგ სეზონში (ფაქტობრივად) სახელმწიფო კლუბებისგან დანარჩენები ძველ ფანდებს ისევ უნდა ელოდონ, თუნდაც უსაფრთხოების მიზნით...

**დავით თავართქილაძე**

ლოკომოტივი

# ახალი მწვრთნელი გელა სანაია
# არ მეშინია!



გელა სანაია

**თბილისის „ლოკომოტივს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს - 31 წლის გელა სანაია. საფეხბურთო სამყარო ამ მწვრთნელს ჯერ კარგად არ იცნობს, თუმცა გაცნობამდე დიდი დროც აღარ დარჩა - ახალი სეზონი ხომ დაახლოებით ერთ თვეში დაიწყება. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ გელა გახლავთ გიორგი და ვახო სანაიების ძმა და მედიასთან ურთიერთობაში, ალბათ, პრობლემა არ ექნება.**

**„ლელოსთან" ინტერვიუში სანაია ახალი „ლოკომოტივის" გეგმებზე, სტრატეგიასა და საკუთარ პრინციპებზე საუბრობს...**

**- რამდენიმე დღეა, რაც „ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნეთ. საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდით იმის გათვალისწინებით, თუ რა ვითარებაა ამ კლუბში. როგორია თქვენი პირველი ნაბიჯები, როგორ შეუდექით ახალ საქმეს?**

- გუნდის დაკომპლექტებაზე ვმუშაობ. ის ახალგაზრდები, რომლებიც გამორჩეულები იყვნენ „ლოკომოტივი 2-ში", პირველ გუნდში გადავიყვანეთ. ვაპირებ, რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდის დამატებას სხვა გუნდებიდანაც. ვმუშაობთ იმაზეც, რომ „ლოკომოტივში" შევინარჩუნოთ რამდენიმე ფეხბურთელი.

**- რაკი ამაზე მუშაობთ, ალბათ, გარკვეული დაფინანსების იმედი გაჩნდა...**

- ასეა, რაღაც დაფინანსება იქნება. თუმცა, რა თქმა უნდა, „ლოკომოტივის" ფინანსური შესაძლებლობები დიდი არ არის.

**- დაახლოებით როდის გამოიკვეთება ის ბირთვი, რომელზეც უნდა დაშენდეს გუნდი?**

- ეს რამდენიმე დღეში გაირკვევა. ცხადია, მარტო ახალგაზრდა ფეხბურთელებით ფონს ვერ გავალთ და რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელიც დაგვჭირდება, ისეთები, რომლებიც სულით და ხორცით ლოკომოტიველები არიან, გაჭირვებასა თუ ლხინში ამ გუნდში იყვნენ და „ლოკომოტივზე" მართლაც რომ შესტკივათ გული. კლუბის პრეზიდენტ ლექსო თოფურიას მადლობლები ვართ, ასეთი ტრადიციული გუნდი რომ შეუნარჩუნა უმაღლეს ლიგას.

**- საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ დამდეგ ეროვნულ ჩემპიონატში ისეთი გუნდები ითამაშებენ, სტაბილური დაფინანსება რომ ექნებათ. ანუ არ იქნება ისეთი გუნდი თუ გუნდები, წინა სეზონში, მაგალითად, „ბორჯომი" რომ იყო. უმაღლესი ლიგის ასეთ შემადგენლობაში რა შანსი უნდა ჰქონდეს „ლოკომოტივს"?**

- ჩვენ არ ვიქნებით ფავორიტები, მაგრამ არა მგონია, „ბორჯომის" ვარიანტი განმეორდეს. ამიტომაც ვცდილობთ იმას, რომ ნიჭიერი ახალგაზრდების გარდა, გუნდი გამოცდილი ფეხბურთელებითაც დავაკომპლექტოთ. 12:0 და მსგავსი ანგარიშები „ლოკომოტივთან" არ იქნება.

**- ამ დროისთვის რომელმა ფეხბურთელებმა დატოვეს „ლოკომოტივი" და ვინ დარჩება გუნდში?**

- ჩირიკაშვილი, კახელიშვილი, დიაკვნიშვილი და მახარაძე წავიდნენ. დანარჩენებთან კი მოლაპარაკება მიდის. კლუბი მათ შემცირებულ ხელფასს სთავაზობს, მაგრამ გაცილებით უკეთესი პერსპექტივის იმედად ვართ.

**- რამდენი ვარჯიში ჩაატარეთ „ლოკომოტივში"?**

- ხუთი. ჯერ ფიზიკურ მომზადებაზე გვაქვს აქცენტი გადატანილი, ფეხბურთელები ვაკის პარკში დარბიან.

**- თქვენ, ფაქტობრივად, უცნობი მწვრთნელი ხართ. გვიამბეთ გელა სანაიას განვლილი საფეხბურთო გზაზე...**

- „ლოკომოტივი 2-მდე" „ვიტ ჯორჯიას" ჭაბუკთა ლიგის გუნდებში ვმუშაობდი მწვრთნელად. აფხაზეთიდან ვართ. 14-15 წლის რომ ვიყავი, მაგ პერიოდში დავანებე თამაშს თავი. ფეხბურთზე დავდიოდი გულრიფშის „კოლხეთში", რომელიც ფაქტობრივად სოხუმის „ცხუმის" ფარმკლუბი იყო. მაქვს მწვრთნელის A ლიცენზია.

**- „ვიტ ჯორჯიადან" თუ არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებმაც თქვენს ხელში გაიარეს და ახლა ამ კლუბის პირველ გუნდში არიან? „ლოკომოტივი 2-დან" ადრე ვინ დაწინაურდა პირველ გუნდში?**

- როგორ არა? - მიხეილ როსტიაშვილი და ბექა ზაქრაძე. რაც შეეხება „ლოკომოტივს", უკვე მესამე წელია, რაც ამ კლუბში ვმუშაობ. წინა სეზონში საკმაოდ კარგი მეორე ლიგა იყო, დაძაბული და საინტერესო, აღმოსავლეთი ზონა მოვიგეთ და პირველ ლიგაში გადავედით.

**- არცთუ დიდი გამოცდილებით უმაღლესი ლიგის გუნდის მწვრთნელი გახდით. რა თქმა უნდა, ყველა რაღაცით და საიდანღაც იწყებს, მაგრამ ეს ყველაფერი თავისებურ რისკთანაა დაკავშირებული. როგორ მიგაჩნიათ, „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი თუ გახდით, ეს თქვენთვის უფრო რისკია თუ გამოწვევა?**

- უფრო რისკია, თუმცა, ამავე დროს, გამოწვევაცაა. არ მეშინია და ასეთი საქმისთვის მზად ვარ, გააზრებული ნაბიჯი გადავდგა. რა თქმა უნდა, უფრო სასიხარულო იქნებოდა, ფინანსურად წელგამართული გუნდის მწვრთნელი ვყოფილიყავი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამის გამო, „ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელად მუშაობაზე უარი არ უნდა მეთქვა.

**- უმაღლესი ლიგის გუნდის მთავარ მწვრთნელობას, ალბათ, ცხოვრებისეული გამოცდილებაც სჭირდება. დაგვეთანხმებით, მწვრთნელობაში ძალიან მნიშვნელოვანია ფეხბურთელებთან ურთიერთობის ფაქტორი.**

- დღევანდელ ფეხბურთში მარტო ვარჯიში და თეორია არ არის საქმე. რაც შეეხება ფეხბურთელებთან ურთიერთობას, არა მგონია, პრობლემა შემექმნას ახალგაზრდა თუ ჩემი თაობის ფეხბურთელებთან. თანამედროვე ფეხბურთში არაერთი შემთხვევაა, როცა მწვრთნელი გუნდის ზოგიერთ ფეხბურთელზე ახალგაზრდაა.

**- შეიძლება ითქვას, გელა სანაია „ლოკომოტივის" მკაცრი მწვრთნელი იქნება?**

- ქართული ფეხბურთი ყველგან დასაცინი და აბუჩად ასაგდები გახდა. ფეხბურთელმა მაყურებელს პატივი უნდა სცეს და მოედანზე ბოლომდე დაიხარჯოს. ეს იქნება ჩემი პირველი მოთხოვნა, ამ საკითხში მართლაც მკაცრი ვიქნები. რა თქმა უნდა, კარგად მესმის, რომ ფინანსურად არცთუ სახარბიელო სიტუაციაში ფეხბურთელს; ფეხბურთის თამაშის გარდა, ბევრი სხვა საფიქრალიც უჩნდება - როგორ მიიტანოს ფული სახლში, როგორ არჩინოს ოჯახი... მაგრამ ფეხბურთელმა მაყურებელს მაინც პატივი უნდა სცეს და მოედანზე თავი დადოს. სხვათა შორის, ასეთი მოთხოვნის შესრულება ევალება მწვრთნელსაც.

**- ზოგადად რა სტრატეგიას აირჩევს „ლოკომოტივი„?**

- კურსი ასეთია: ახალგაზრდები კარგ გზაზე დავაყენოთ და ისე დავაწინაუროთ, რომ უკეთესი ლიგის გუნდში გავასხვისოთ. მიმართულება დაახლოებით ისეთი იქნება, როგორიც დანიურ და ჰოლანდიურ გუნდებს აქვთ.

**- წინ არაერთი სირთულე გელით, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს ჩემპიონატში ბევრია გარიგებული მატჩი, ალბათ, არც ზოგი მსაჯია უცოდველი. ყველაფერ ამასთან გამკლავება იოლი არ უნდა იყოს, მით უმეტეს, გამოუცდელი მწვრთნელისთვის...**

- თუ ვინმე სიბინძურეში გარევას შემომთავაზებს, ყველაფერს სააშკარაოზე გამოვიტან. ამ ხელმძღვანელობის დროს „ლოკომოტივი" ყოველთვის იცავდა „ფეარ პლეის" პრინციპებს.

**დავით თავართქილაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

სპარტაკი

# ხაჩიძე მთავარი მწვრთნელია, შელია ვიცე-პრეზიდენტი


მურთაზ შელია


ვლადიმერ ხაჩიძე

ცხინვალის „სპარტაკში“ მნიშვნელოვანი ცვლილებებია - კლუბის ვიცე-პრეზიდენტად ცნობილი ქართველი ფეხბურთელი **მურთაზ შელია** დაინიშნა, მან კი სამწვრთნელო შტაბი მთლიანად შეცვალა.

„კლუბის მეპატრონეებმა მართვის ბერკეტები მურთაზ შელიას გადააბარეს, რომელიც თავისი გუნდით მოვიდა. მთავარ მწვრთნელად ვლადიმერ ხაჩიძე დაინიშნა, მის ასისტენტად გელა ინალიშვილი იმუშავებს, მეკარეების მწვრთნელად - დათო გვარამაძე. „სპარტაკში“ რჩება ყოფილი მთავარი მწვრთნელი სერგო გაბელაიაც, რომელიც სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის გენერალური მდივანიც გახლავთ. დიდი ცვლილებებია შემადგენლობაშიც. კლუბი დატოვეს ირაკლი სირბილაძემ (რუსთავის „ოლიმპში“ წავიდა), აღარ გამოჩენილა მეკარე გიგა იაშვილი, ბოლნისის „სიონს“ დაუბრუნდნენ მურმან ქურასბედიანი და გიორგი ოქროპირიძე, საყრდენი ნახევარმცველი, ახალგაზრდული ნაკრების წევრი თემურ შონია კი უკრაინის ერთ-ერთ კლუბში ისინჯება. „სპარტაკში“ ვარჯიშობენ „მესხეთის“ მეკარე ზურაბ ბათიაშვილი, „ლოკომოტივის“ ნახევარმცველი ირაკლი ჩირიკაშვილი, გვსურს უგუნდოდ დარჩენილი ფრიდოლინ ბოიომოს მოწვევაც. ამჟამად ჩვენთან 60-დე (?!) ფეხბურთელი ისინჯება, მაგრამ მათ უმრავლესობას შეველევით. საბოლოო სიას კრების შემდეგ დავასახელებთ. ჩვენი სურვილი შემადგენლობის რადიკალური გაძლიერებაა“, - გვითხრა „სპარტაკის“ მენეჯერმა **ჯემალ ჭიპაშვილმა**.

ცხინვალელები, ალბათ, უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ, რადგან სპორტული პრინციპით უმაღლესში დარჩენილ ახალციხის „მესხეთსა“ და პირველი ლიგის გამარჯვებულ თბილისის „ამერს“ არც ფული აქვთ და არც ლიცენზია. ამდენად, უმაღლესში თამაშის უფლებას, წესით, ლიცენზიისა და ფულის მქონე „გაგრას“, „სპარტაკსა“ და „სამტრედიას“ მიანიჭებენ.

„სპარტაკი“ წელსაც სოლიდურად დაფინანსდება. ჭიპაშვილის თქმით, ახალ სეზონში გუნდის მიზანი ხუთეულში მოხვედრა იქნება. სხვათა შორის, შარშან „სპარტაკი“ ბიუჯეტით საუკეთესო ქართული კლუბების ხუთეულში შედიოდა.

ლეგიონერი

# ფანცხავას პირველი გოლი მეტალისტში

## უკრაინელებს კონტრაქტის გამოსყიდვა სურთ

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი **ვახტანგ ფანცხავა** ხარკოვის „მეტალისტში“ ისინჯება. ის ორი წლის განმავლობაში საფრანგეთის უმაღლესლიგელ „ლე მანის“ დუბლებში ვარჯიშობდა, გასულ სეზონში ჩატარებულ 16 მატჩში კი 9 გოლი გაიტანა. უკრაინული კლუბი ქართველით იმ მენეჯერებმა დააინტერესეს, რომლებიც ხარკოველთა წამყვან მოთამაშეებთან თანამშრომლობენ.

ხარკოვის „მეტალისტმა“ წელს მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. გუნდი უეფას თასის ბოლო გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა, უკრაინის ჩემპიონატი კი მესამე ადგილზე დაასრულა. ვახტანგმა კლუბის მაისურით პირველი შეხვედრა ამ შაბათს, 27 ივნისს, ჩერვონოგრადის „შახტიორის“ წინააღმდეგ ჩაატარა. 19 წლის ფორვარდი ძირითად შემადგენლობაში დააყენეს და პირველივე მატჩში თავი გამოიჩინა. 30-ე წუთზე მან **სლუსარის** გადაცემა ზუსტი თავურით დააგვირგვინა. „მეტალისტმა“ 4:0 გაიმარჯვა. მეორე ტაიმში ხარკოველთა შემადგენლობა მთლიანად შეიცვალა და მოედანი ფანცხავამაც დატოვა.

უკრაინაში მისი გამგზავრების დეტალებით დავინტერესდით და აი, რა გავიგეთ. დუბლებში წლევანდელი გამოსვლის შემდეგ, ის ფორმაში შევიდა. ვახტანგი ისედაც მთავარ გუნდში ვარჯიშობდა. ფანცხავა ამბიციური ფეხბურთელია, დუბლებში თამაში არ აკმაყოფილებდა და ძირითადში ვარჯიშმა დაარწმუნა, რომ საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ მზად იყო. თუმცა ძირითადში თამაშის შანსი ერთხელაც არ მიუციათ. შვებულებიდან დაბრუნებული, „ლე მანის“ ვიცე-პრეზიდენტთან შევიდა და საკუთარი სამომავლო პერსპექტივით დაინტერესდა, ექნებოდა თუ არა ახალ სეზონში ძირითად შემადგენლობაში თამაშის შანსი...

პარალელურად, ფანცხავა „გაგრას“ პრეზიდენტ **ბესიკ ჩიხრაძეს** დაუკავშირდა. ის საფრანგეთში სწორედ „გაგრას“ პრეზიდენტმა გაუშვა. ჩიხრაძე „ლე მანის“ ხელმძღვანელობას დაელაპარაკა - ფეხბურთელს სათამაშო პრაქტიკა სჭირდება და იჯარით სადმე გავუშვათო. ფრანგებმა თანხმობა განაცხადეს და „გაგრას“ თავკაცი ფანცხავასთვის კლუბის მოძებნას შეუდგა.

საბოლოოდ, ქართველის გასინჯვის სურვილი ხარკოვის „მეტალისტმა“ გამოხატა. როგორც მოგახსენეთ, პირველივე შეხვედრაში ქართველმა ფორვარდმა გოლი გაიტანა, მანამდე ხარკოველებს თავი ვარჯიშებსა და „ორკარას“ დროსაც მოაწონა. მოკლედ, ამ ყველაფრის შემდეგ ხარკოველთა მთავარმა მწვრთნელმა **მირონ მარკევიჩმა** ფანცხავა თავის კაბინეტში შეიყვანა და საუბრის ბოლოს უთხრა - ჩვენ ერთად უნდა გავაგრძელოთ მუშაობა!

თუმცა, მარკევიჩისა და ფანცხავას ერთად მუშაობა მხოლოდ უკრაინელი მწვრთნელის სურვილზე არაა დამოკიდებული. მართალია, თავდაპირველად „გაგრას“ პრეზიდენტი ჩიხრაძე ფანცხავას იჯარით გაშვებაზე ზრუნავდა, მაგრამ უკვე გითხარით, რომ უკრაინაში ქართველმა თავდამსხმელმა მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. „მეტალისტის“ მწვრთნელმა ფანცხავას არა - იჯარით დამატება, არამედ, მისი ტრანსფერის გამოსყიდვა მოსთხოვა. „მეტალისტი“ მდიდარი კლუბია და ეს არ გაუჭირდება. თუმცა ქართველზე „ლე მანი“ დიდ იმედებს ამყარებს, ვახტანგის ტრანსფერი 2010 წლამდე ეკუთვნის და ჯერ უცნობია, დათანხმდებიან ფრანგები უკრაინელთა წინადადებას თუ არა. ასე რომ, ახლა ყველაფერი „ლე მანის“ პოზიციაზეა დამოკიდებული.

ფანცხავა საფრანგეთში მოთამაშე მეორე ქართველია, რომელიც უკრაინაში დამკვიდრებას შეეცდება. შეგახსენებთ, რომ შარშან ლვოვის „კარპატიში“ „ლიონის“ დუბლშემადგენლობიდან საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთი ყოფილი ფორვარდი **სანდრო გურული** გადავიდა და ლვოველთა კლუბს კარგადაც შეეწყო.

ამბები

### ფარულავა ქუთაისის ტორპედოში

ახალციხის „მესხეთის“ ცენტრალური მცველი **თემურ ფარულავა** იმ კლუბში დაბრუნდა, სადაც რამდენიმე წლის წინათ თამაშობდა - 25 წლის ფეხბურთელმა კონტრაქტი ქუთაისის „ტორპედოსთან“ გააფორმა.

„უმაღლესი ლიგის კლუბები არ დაინტერესდნენ და ქუთაისის „ტორპედოსთან“ ექვსთვიანი კონტრაქტი გავაფორმე. თუმცა დარწმუნებული ვარ, სანანებელი არაფერი მექნება. მართალია, ახლა „ტორპედო“ პირველ ლიგაში თამაშობს, მაგრამ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული კლუბია, ახლა მისი აღორძინება სურთ და საკმაოდ ძლიერი შემადგენლობაც შეკრიბეს. „ტორპედოს“ გიორგი სუხიაშვილი, გია გიგატაძე და იასონ ბზიკაძე ავარჯიშებენ. იმედია, ქუთაისი უმაღლეს ლიგაში აუცილებლად დაბრუნდება“, - გვითხრა ფარულავამ.

### ულისე ლევან აკობიას არ უშვებს

თბილისის „დინამოს“ ყოფილი მცველი **ლევან აკობია** მეორე სეზონია სომხურ „ულისეში“ თამაშობს. ლევანი ზუგდიდელია და ამიტომაც შესთავაზეს თამაში გაერთიანებულ „მგლები“/“ბაიაში“. თუმცა აკობიას სამშობლოში დაბრუნების იმედი გადაეწურა.

„კლუბის ხელმძღვანელობას ველაპარაკე და გაშვება ვთხოვე. სამწუხაროდ, არ დამთანხმდნენ, კონტრაქტი დეკემბერში მიმთავრდება და მანამდე შანსი არა არის, სამეულში მოხვედრა გვსურს და შემადგენლობაში ცვლილებები გაუმართლებელიაო. ასე რომ, ცოტა ხნით, მოცდა მომიწევს“, - გვითხრა აკობიამ.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ინტერვიუ



მიხეილ ხუციშვილი

# ახლა წასვლას გამოვრიცხავ...

**ბაქოს „ოლიმპიკიდან“ ნოვი სადის „ვოევოდინაში“ მიშა ხუციშვილი 2008 წლის იანვარში აღმოჩნდა. თბილისის „დინამოს“ ყოფილი ლიდერი სერბეთის ჩემპიონატით კმაყოფილია, მაგრამ მადა ჭამაში მოდის და სერბეთიდან გერმანიაში გადასვლის იმედი გაუჩნდა, სხვა საინტერესო წინადადებაც მიიღო, მაგრამ „ვოევოდინა“ ქართველ თავდამსხმელს არ უშვებს - ნოვისადელებს ევროპის ლიგაში ხუციშვილის იმედი აქვთ.**

**- მაისში გვითხარით, რომ მეორებუნდესლიგელ „ზანკტ პაულისა“ და ბულგარულ „ლიტექსში“ გადასვლის შანსი გქონდათ. რეალურია ეს ტრანსფერები?**

- მათ გარდა, უნგრეთის მტკ-ც მიწვევდა. თუმცა მოლაპარაკებები დროებით შეჩერებულია.

**- რატომ?**

- „ვოევოდინას“ ახალი პრეზიდენტი ჰყავს. მან მწვრთნელი შეცვალა და კლუბიდან არ მიშვებს. პრეზიდენტი და ახალი მწვრთნელი მეუბნებიან, ევროპის ლიგაზე უნდა დაგვეხმაროო. „ვოევოდინას“ 3 ისეთი ფეხბურთელი ჰყავს, რომლებშიც ევროპული კლუბები 3-4 მილიონ ევროს იხდიდნენ და მათაც არ უშვებენ. მოკლედ, წელს ჩემს გაყიდვაზე არ ფიქრობენ, გასულ სეზონში სერბეთის ვიცე-ჩემპიონები გავხდით. ახალ სეზონში კი პრეზიდენტს ევროთასებზე წარმატებით გამოსვლა და ჩემპიონობა სურს. მოკლედ, ახლა კლუბიდან წასვლას გამოვრიცხავ. თან კონტრაქტიც მაბრკოლებს - დეკემბერში მიმთავრდება. ევროლიგაში ვითამაშებ, ზამთრამდე დავრჩები და მერე ვნახოთ... არადა, ძველ ხელმძღვანელობასთან შეთანხმების იმედი მქონდა.

**- „ვოევოდინაში“ სულ 9 შეხვედრა ჩაატარეთ...**

- მხოლოდ ტრავმების გამო გამოვტოვე თამაშები, კუნთი გამიწყდა და ვმკურნალობდი. როცა მოვმჯობინდი, სულ ძირითადში ვთამაშობდი. სხვათა შორის, გუნდს იოლად შევეწყვე.

**- როგორც ვიცით, ტურის სიმბოლურ ნაკრებში რამდენჯერმე დაგასახელეს...**

- სერბები შეფასებების მიხედვით ადგენენ სიმბოლურს და 10-ბალიანი სისტემით სამჯერ რვიანი დამიწერეს. სიმართლე გითხრათ, ზუსტად არც ვიცი, სიმბოლურში რომელმა გამოცემებმა დამასახელეს, თანაგუნდელები თუ მეტყოდნენ ხოლმე.

**- ენის პრობლემა ხომ არ გაქვს?**

- სერბული უკვე კარგად მესმის, მაგრამ ლაპარაკი მიჭირს.

**- სერბეთის ჩემპიონატზე ბევრი არაფერი ვიცით - არც პირველობის დონეზე და არც კლუბების ფინანსურ მდგომარეობაზე. რას იტყოდით ამის თაობაზე?**

- როგორც ამბობენ, ამერიკასთან ომამდე და ქვეყნის დაშლამდე, ძალიან მაღალი დონის პირველობა იყო, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ლიგა გვქონდაო. კაცმა რომ თქვას, არც მიკვირს, სერბ ფეხბურთელებზე მთელ ევროპაში დიდი მოთხოვნა იყო და დღემდე ასეა.

ომის შემდეგ დონე დაეცა, მაგრამ ახლაც ძალიან კარგი პირველობაა. თუმცა, სპორტული და ფინანსური თვალსაზრისით, ევროპულ დონეს მხოლოდ 3 კლუბი ინარჩუნებს - „პარტიზანი“, „ცრვენა ზვეზდა“ და შემდეგ „ვოევოდინა“. დანარჩენ კლუბებში ფეხბურთელების წლიური შემოსავალი 20-25 ათას დოლარს არ აღემატება. საქართველოსა და აზერბაიჯანის შემდეგ, სერბეთში თამაში რთული, მაგრამ სასიამოვნოა. აქაურები დარწმუნებულნი არიან, რომ ხორვატიასა და უნგრეთში უფრო დაბალი დონეა, რადგან მოსამზადებელ ეტაპზე უნგრეთის ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანი 4:0 დავამარცხეთ. კმაყოფილი ვარ, რომ სერბეთში მოვხვდი.

**- მაყურებელთა დასწრება როგორია?**

- აუტსაიდერთა მატჩებსაც კი მინიმუმ 3-4 ათასი ქომაგი ესწრება. პრინციპული მეტოქეების თამაშებს კი, მაგალითად, „პარტიზანი“-“ცრვენა ზვეზდაზე“, ან „პარტიზანი“-“ვოევოდინაზე“, ბელგრადში 40-50 ათასი მაყურებელი იკრიბება. „ვოევოდინას“ არენა 20-ათასიანია და სულ ივსება. ბევრი შემთხვევა მახსენდება, როდესაც ლიდერებთან მატჩს სტადიონის გარეთ დამონტაჟებულ ეკრანზე უყურებდნენ.

**- ბალკანეთში სასტიკი ომი დამთავრდა, მაგრამ ძველი წყენა არსებობს, სერბულ გუნდებში ხორვატები და ბოსნიელები თუ თამაშობენ?**

- ხორვატები? მგონი, თამაშობენ, მაგრამ ზუსტად ვერც ვიხსენებ. ჩერნოგორიელები და ბოსნიელები კი ნამდვილად თამაშობენ.

**- ერთმანეთთან ურთიერთობა არ უჭირთ?**

- რა პრობლემაა? სერბეთი ევროპაა, უმრავლესობას პოლიტიკა არც აინტერესებს. ჩვენ და სერბებს, სარწმუნოების გარდა, ალბათ, ბოლო წლების ისტორიაც დაახლოებით ერთნაირი გვაქვს. ქვეყანა ძალიან მომწონს, გულიანი და თბილი ხალხია.

**- „ვოევოდინამ“ სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო?**

- დიახ, 20 ივნისიდან სერბეთში ვვარჯიშობთ. ევროპის ლიგაში პირველი მატჩი 30 ივლისს გველის. შაბათს პირველი ამხანაგური შეხვედრა სერბეთის მესამე ლიგის კლუბ „სტეპანოვთან“ ჩავატარეთ და 4:0 მოვიგეთ. აქედან ორი გოლი მე გავიტანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ევროპის ლიგა

ლისბერნი-ზესტაფონი

# ჩრდილოეთში უნგრელები გვიმსაჯებენ

## ლისბერნმა დაცვა გააძლიერა

„ზესტაფონმა" სლოვენიაში მოსამზადებელი შეკრება დაასრულა და შაბათს გამთენიისას სამშობლოში დაბრუნდა. როგორც შევიტყვეთ, გუნდის თავკაცმა **გია გეგუჩაძემ** ფეხბურთელები იმ დღეს დაასვენა, გუშინ კი თბილისში შეკრიბა და იმერლებმა მზადება დედაქალაქში გააგრძელეს. ყველა ფეხბურთელი მწყობრშია და ევროპის ლიგაზე საასპარეზოდ ემზადება. ზესტაფონელები ორი დღე თბილისში ივარჯიშებენ, ოთხშაბათს (1 ივლისს) კი ჩარტერული ავიარეისით ჩრდილოეთ ირლანდიაში გაემგზავრებიან. 7-საათიანი მგზავრობის შემდეგ კი ბელფასტში ჩაფრინდებიან და იქვე დაბინავდებიან. ლურგანი, ქალაქი სადაც „ლისბერნი" „ზესტაფონს" უმასპინძლებს, ბელფასტიდან 40 კმ-ითაა დაშორებული. ჩვენი გუნდი მატჩის წინა დღეს სწორედ ლურგანში, „მარნევიუ პარკზე" ივარჯიშებს.

ერთი ამბავიც მეტოქის ბანაკიდან - „ლისბერნს" კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი დაემატა. 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილმა წევრმა **აარონ კალათენმა** ლისბერნელებთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, კალათენი ცენტრალური მცველია, მაგრამ ფლანგებზეც შეუძლია თამაში და **ჯიმი ბრაუნის** გუნდის უკანა ხაზს საიმედოობას შემატებს.

ლურგანის მატჩს უნგრელი მსაჯები მოემსახურებიან. არბიტრი **ტამაშ ბოდნარი** იქნება, ასისტენტები - **გაბორ ეროში** და **ლასლო ვიჟოკაი**. მეოთხე მსაჯის ფუნქციას კი **როლანდ ვეიზერი** შეასრულებს. უეფას დელეგატია ავსტრიელი **ტომას ფარტლი**, ხოლო მსაჯთა დამკვირვებელი - ნორვეგიული **იონ სკირვოლდი**.

**დავით ცაბაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი



მარჯვნივ პავლე დათუნაიშვილი

# დათუნაიშვილი: ისევ ლატვიაში თუ თურქეთი?

ნახევარმცველმა **პაატა დათუნაიშვილმა** გასული სეზონი ზუგდიდის „მგლებში" ჩაამთავრა. თუმცა ჩემპიონატი დასრულდა და მანაც დატოვა გუნდი. ფეხბურთელი, რომელიც პირველად „ვიტ ჯორჯიაში" გამოჩნდა და „მგლებამდე" ლატვიაში, **თამაზ პერტიას** „დინაბურგში" გამოდიოდა, კვლავ გალეგიონერებას აპირებს. ჩვენი ინფორმაციით, შესაძლოა, დათუნაიშვილი ლატვიას (პერტიას გუნდს) დაუბრუნდეს. არის მეორე ვერსიაც - თურქეთი. თუმცა ერთი წყაროს მტკიცებით, სულაც არ არის გამორიცხული, დათუნაიშვილი „ვეტერინარებს" დაუბრუნდეს.

„ვიტ ჯორჯია" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე საასპარეზოდ ემზადება და გაძლიერება სულაც არ აწყენდა. მით უმეტეს, პაატას ძმა, **გიორგი დათუნაიშვილი**, სწორედ ვიტელთა გუნდში ირჯება. თუმცა აქ მეორე წინააღმდეგობაცაა - „ვიტ ჯორჯია" უკვე გაემგზავრა უკრაინულ შეკრებაზე და თბილისში მყოფი პაატა დათუნაიშვილი არ წაუყვანია. ერთი სიტყვით, ვითარებაში გასარკვევად თავად ფეხბურთელს დავუკავშირდით.

*„ჩემი ძმა „ვიტ ჯორჯიასთან" ერთად გაემგზავრა უკრაინაში მოსამზადებელი შეკრებისთვის, მე კი თბილისში ვარ. სიმართლე გითხრათ, „ვიტ ჯორჯიაში" ჩემს დაბრუნებაზე ლაპარაკი არც ყოფილა. არადა, იქ ჩემი ძმაა და უარს არ ვიტყოდი, მაგრამ ამჟამად სხვა ვარიანტების გარკვევას ველი. ისევ უცხოეთში მინდა ვითამაშო, მაგრამ ჯერჯერობით ვითარება ბუნდოვანია. „დინაბურგში" დაბრუნებასაც არ გამოვრიცხავ. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ლატვიური ფეხბურთის საგრძნობლად აზარალა და ამის გამო მომიწია „დინაბურგის" დატოვებამ, თორემ თამაზ პერტიას გუნდში თავს ჩინებულად ვგრძნობდი. ერთი სიტყვით, თუ ლატვიური პირობები ისე მაინც გამოსწორდა, რომ იქ თამაშისა და ცხოვრებისთვის მისაღები იქნება, დავბრუნდები... კი, თურქულ ვარიანტზეც მითხრეს, მაგრამ კლუბია გასარკვევი. ვფიქრობ, საკითხი მომდევნო კვირაში, ან სადღაც ათ დღეში უნდა გადაწყდეს",* - გვითხრა პაატამ.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონის უქმეები



ლადო დვალიშვილის დარტყმა

# სეზონის პირველი ქართული პოკერი

## ჩვენებურმა ფორვარდებმა ზაფხულში გაიღვიძეს

ხანდახან (საკმაოდ ხშირადაც) გაგანია სეზონში არ გააქვთ ქართველ ლეგიონერებს ამდენი გოლი, რამდენიც მათ ამ უქმეებზე მოახერხეს. მეტიც, აქამდე ქართველ ლეგიონერს ამ სეზონში პოკერი არ შეუსრულებია - შაბათს კი **ლადო დვალიშვილმა** ოთხი გოლი ლატვიურ ვირსლიგაში გაიტანა. 23 წლის დვალიშვილი რიგის „სკონტოს" ღირსებას იცავს, მე-18 ტურში „სკონტო" მე-6 ადგილოსან „ოლიმპსს" „ესტუმრა" („სკონტო" და „ოლიმპსი" ერთ სტადიონზე თამაშობენ) და „ბართლომეს ღამე" მოუწყო - 8:1. აქედან გოლების ნახევარი საქართველოს ნაკრების ახალი ფორვარდის ანგარიშზეა. ლადო შარშან რუსთავის „ოლიმპიდან" გადავიდა ლატვიაში. მას პირველი სეზონიც ნორმალური გამოუვიდა, 27 მატჩში 9 გოლი გაიტანა, ახლა კი უკვე 14 ჩატარებულ მატჩში მის ანგარიშზე 12 გოლია.

„ოლიმპსი" ვირსლიგის საშუალო დონის გუნდად მიიჩნევა, 16 ქულით ის მე-6 ადგილზეა. ამიტომაც, მოულოდნელი იყო, რომ „სკონტო" „ოლიმპსს" ასეთ რბევას მოუწყობდა. დვალიშვილი და კაპიტანი **დავით გამეზარდაშვილი** სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. ლადომ მე-18 წუთზე თავურით გახსნა ანგარიში. 34-ე წუთზე მან ანგარიში 3:1 გახადა, მას შემდეგ, რაც პენალტის ნიშნულთან მასპინძელთა გოლკიპერი გამოსვლაზე შეცდა, ლადომ ფაქტობრივად ცარიელ კარში გაიტანა. მე-40 წუთზე დვალიშვილმა მასპინძლები შეტევაში მთელი ძალებით ჩართვისთვის დასაჯა. მატჩის ანგარიშს წერტილი ქართველმა ფორვარდმა 87-ე წუთზე დაუსვა, როცა ახლო მანძილიდან გაიტანა. ორივე ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა. „სკონტო" 35 ქულით მესამე ადგილზეა და ჩემპიონ „ვენტსპილსს" მხოლოდ ქულით ჩამორჩება. 39 ქულით პირველ ადგილზე თბილისის „დინამოს" მომავალი მეტოქე ევროპის ლიგაში ლიეპაიას „მეტალურგსია". სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ დვალიშვილს უკვე 12 გოლი აქვს გატანილი, ბომბარდირთა დავაში მას ორი ფეხბურთელი უსწრებს, თანაგუნდელი **ლუკიანოვსი** (14) და მეტალურგსელი **კარლსონსი** (13).

**თამაზ პერტიას** „დინაბურგმა" სტუმრად „ბლაზმა" დაამარცხა - 2:1. ქართველმა მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამი აკმარა თანამემამულეებს **ირაკლი ქორთუასა** და **ვასილ ლუჭაშვილს**. დინამოელთა მეტოქე „მეტალურგსმა" სტუმრად „დინაბურგთან" იმარჯვა დიდი ანგარიშით - 4:1, ხოლო **ზურაბ მენთეშაშვილის** „ვენტსპილსი" ისვენებდა (ლატვიურ ვირსლიგაში 9 გუნდი ასპარეზობს). პერტიას „დინაბურგი" 25 ქულით მე-4 ადგილზეა.

სულ რაღაც მეორე ტურია, რაც **სანდრო იაშვილი** (2 თამაში, 2 გოლი) და **ოთარ მარცვალაძე** (2 თამაში, 2 გოლი) მახაჭყალის „ანჟის" რიგებში გამოჩდნენ და ქართველმა ფოვარდებმა კვლავ თავი გამოიჩინეს - ისევე, როგორც წინა ტურში, ახლაც იაშვილმა და მარცვალაძე თითო გოლი შეაგდეს, „ანჟიმ" კი 2:0 მოიგო, ამჯერად „ლუჩ-ენერგიასთან". ვინაიდან „ალანიამ" ტურში ორი ქულა დაკარგა, 36 ქულით პირველობას სათავეში **ომარ თეთრაძის** გუნდი მოექცა. 12 ათასი დაღესტნელის გასახარად სანდრო იაშვილმა 24-ე წუთზე გახსნა ანგარიში, ოთარ მარცვალაძემ კი 39-ე წუთზე შეაგდო. თეთრაძემ სასტარტო შემადგენლობაში ერთბაშად ხუთი ქართველი დააყენა: **გიორგი ნავალოვსკი** (10 თამაში), **ედიკ საჯაია** (16 თამაში, 2 გოლი), **კახაბერ ალადაშვილი** (8 თამაში), მარცვალაძე და იაშვილი. განაცხადშიც არ ყოფილან **ზურაბ არზიანი** (6 თამაში) და **გოჩა ხოჯავა** (14 თამაში, 2 გოლი) (დისკვალიფიკაცია). ალადაშვილი 58-ე წუთზე შეცვალეს, მარცვალაძე - მე-80-ზე, ხოლო იაშვილი ბოლოსწინა წუთზე. პირველი გოლი ასე გავიდა, „ანჟიმ" კუთხური გაითამაშა, **ცორაევმა** საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც სანდრომ ყველას აჯობა თავით. მეორე გოლის შემთხვევაში მცველი შეცდა, ოთარმა მისი ცუდი პასი ჩაჭრა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და გაიტანა.

ლიტვის ჩემპიონატში „ტაურასი" სტუმრად „ბანგას" დაუზავდა - 1:1. **დავით ჭილლაძემ** 90 წუთი ითამაშა, ხოლო **ბესიკ ჭილლაძე** სათადარიგო იყო. „ტაურასი" 13 ქულით მე-6 ადგილზეა რვაგუნდიან A ლიგაში.

ბელარუსის ჩემპიონატის მე-11 ტურში მინსკის „მტზ-რიპო" შინ 0:2 დამარცხდა ჩემპიონ ბატე-სთან. **გივი კვარაცხელიამ** 90 წუთი ითამაშა, თუმცა ვერაფრით დაეხმარა თავის კლუბს. „მტზ-რიპო" 14 ქულით მე-8 ადგილზეა. ჟოდინოს „ტორპედო" მინსკის „დინამოს" დაუზავდა - 0:0. **ნუკრი მანჩხავას** „ტორპედო" 19 ქულით მესამე ადგილზეა. ნუკრიმ 90 წუთი ითამაშა „დინამოს" წინააღმდეგ, მერე ტაიმში მან მეტოქის ხელით დაჭერისთვის ყვითელი ბარათი მიიღო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



უტევს სანდრო იაშვილი (№23)



ოთარ მარცვალაძის საგოლე დარტყმა

ქართული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება — მესხეთი — ინტერვიუ კობა თედიაშვილთან

# პატიოსნად გადარჩენილი და... განწირული

**გასულ სეზონში ახალციხის „მესხეთზე“ ვერავინ იტყოდა, რომ გუნდი უიმედო აუტსაიდერი იყო ან კიდევ, თითქოსდა, მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით ასპარეზობდა. პირიქით - კობა თედიაშვილის გუნდმა სეზონის განმავლობაში რამდენჯერმე მართლაც სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა. ნამდვილად ასე იყო - ფინანსური პრობლემების მიუხედავად „მესხეთმა“ მთელ ჩემპიონატში, ალბათ, შესაძლებლობების მაქსიმუმზე მეტს მიაღწია. ეგ კი არა, რამდენჯერმე იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა საერთოდ ჩემპიონატში გუნდის მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხიც დადგა. ამდენი ხელის შემშლელი პირობის მიუხედავად, „მესხეთმა“ ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად, მაინც შეძლო და უმაღლესში ადგილი შეინარჩუნა. თანაც, რაც მთავარია, ეს უმთავრესი მისია... სპორტული პრინციპების სრული დაცვით მოახერხა! ამასთან, კობა თედიაშვილის გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სეზონის განმავლობაში „მესხეთი“ ერთხელაც არ ყოფილა „შემჩნეული“ იმ უამრავ საეჭვო მატჩში, მეოცე ჩემპიონატის ლამის „საფირმო“ ნიშანი რომ იყო...**

**...ახალი სეზონისათვის გუნდების უმეტესობამ მზადება უკვე დაიწყო. თუმცა, „მესხეთის“ ირგვლივ კვლავაც გაურკვევლობაა - ჯერაც არავინ იცის, თუ რომელ ლიგაში იასპარეზებს ეს გუნდი. ამ საკითხთან დაკავშირებით კობა თედიაშვილი მთლად უიმედო არ გახლავთ. თუმცა, „მესხეთის“ მთავარ მწვრთნელს მანამდე გასული სეზონის შეჯამება ვთხოვეთ...**



კობა თედიაშვილი

- მთლიანობაში, მიმაჩნია, რომ „მესხეთის“ ასპარეზობა დამაკმაყოფილებლად შეიძლება შევაფასოთ. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ უამრავ პრობლემას, მთელი სეზონის განმავლობაში რომ გვქონდა. მეტსაც ვიტყვი - როგორ პირობებშიც გვიწევდა საწვრთნელი პროცესისა თუ თამაშების ჩატარება, ლოგიკურად... უნდა გავვარდნილიყავით კიდეც!

**- მერე, რამ „შეგიშალათ“ ამაში ხელი?**

- ფეხბურთელების ურთიერთნდობამ, მონდომებამ, კაცობამ... ფაქტობრივად, სამჯერ მომინია გუნდის მომზადებამ: 10-12 დღე ნაყოფიერად ვიმუშავებდით, მერე ისევ ფინანსური პრობლემა იჩენდა თავს და ეს შედეგზეც აისახებოდა. ჰო, მთელი სეზონი ასე იყო: ორ-სამ თამაშს კარგად ჩავატარებდით, მერე, ხუთ-ექვს მატჩს „ჩავაგდებდით“ და ასე შემედგ. აბა, გასვლით შეხვედრაში, თამაშის დაწყებამდე 20 წუთით ადრე რომ მიხვალ სტადიონზე, ფეხბურთელს რა უნდა მოსთხოვო?

**- როგორ ფიქრობთ, ნორმალური ფინანსური პირობები რომ გქონოდათ, „მესხეთი“ საბოლოოდ მეორე ადგილს დაიკავებდა?**

- გინდა თუ არა, პირველ ხუთეულში მოვხვდებოდით-თქო, ამას ნამდვილად არ ვიტყვი; უბრალოდ, ჩვენ უმთავრეს ამოცანას - უმაღლეს ლიგაში დარჩენას, - ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი-ექვსი ტურით ადრე გავინაღდებდით.

**- თქვენს გუნდს ყველაზე კარგი შედეგი პირველ წრეში ჰქონდა - ქულებიც ბლომად დააგროვეთ და რამდენიმე ძლიერ გუნდსაც, ყველასათვის მოულოდნელად, მოუგეთ ან ფრედ ეთამაშეთ.**

- გეთანხმებით, - დასაწყისი, მართლაც, კარგი გვქონდა; შეკრებაზე ვერ წავედით, მაგრამ ადგილზე ნაყოფიერად მოვემზადეთ; თანაც, ხელფასებიც დროულად დარიგდა და ყოველივე ეს შედეგზე აისახა. მერე კი, გუნდის დაფინანსებასთან დაკავშირებით პრობლემები გაჩნდა თუ არა, ყველაფერი უარესობისკენ წავიდა.

**- გასულ სეზონში „მესხეთის“ გამორჩეული მატჩები გაიხსენეთ...**

- „ზესტაფონთან“ სტუმრად რომ გავიმარჯვეთ, არც ამას ელოდა ვინმე და არც ამავე გუნდთან საშინაო ფრეს. იმავეს ვიტყოდი პირველ წრეში ზუგდიდში გამარჯვებაზე თუ ასევე სტუმრად, „სიონთან“ ნათამაშებ ფრეზე. „ოლიმპთანაც“ მოგება ბოლო წამებზე გავუშვით - როცა სტუმართა მცველმა ჩიკვილაძემ იშვიათი სილამაზის გოლი გაგვიტანა. უფრო ნაკლები, მაგრამ ასეთი მატჩები მეორე და მესამე წრეშიც გვქონდა - თუნდაც, უშუალო კონკურენტ „სპარტაკთან“ ჩატარებული საგარეო თუ საშინაო შეხვედრები გავიხსენოთ.

**- ზამთრის სატრანსფერო პაუზის დროს „მესხეთში“ ბევრი ცვლილება მოხდა. ამანაც ხომ არ იმოქმედა გუნდის ასპარეზობაზე?**

- ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ „მესხეთი“ უფრო დასუსტდა; კი ბატონო: გრიგალაშვილი, რაქვიაშვილი, სომხიშვილი, - გამოცდილი ფეხბურთელები არიან და ჩვენს გუნდშიც მნიშვნელოვანი ფუნქციები ეკისრათ, მაგრამ შევსებაც არნაკლებ სოლიდური გვყავდა. ფარულავა, ბათიაშვილი, გაბიდაური - ამ ბიჭებმაც საკმაოდ გააძლიერეს „მესხეთი“. კიდევ ვიმეორებ: თავი და თავი ჩვენი არასტაბილური ასპარეზობისა, მხოლოდ და მხოლოდ, ფინანსური პრობლემები იყო. აბა, შეიძლება, მთელი სეზონის განმავლობაში გუნდი მუდამ... დაშლის პირას ყოფილიყო? ფეხბურთელს თუ ხელფასს ვერ მისცემ, ვერ ავარჯიშებ, კვების პრობლემას ვერ გადაუწყვეტ, შედეგი როგორღა უნდა მოსთხოვო? ამას გარდა, იყო მომენტებიც, ჩემს წილ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე რომ ვიღებ...

**- უმაღლეს ლიგაში ყოფნის ორი წლის განმავლობაში იშვიათად კი არა, ალბათ, არც ყოფილა შემთხვევა, მსაჯების მოქმედებისთვის მწვავე შეფასება მიგეცათ. რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით პირველი წრის „მესხეთი“-„დინამოს“ მატჩის მერე გაკეთებულ თქვენს განცხადებებზე...**

- ვინც მიცნობს, ყველა დამეთანხმება, რომ მსაჯობაზე ხმამაღალ განცხადებებს არასდროს ვაკეთებ. რა თქმა უნდა, მსაჯიც ადამიანია და, შესაძლოა, შეცდეს კიდეც, ოღონდ ეს შეცდომა გამიზნული არ უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ჩელსი“-„ბარსელონას“ მატჩში მსაჯმა ისეთი შეცდომები დაუშვა...

**- და მაინც, „დინამოსთან“ შეხვედრაში რამ გაგაღიზიანათ?**

- წაგებული მატჩის მერე „ცხელ გულზე“ ბევრი რამ ვთქვით; თუმცა, დღესაც მიმაჩნია, რომ მეტოქემ ორი გოლი წესების დარღვევით გაგვიტანა. პირველ შემთხვევაში, მერებაშვილის წაქცევისათვის პენალტი დაგვინიშნეს; არადა, „დინამოს“ ფორვარდი ჩვენს ორ მცველს შორის... გადახტა. ანუ, „გააფორმა“. თანაც, ასეთ რამეს რომ ხშირად აკეთებს, უკვე ყველამ ვიცით...; ეგაც რომ არ იყოს, ეს საკამათო ეპიზოდი სულაც ჩვენი საჯარიმოს გარეთ მოხდა; მეორე გოლის დროს კი აშკარა თამაშგარე მდგომარეობა იყო, მაგრამ მსაჯები ამ ეპიზოდშიც შეცდნენ. კიდევ ვიმეორებ - შეგნებული შეცდომა არ უნდა იყოს და არც არავინ გაღიზიანდება...

**- საერთოდ, მთლიანობაში როგორ ფიქრობთ: ჩემპიონატის საბოლოო შედეგები ლოგიკური იყო?**

- სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა; ბოლოს და ბოლოს, „ვიტ ჯორჯიამ“ მთელი ჩემპიონატი „ერთი ამოსუნთქვით“ ჩაატარა და დამსახურებულადაც გახდა გამარჯვებული. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სეზონში გუნდი მხოლოდ ერთ მატჩს რომ წააგებს, ნამდვილად არ არის შემთხვევითობა გუნდის ჩემპიონობა. ერთადერთი, ალოგიკური შესაძლოა, „ლოკომოტივის“ ჩავარდნა იყო - არადა, ამ გუნდმა სეზონი ჩინებულად დაიწყო, მაგრამ, ეტყობა, იქაც ფინანსური პრობლემები მოეძალათ...

**- ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად ვინ მიგაჩნიათ?**

- „ზესტაფონის“ თავდამსხმელი ნიკოლოზ გელაშვილი - საუკეთესო ბომბარდირიც გახდა და, ჩემი აზრით, საუკეთესო ფეხბურთელობასაც იმსახურებდა.

**- თქვენი გუნდიდან ვის გამოარჩევდით?**

- ვერავის გამოვყოფ - ყველამ სული და გული ჩადო; მით უმეტეს, იმ პრობლემების გათვალისწინებით, მთელი სეზონის განმავლობაში რომ გვქონდა.

**- თქვენს ვაჟზე ცალკე უნდა გკითხოთ: ლევანი პირველ ეტაპზე აშკარად გამორჩეული იყო, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით მეორე ეტაპის მატჩებზე...**

- გეთანხმებით, თუმცა, ყოველივე ამას, ალბათ, გარკვეული მიზეზიც ჰქონდა; გახსოვთ, ალბათ, რომ ზამთრის პაუზის დროს „ოლიმპში“ ისინჯებოდა და მის მერე, ცოტა არ იყოს, გულაცრუებულიც დაგვიბრუნდა...

**- „მესხეთი“ არასდროს შეგვიმჩნევია საეჭვო მატჩებში; თუმცა, ბოლო ტურის შეხვედრის წინ სერიოზული მითქმა-მოთქმა ატყდა. რაღას არ ამბობდნენ - გუნდი მაინც განწირულია და მეტოქეს სამ ქულასთან ერთად... უმაღლესი ლიგის საგზურსაც დაუთმობსო.**

- სამწუხაროდ, „სპარტაკთან“ ბოლო მატჩის წინ, გუნდში მართლაც არასასიამოვნო სიტუაცია შეიქმნა. ყველაზე საწყენი კი უსაფუძვლო და ბინძური ბრალდებები იყო, თანაც, ყველა მხრიდან რომ „მოდიოდა“ - „სპარტაკთან“ მატჩი გარიგებული იქნებაო! არადა, ბიჭები კატეგორიულად უარს აცხადებდნენ თამაშის ჩატარებაზე, ოღონდ, პროტესტის ასეთ უკიდურეს ფორმას იმიტომ მიმართეს, რომ კუთვნილი ხელფასები მიეღოთ. ყველაზე საწყენი კი ის იყო, როცა თამაშამდე მირეკავდნენ: თქვენს გუნდს მეტოქისგან ფული უკვე წინასწარ აქვს აღებულიო.

**- ბოლოს და ბოლოს, მატჩის ჩატარება როდის და რატომ გადაწყვიტეთ?**

- ფაქტობრივად, საათ-ნახევარი რჩებოდა შეხვედრის დაწყებამდე, ბიჭებს რომ ვთხოვე, მოედანზე გასულიყვნენ და ეთამაშათ. არადა წარმოიდგინეთ, რა სიტუაციაში ვიქნებოდი - რომ წაგვეგო, ვის დავაჯერებდი, რომ პატიოსან ბრძოლაში დავმარცხდით? თუმცა, ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით - გამოვიდნენ და ვაჟკაცურად ითამაშეს; ეგ კი არა, მეტოქეს ერთი შანსიც არ მივეცით.

**- იმ გამარჯვებით „მესხეთმა“ უმაღლეს ლიგაში ადგილი კი შეინარჩუნა, მაგრამ, დღესდღეობით, ყველა ამტკიცებს, რომ თქვენი გუნდი ახალ სეზონს... პირველ ლიგაში შეხვდება. საერთოდაც: ამჟამად რა სიტუაციაა?**

- სანამ ამ საკითხზე ვისაუბრებდე, ისევ „სპარტაკთან“ ჩატარებულ იმ გახმაურებულ შეხვედრას გავიხსენებ. სამწუხაროდ, „მესხეთის“ ფეხბურთელებს დღესაც არ მიუღიათ ძველი ხელფასი. არადა, გვეუბნებოდნენ - თუ მოიგებთ და უმაღლესში დარჩებით, დავალიანებას გაგისტუმრებთო... რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, მინდა გითხრათ, რომ მცირე შანსი მაინც არის. ყოველ შემთხვევაში, ამას წინათ გუბერნატორთან მქონდა შეხვედრა და გარკვეული იმედიც მომეცა.

**- კლუბს ბიუჯეტის თანხებით ველარ დააფინანსებენ, ლიცენზიის მხრივაც, როგორც ვიცით, პრობლემები გაქვთ...**

- ჩემი ინფორმაციით, საჭირო ლიცენზიის მოსაპოვებლად ბევრი რამ არა გვაქვს დარჩენილი. ანუ, სამ-ოთხ დღეში, შესაძლებელი იქნება ამის მოგვარება. აი, რაც შეეხება დამფინანსებელს... ამ მხრივაც სპონსორების მოძიების პროცესში ვართ.

**- ყველას ძალიან გვინდა, რომ „მესხეთმა“ ეს პრობლემები გადალახოს და მომდევნო სეზონიც უმაღლესში დაიწყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში რას აპირებთ?**

- მოკლედ გიპასუხებთ: ან უმაღლეს ლიგაში ვიქნებით, ან - არსად!.. თუ დაფინანსების წყარო გამოჩნდა, ესე იგი, უმაღლეს ლიგაში შესაფერისი გუნდიც გვეყოლება, თორემ პირველ ლიგაში გუნდს ვინღა შეინახავს? მაშინ უკვე, ალბათ, რეგიონალლიგაში, ადგილობრივი ჭაბუკებით იასპარეზებენ, ოღონდ რა თქმა უნდა, უჩემოდ...

**- იმედია, „მესხეთსაც“ შევინარჩუნებთ და თქვენც უმუშევრობა აგცდებათ. საერთოდ კი, უმაღლეს ლიგაში გატარებულმა ორმა სეზონმა მწვრთნელ თედიაშვილს რა შესძინა?**

- რეგიონალლიგაშიც ვმუშაობდი და პირველ ლიგაშიც, მაგრამ უმაღლესი მაინც სხვა დონეა; უფრო ზუსტად, ძალიან დიდი სხვაობაა: ტაქტიკურ აზროვნებაში, ტექნიკასა თუ სისწრაფეებში. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ნიჭიერი ფეხბურთელებიც მეტნი არიან და ასეთ ხალხთან მუშაობა ხომ მწვრთნელისთვის მისწრებაა. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ როგორც მწვრთნელისთვის, ეს ორი წელიწადი მეტისმეტად სასარგებლო და ნაყოფიერი იყო.

**გია ტუხაშვილი**

**მესხეთი 2008/09**
**ყველა მატჩი**

| | |
|---|---|
| **I წრე** | |
| ლოკომოტივი-მესხეთი | 2:0 |
| მესხეთი-ოლიმპი | 1:1 |
| ზესტაფონი-მესხეთი | 0:1 |
| სიონი-მესხეთი | 0:0 |
| მესხეთი-დინამო | 1:3 |
| მესხეთი-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| მგლები-მესხეთი | 0:2 |
| მესხეთი-ბორჯომი | 2:2 |
| გაგრა-მესხეთი | 3:1 |
| მესხეთი-სპარტაკი | 1:0 |
| **II წრე** | |
| მესხეთი-ლოკომოტივი | 3:1 |
| ოლიმპი-მესხეთი | 4:0 |
| მესხეთი-ზესტაფონი | 0:0 |
| მესხეთი-სიონი | 0:2 |
| დინამო-მესხეთი | 4:0 |
| ვიტ ჯორჯია-მესხეთი | 1:0 |
| მესხეთი-მგლები | 0:0 |
| ბორჯომი-მესხეთი | 0:0 |
| მესხეთი-გაგრა | 2:0 |
| სპარტაკი-მესხეთი | 1:1 |
| **III წრე** | |
| ლოკომოტივი-მესხეთი | 0:0 |
| მესხეთი-ოლიმპი | 0:1 |
| ზესტაფონი-მესხეთი | 3:0 |
| სიონი-მესხეთი | 2:0 |
| დინამო-მესხეთი | 2:0 |
| მესხეთი-ვიტ ჯორჯია | 0:3 |
| მგლები-მესხეთი | 4:1 |
| მესხეთი-ბორჯომი | 6:0 |
| გაგრა-მესხეთი | 2:0 |
| მესხეთი-სპარტაკი | 1:0 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფედერაციათა თასი

ფინალი

# ლუსიოს ოქროს თავური

**აშშ–ბრაზილია 2:3**

**აშშ (4-4-2):** ჰოვარდი - სპექტორი, ონიევუ, დემერიტი, ბოკანეგრა - დემპსი, კლარკი (88. ქეისი), ფეილჰაბერი (75. კლისტანი), დონოვანი - ალტიდორი (75. ბორნშტეინი), დევისი.

**ბრაზილია (4-4-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, ლუიზაო, სანტოსი (66 დანი ალვეში) - რამირესი (67. ელანო), ჟილბერტო სილვა, ფელიპე მელო, კაკა - რობინიო, ლუიშ ფაბიანო.

**გოლები:** 1:0 დემპსი (10), 2:0 დონოვანი (27), 2:1 ლუიშ ფაბიანო (46), 2:2 ლუიშ ფაბიანო (74), ლუსიო (84).

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 8 | კარისკენ დარტყმა | 25 |
| 4 | კარში დარტყმა | 13 |
| 17 | ჯარიმა | 11 |
| 5 | კუთხური | 10 |
| 1 | თამაშგარე | 6 |
| 1 | გაფრთხილება | 3 |
| 41% | ბურთის ფლობა | 59% |

**გოლების სტენოგრამა**

**10' - სპექტორის შორეული ჩაწოდება კლინტ დემპსიმ მიიღო და ანგარიში გახსნა.**

**27' - დევისის პასით გარღვევაზე ლენდონ დონოვანი გავიდა. დონოვანმა ბურთის კონტროლის ბრწყინვალე უნარი გამოაჩინა და აშშ 2:0 დააწინაურა.**

**46' - ლუიშ ფაბიანო ამერიკელთა მცველ დემერიტთან ბრძოლაში ბრუნით ურტყამს და - 2:1.**

**74' - კაკამ მარცხენა კუთხიდან შეუტია კარგად ჩააწოდა, მაგრამ ელანოს დარტყმა ხარიხას მოხვდა, უკან გამოვარდნილ ბურთს პირველმა ლუიშ ფაბიანომ მიუსწრო.**

**84' - ლუსიოს ძლიერი თავური ამერიკელთა კარის მაღალ კუთხეში წავიდა.**


ლუსიოს გადამწყვეტი დარტყმა

საფეხბურთო თრილერი - ეს განსაზღვრება ხშირად გაგვახსენდება აწ უკვე ისტორიად ქცეულ 2009 წლის კონფედერაციათა თასის მატჩებზე. რიგით მერვე თასზე ასეთი იყო ჯგუფური ეტაპის მატჩი ბრაზილიასა და ეგვიპტეს შორის, ამავე ჯგუფში ფინალურ ტურში გამართული მოვლენები (როცა ნახევარფინალის საგზური სასწაულებრივ მოიპოვა აშშ-ის ნაკრებმა), ნახევარფინალური შეხვედრა ბრაზილიასა და „ბაფანა ბაფანას" შორის, მატჩი მე-3 ადგილისთვის და... რა თქმა უნდა, ფინალი. იოჰანესბურგის „ელის პარკზე" პუბლიკამ ნამდვილი თრილერი იხილა, ამერიკელთა მიერ ნაჩვენები საოცარი პირველი ტაიმით და დუნგას გუნდის საჩემპიონო გამოლევიძებით.

ბრაზილიის ნაკრები ერთადერთი გუნდია, რომელმაც კონფედერაციათა თასი სამჯერ მოიგო. აქამდე ფეხბურთის ჯადოქრებმა 1997 და 2005 წლებში იმარჯვეს. ამჯერად მათ ტიტულის მოსაგებად ნამდვილი გმირობის ჩადენამ მოუწიათ, რომლის ლომის წილიც „სევილიას" ფორვარდმა **ლუიშ ფაბიანომ** დაიდო.

ამერიკელთა მწვრთნელი **ბობ ბრედლი** თავის შეგირდებს სულ იმას უჩიჩინებდა. მთავარია, ადრეული გოლი არ გავუშვათო. ფეხბურთელებმა მწვრთნელის მითითება უნაკლოდ შეასრულეს, ის კი არა აქეთ გაუტანეს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს ადრეული გოლი - მე-10 წუთზე **სპექტორის** ჩაწოდებას ჰაერშივე შეეგება **კლინტ დემპსი** და ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი კარში. სამიოდ წუთში **რობინიოს** შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, საჯარიმოს კუთხიდან ბრწყინვალედაც დაარტყა, მაგრამ **ჰოვარდმა** იყოჩაღა. ჰოვარდმა შემდეგ **ფელიპე მელოს** და **მაიკონსაც** აჯობა. 27-ე წუთზე ამერიკელებმა უსწრაფესი კონტრშეტევა განახორციელეს, **ლენდონ დონოვანმა** იყოჩაღა და **ჟულიო სეზარი** დაამწუხრა - 2:0. ცხადი გახდა, რომ ჯგუფურ ეტაპზე ბრაზილიის მიერ აშშ-ს 3:0 დამარცხება ბევრს არაფერს ნიშნავდა.

მეორე ტაიმის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე (ამერიკელებს დაახლოებით ხუთი წუთით დაასწრეს) „სელესაოს" მთელი შემადგენლობა მოედანზე იყო, მათ ერთი სული ჰქონდათ, როდის დაიწყებდა მსაჯი მეორე ტაიმს... და პირველივე წუთზე ლუიშ ფაბიანომ ერთი გოლი გაქვითა! ამ გოლამდე ჰოვარდს კარი 254 წუთის განმავლობაში მშრალად ჰქონდა შენახული. მალე **კაკამ** თავურით გოლი კი გაიტანა, მაგრამ მსაჯებმა ვერ შენიშნეს, რომ ჰოვარდმა ბურთი უკვე კარის ხაზს იქით მოიგერია. მიუხედავად ამისა, უკვე ცხადი იყო, რომ ბრაზილიის შემჩერებელი ბობ ბრედლის გუნდი ველარ იყო, კაკას კიდევ ერთ „აფეთქებას" ლუიშ ფაბიანოს მეორე გოლი მოჰყვა. ხოლო მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე კონფედერაციათა თასის გამარჯვებულის ვინაობაც გაირკვა, **ელანოს** კუთხურს კაპიტნის უძლიერესი თავური მოჰყვა - 3:2.

კონფედერაციათა თასის „ოქროს ბურთი" ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელისთვის ბრაზილიის ნაკრების ლიდერ კაკას გადასცეს. „ოქროს ბუცის" მფლობელი ტურნირის ბომბარდირი ლუიშ ფაბიანო (5 გოლი) გახდა, „ოქროს ხელთათმანი" ამერიკელთა კარის დარაჯ ტიმ ჰოვარდს მიაკუთვნეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მატჩი მე-3 ადგილისთვის

# პოდიუმი ესპანეთს

**ესპანეთი–სამხ. აფრიკა 3:2, 2:2 დ.დ.**

**ესპანეთი (4-4-2):** კასილიასი - არბელოა, ალბიოლი, პიკე, კაპდევილია - კასორლა, ჩაბი ალონსო, ბუსკეტსი (81. ლორენტე), რიერა - ვილია (57. სილვა), ტორესი (57. გუისა).

**სამხ. აფრიკა (4-4-1-1):** ხუნე - გაქსა, ბუტი, მოკოენა, მასილელა - პიენაარი (64. მფელა), დიკგაკოი, სიბაია, მოდისე (69. ფან ჰეერდენი) - ტშაბალალა (84. მჰლონგო) - პარკერი.

**გოლები:** 0:1 მფელა (73), 1:1 გუისა (88), 2:1 გუისა (89), 2:2 მფელა (90), 3:2 ჩაბი ალონსო (107)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 15 | კარისკენ დარტყმა | 11 |
| 8 | კარში დარტყმა | 7 |
| 15 | ჯარიმა | 24 |
| 3 | კუთხური | 4 |
| 3 | თამაშგარე | 10 |
| 4 | გაფრთხილება | 3 |
| 60% | ბურთის ფლობა | 40% |

რუსტენბურგის „როიალ ბაფოკენგზე" მასპინძელთა ნაკრებისთვის საბედისწერო აღმოჩნდა წლების განმავლობაში „კრილია სოვეტოვში" ნათამაშები **მეთიუ პოლ ბუტის** ჯარიმა შეცვლაზე შესულ **ლორენტეზე**. ეს მეორე დამატებითი ტაიმის მე-2 წუთზე მოხდა. ესპანელთა სასარგებლოდ დანიშნული საჯარიმო „ლივერპულის" ნახევარმცველმა **ჩაბი ალონსომ** შესანიშნავად ჩაახვია აფრიკელთა კარში და ესპანეთს კონფედერაციათა თასის საპოდიუმო ადგილი მოუპოვა. მატჩის ძირითად დროში კი ორივე გუნდში შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა გამოიჩინეს თავი - აფრიკელმა **კატლეგო მფელამ** და ესპანელმა **დანიელ გუისამ**.

არ იფიქროთ, რომ მანამდე მოსაწყენი თამაში იყო, თუმცა 73-ე წუთიდან დაიწყო, რაც დაიწყო... შეცვლაზე შესულმა კატლეგო მფელამ ანგარიში გახსნა, მარცხენა ფლანგზე კარგად ითამაშა **სიფივე ტშაბალალამ**, რომლის ჩაწოდებული ჯერ ცუდად გაიჩერო მფელამ, თუმცა ბურთის მოთვინიერება მან მაინც შეძლო და **იკერ კასილიასს** მაღალ კუთხეში გაუტანა. მფელამ კასილიასი კიდევ ერთხელ გაამწარა, თუმცა მანამდე ესპანეთის პასუხის ჯერი იყო... აფრიკელებს მე-3 ადგილთან, რაც მათთვის უდიდესი მიღწევა იქნებოდა, ორი წუთიღა აშორებდათ, როცა **კასორლა**-გუისას კომბინაცია, ამ უკანასკნელის დაბალი, მაგრამ ძლიერი დარტყმით დასრულდა პენალტის ნიშნულიდან, ბურთი **ხუნეს** კარის კუთხეში გავიდა. „ბაფანა ბაფანა" ჯერ კიდევ შოკში იყო, როცა გუისამ ოსტატურად გადაუგდო ბურთი საჯარიმოს მარჯვენა კუთხიდან ხუნეს შორეულ კუთხეში - 2:1. ახლა ესპანელებმა ირწმუნეს გამარჯვება ნაადრევად. მსაჯის მიერ დამატებული მესამე წუთი იწურებოდა, როცა **რიერა** ლამის ცენტრში დაჯარიმდა, თითქოს არცთუ საშიში პოზიცია იყო, კარამდე 30 მეტრი იყო, თუმცა მფელასთვის ეს დისტანცია სულაც არ ყოფილა პრობლემური - მან ყუმბარისებურად გაისროლა და კასილიასის კარის „ცხრიანში" „ჩასვა" ბურთი - 2:2.

პირველ დამატებით ტაიმში კასილიასს ორჯერ მოუწია თამაშში ჩართვამ. ჯერ მან როგორც იქნა, მესამე ცდაზე მოუგო დუელი მფელას, როცა ამ უკანასკნელმა ესპანელ მცველებს აჯობა, მეკარემ ბურთი ფეხით მოიგერია. შემდეგ **ბერნარდ პარკერის** დარტყმულს წაჰკრა ხელი. მეორე დამატებითი ტაიმი კი ჩაბი ალონსოს გადამწყვეტი საჯარიმო დარტყმით დაიწყო - 3:2. ესპანეთის ნაკრებისთვის, რომელიც სამხრეთ აფრიკაში ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდა, მესამე ადგილი მცირე შვებაა. „ბაფანა ბაფანამ" კი მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შესანიშნავ „შენობას" ჩაუყარა საფუძველი.


ეს წუთია, ჩაბი ალონსოს დარტყმამ ესპანეთს მესამე ადგილი მოუტანა

ევროპის ჩემპიონატი

U21. ფინალი

# ფანტასტიკური ფინალი ფავორიტის გარეშე

**ინგლისი–გერმანია**

დღეს მალმიოს „ნიუ სტედიუმზე" გაირკვევა, თუ ვინ გახდება ევროპის ჩემპიონი 21-წლამდელ ფეხბურთელთა შორის. ზუსტად ერთი კვირის წინათ ინგლისის და გერმანიის ნაკრებებმა ჯგუფში 1:1 ითამაშეს, ამჯერად ეს გუნდები კიდევ ერთხელ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, თუმცა ახლა ფრე აღარ იქნება...

ფინალს დისკვალიფიკაციის გამო ინგლისელთა გუნდს სამი მოწინავე ფეხბურთელი დააკლდება. ნახევარფინალის გმირი მეკარე **ჯო ჰარტი** და ორი ფორვარდი, **გაბრიელ აგბონლაორი** და **ფრეიზერ კემპბელი** ვერ ითამაშებენ. **სტიუარტ პირსს** 3 ფორვარდით შეტევა უყვარს, არადა მას ერთდროულად ორი დააკლდა. სავარაუდოდ, **თეო უოლკოტი** წინ წაწეული ფორვარდი იქნება, ფლანგებიდან მას **ჯეიმს მილნერი** და **ედამ ჯონსონი** დაეხმარებიან. პირსს არ უთქვამს რომელი მეკარით შეცვლის ჰარტს, თუმცა ალბათ **სკოტ ლოუჩს** თამაშის მეტი შანსი აქვს, ვიდრე - **ჯო ლუისს. ჰორსტ ჰრუბეშს** დისკვალიფიკაციის გამო ფორვარდი **აშკან დეჟაგა** დააკლდება, მას **სანდრო ვაგნერი** შეცვლის. გუშინ კოჭის ტრავმის გამო არ უვარჯიშია **მარკო მარინს**, სამაგიეროდ გერმანიას უბრუნდება გამოჯანმრთელებული კაპიტანი **სამი ხედირა**.


ვის დარჩება ტიტული?

**სტიუარტ პირსი** (ინგლისის ნაკრების მწვრთნელი): *„რა იყო აქამდე ნაკლებად მნიშვნელოვანია. მთავარი მატჩი ხვალ მალმიოში გაიმართება, ფანტასტიკური ფინალი გველის და თუ გვინდა ისტორიაში შევიდეთ, ეს ფინალი უნდა მოვიგოთ. წარმატებად მხოლოდ ევროპის ჩემპიონობას მივიჩნევ, სხვა ყველა შედეგი, მათ შორის „ღირსეული მარცხი" ფინალში, ჩემთვის წარუმატებლობაა„.*

**ჰორსტ ჰრუბეში** (გერმანიის ნაკრების მწვრთნელი): „ჩვენს წინა მატჩში ინგლისის ნაკრებს ჰქონდა გარკვეული უპირატესობა, განსაკუთრებით სტანდარტული მდგომარეობებისას. მაგრამ ჩემი კოლეგის და ვიზავის მსგავსად არც მე ვფიქრობ, რომ წინა შეხვედრას ფინალის წინ რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ მოსაგებად გავალთ, თუმცა შანსები 50-50-ზეა. ძალიან გვინდა გერმანიამ ახალგაზრდულ ასპარეზზე ჰეთ-თრიქი შეასრულოს".

სავარაუდო შემადგენლობები

**ინგლისი (4-3-3):** ლოუჩი - ქრეინი, რიჩარდსი, ონუჰა, ჯიბსი - კატერმოული, მუამბა, ნოუბლი - მილნერი, უოლკოტი, ჯონსონი (როუზი).

**გერმანია (4-4-2):** ნოიერი - ბეკი, ჰიოვედესი, ბოატენგი, შმელცერი - კასტრო, ხედირა, ებერტი, ბენ ჰატირა - იოზილი, ვაგნერი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სატრანსფერო ხლართები

# ჩაბი ალონსო ვილიაზე კიდია

## ბარსა კი ვალენსიელში ორ ფეხბურთელსა და 40 მილიონ ევროს იძლევა


დავიდ ვილია და ჩაბი ალონსო. რეალში ან ერთი იქნება, ან მეორე... ან არც ერთი

„ლივერპულიდან" **ჩაბი ალონსოს** წასვლა მწიფდება. ევროპის ჩემპიონს „რეალი" უხმობს. მაგრამ ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, იყიდის თუ არა სამეფო კლუბი **დავიდ ვილიას**. თუ ეს გარიგება ვერ შედგება, „რეალი" 28 წლის ლივერპულელზე გადაიტანს აქცენტს. როგორც ჩანს, „თეთრებში" მომწიფდა აზრი, რომ გუნდი მარტო თავდასხმა არ არის და ბალანსიცაა საჭირო. ალონსოს კი სწორედაც რომ დამბალანსებლის როლი დაეკისრება, თუმც „რეალის" პრიორიტეტად მაინც ვილია რჩება. ერთიცაა, რომ ინგლისური ტაბლოიდების მტკიცებით, პოსტზე დაბრუნებულ **ფლორენტინო პერესს** გუნდში რაც შეიძლება მეტი ესპანელის ხილვა სურს (ამის დასტურია თუნდაც **რაულ ალბიოლის** ამასწინანდელი ტრანსფერი).

ჯერჯერობით კი პერესმა ალონსოს უნდა მოუსინჯოს კბილი. „ლივერპული" მასში 30 მილიონ ევროს ითხოვს. მართალია, **რაფა ბენიტესი** ჯიუტობს - ამ ბიჭს ვერ შეველევითო, მაგრამ თუ სერიოზული წინადადება იქნა, „წითლების" ხელმძღვანელობა უთუოდ შეუდგება მის განხილვას და იქნებ, დაყაბულდეს კიდეც.

დავუბრუნდეთ ვილიას. „რეალისთვის" ცალკე სირთულეა ის, რომ ვალენსიელი ფორვარდის შეძენა „ბარსელონასაც" სწადია. ისტორიულ მტერთან პაექრობა კი პერესისთვის ერთგვარი აზარტია. ამ ბრძოლაში გამარჯვებისთვის ის შეიძლება ნებისმიერ მსხვერპლზე წავიდეს. თავის მხრივ, არც კატალონიელები აპირებენ თეთრი ბაირაღის აფრიალებას. სხვადასხვა წყაროს მტკიცებით, **ჟოან ლაპორტას** ამ ოპერაციისთვის რამდენიმე ვარიანტი აქვს მომზადებული. „ბლაუგრანა" მზადაა, „ვალენსიას" ურუგვაელი ცენტრალური მცველი **მარტინ კასერესი**, ბრაზილიელი ფორვარდი **კეირისონ დე სოუზა კარნეირო** და 40 მილიონი ევრო შეაძლიოს.

მოსალოდნელია, რომ კეირისონი სამშაბათს „ბარსასთან" 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. ის „პალმეირასის" ღირსებას იცავდა და ბოლო ბრაზილიური სეზონის 38 მატჩში 26 გოლი აქვს გატანილი. მაგრამ კატალონიელებს ისიც ესმით, რომ 21 წლის ფორვარდს ამ კამპანიაში გაუჭირდება და ამიტომაც განიხილავენ იჯარის ვარიანტს. რაც შეეხება მის კბილა კასერესს, გასულ სეზონში მან მხოლოდ 13 მატჩში მიიღო მონაწილეობა (სამაგიეროდ, ურუგვაის ეროვნული გუნდის მაისურა 15-ჯერ სცმია), ამიტომ, მისთვის შეიძლება შვებაც იყოს „ვალენსიაში" წასვლა, სადაც „რეალში" წასული **რაულ ალბიოლის** ადგილს დაიკავებს. სხვათა შორის, გაგახსენებთ, რომ „ვალენსიას" მისი ყიდვა ჯერ კიდევ იანვარში სურდა.

ჰო, მართლა, არც ის დაგვავიწყდეს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედსაც" აქვს გაცხადებული ვილიას ყიდვის სურვილი და მის დაკმაყოფილებაში ერთბაშად 48 მილიონ ევროსაც გაიღებს. საინტერესოა, რა გზას დაადგება „ვალენსია". არა გვგონია, მომავალ სეზონში ის „ბარსას" ან „რეალის" კონკურენტი იყოს და აქედან გამომდინარე, მისთვის პრინციპული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმას, თუ ვის მიჰყიდის უძვირფასეს ფორვარდს. მთავარი ის არის, ვინ გადაიხდის მეტს. მეორე საკითხია, რა უნდა თავად ვილიას. არც ეს არის ბოლომდე გარკვეული...

ლუკა სიხარულიძე

# პატომ რომანი გააბა

მოკლედ, გაირკვა - **რომან აბრამოვიჩი** „ჩელსის" ახალ მწვრთნელ **კარლო ანჩელოტის** სატრანსფერო სეზონზე 100 მილიონ გირვანქას აძლევს. ცნობილია აგრეთვე, რომ „მილანის" მრავალგზისი უარის მიუხედავად, აბრამოვიჩის მთავარი სამიზნე გახლავთ 19 წლის ბრაზილიელი **ალეშანდრე პატო**. ვიმეორებთ, „მილანის" უარი აბრამოვიჩს არ ადარდებს. სულ რამდენიმე დღეა გასული მას მერე, რაც „როსონერიმ" ლონდონელთა 45 მილიონიანი წინადადება უარყო, მაგრამ უახლოეს დღეებში მილანელთა ოფისში ფაქსის აპარატი ახალ ფურცელს ამოაგდებს - 50 მილიონი ფუნტი!

მიმდინარე სატრანსფერო სეზონში ორი გარიგება „ლურჯებმა" უკვე დაასრულეს. ახალ შენაძენთაგან ერთი გახლავთ 25 წლის რუსი **იური ჟირკოვი**, რომელიც აქამდე ცსკა-ში თამაშობდა, ხოლო მეორე 19 წლის **დენიელ სტარიჯი**, „მანჩესტერ სიტიდან".

კარლო ანჩელოტი, რომელიც ახალ გუნდში მუშაობას ოთხშაბათიდან დაიწყებს, ლონდონში სასურველ მოთამაშეთა მთელი სიით გახლავთ ჩასული. ამ სიაში ბევრი ცნობილი გვარი წერია: მილანელი **ანდრეა პირლო**, „ბაიერნის" **ფრანკ რიბერი**, ლივერპულელები - **ფერნანდო ტორესი** და **ჩაბი ალონსო**, არსენალელი **სესკ ფაბრეგასი**...

გარდა ამისა, მოსაგვარებელია ურთიერთობა „ჩელსის" ძველ ფეხბურთელებთან. ამბობენ, რომ იტალიელი მწვრთნელი მზად არის კვირაში 125 ათასი ფუნტი შესთავაზოს **დიდიე დროგბას**, **ეშლი კოულსა** და **მიკაელ ესიენს**. აი, დარჩებიან თუ არა გუნდში ახალდაქორწინებული **ჯო კოული** და პორტუგალიელი **ჟოზე ბოსინგვა**, უცნობია.


პატო და კარლეტო ისევ ერთად იქნებიან?


ლუიშ ფაბიანო

# მილანს ფული არ აქვსო...

**ლუიშ ფაბიანოს** მავანი ბრაზილიელი წარმომადგენელი, ჟოზე ფუენტეში ამბობს, რომ „მილანს" მისი კლიენტის საყიდელი ფული არ აქვს და ამიტომ, ყველაფერს აჯობებს, თემა დასაწყისშივე თუ ამოიწურება - რა საინტერესო ნათქვამია, არა? არადა, მეორე მხრივ, ფაქტი ფაქტად რჩება: „სან სიროზე" „ვოლფსბურგში" მოთამაშე ბოსნიელი **ედინ ჯეკოს** ყიდვა გაუჭირდათ...

„როსონერის" ვიცე-პრეზიდენტი, **ადრიანო გალიანი** კი ყინჩად არის და ამბობს, რომ თუ ჯეკოს ყიდვა არ გამოვა, ფაბიანო ან **ემანუელ ადებაიორი** გახდება შესაძენი. ფაბიანო, მოგეხსენებათ, „სევილიაში" გამოდის, ადებაიორი კი „არსენალში".

„რადიო რადიოსთვის" მიცემულ ინტერვიუში ზემოხსენებულმა აგენტმა ფუენტეშმა განაცხადა:

*„ლუიშ ფაბიანოს „სევილიიდან" გამოსყიდვას „მილანი" ვერ შეძლებს. გულახდილად გეტყვით, მილანელებს ამწუთას ამ საქმის სამყოფი ფული არ აქვთ. მოდი, სიმართლეს თვალებში შევხედოთ, დღეს 30 მილიონი ფუნტის გადამხდელი მთელ ევროპაში ოთხიხუთი კლუბია".*

ფუენტეშის ამ კომენტარმა ცხადყო, რომ „სევილია" ფაბიანოს გაყიდვას არ აპირებს, მითუფრო, რომ მალე ჩემპიონთა ლიგაში მოუწევს გამოსვლა. რაც შეეხება თავად ფაბიანოს, მან ფეხბურთელებისთვის ჩვეული დიპლომატიურობით თქვა, რომ „სევილიაში" დარჩენა სურს, მაგრამ რომელიმე დიდი კლუბის წინადადებასაც სიამოვნებით მოუსმენდა.


სამუელ ეტოო

# სამუელს სიტი მოელის

ინგლისური News of the world-ის ცნობით, „მანჩესტერ სიტიმ" **სამუელ ეტოოსთან** დაკავშირებით ყველაფერი მოაგვარა და კამერუნელ თავდამსხმელს „ბარსელონადან" უეჭველად გადაიბირებს. საკვირაო გაზეთი ირწმუნება, რომ ეტოოში „სიტი" 25 მილიონ ფუნტს გადაიხდის. იგივე წყარო გვატყობინებს, რომ ამ კვირაში მანჩესტერელების სატრანსფერო დანახარჯი ჯამში 90 მილიონ გირვანქამდე ავა. ეს მას მერე მოხდება, რაც „სიტი" კონტრაქტზე არგენტინელი **კარლოს ტევესის** ხელმოწერას დაიგულებს.

28 წლის კამერუნელი ფორვარდი ყველა დეტალის საბოლოოდ შესათანხმებლად ინგლისში ამ დღეებში ჩავა (თუ უკვე იქ არ არის), ტევესს კი კლუბის ოფისში ოთხშაბათს ელიან - „მანჩესტერ იუნაიტედიდან" გაქცეული თავდამსხმელი ქალაქის მეორე ბოლოში ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

რაც შეეხება ეტოოს ანაზღაურებას: თავიდან კამერუნელმა კვირაში 200 ათასი ფუნტი მოითხოვა (ზოგი წყაროს თანახმად 230 ათასიც კი), მაგრამ News of the world-ის მტკიცებით, ახლა ხუთი წლის განმავლობაში 180 ათასზეც თანახმაა. რასაკვირველია, ამ თანხაში პრემიები არ შედის.

ინგლისურ ტაბლოიდს საქმეში ჩახედულმა ადამიანმა უამბო: *„ასეთივე ხელფასის აღება ეტოოს „ბარსელონაშიც შეეძლო, მაგრამ ის ფიქრობს, რომ მანჩესტერში გადასვლა მაინც ღირს, განსაკუთრებით კი „სიტის" სატრანსფერო პოლიტიკით არის კმაყოფილი".*

„ბარსელონა" კი ამასობაში ბრაზილიური „პალმეირასიდან" 13 მილიონ ევროდ **კეირისონის** შეძენას აპირებს. ამბობენ, რომ კატალონიელები ამ კეირისონს არ დაიტოვებენ და იყიდიან თუ არა, უმალ „ვალენსიას" მიაქირავებენ, რათა ამ უკანასკნელს 37 მილიონად დაფასებულ **დავიდ ვილიასთან** შელევა არ გაუჭირდეს - აი, ასეთი დახლართული გახლავთ ეტოოს ჩანაცვლების ოპერაცია.

„სიტიმ", მოგეხსენებათ, უკვე შეიძინა **გარეთ ბერი** და **როკე სანტა კრუსი**, რაშიც 30 მილიონი წაუვიდა.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრანსფერო ხლართები


რუუდ ვან ნისტელროი

# ბლექბერნი ვან ნისტელროისთვის?

„ბლექბერნის" მწვრთნელ **სემ ელერდაისს** ჰოლანდიელი **რუუდ ვან ნისტელროის** პრემიერლიგაში დაბრუნება სურს. მოგეხსენებათ, ელერდაისს სეზონის დამთავრების შემდეგ ორი თავდამსხმელი, **როკე სანტა კრუსი** და **მეტ დერბიშირი** წაუვიდნენ, რამაც ახალი ფორვარდის ძებნის აუცილებლობა აგრძნობინა.

სხვათა შორის, ელერდაისი ის კაცია, რომელსაც გამორჩეული ფეხბურთელების დაყოლიება ეხერხება. გავიხსენოთ, თუ გნებავთ, 2006 წელს ფრანგი **ნიკოლა ანელკას** „ბოლტონში" გადაბირების ამბავი. ასე რომ, დღეს 33 წლის ვან ნისტელროის „რეალიდან" წამოყვანა რომ შეძლოს, ზებუნებრივი ამაში არაფერი იქნება.

*„გახსოვთ ის ამბავი? ელოდა ვინმე „ანელკა „ბოლტონში" რომ ჩამოვიდოდა? რასაკვირველია არავინ. ახლაც, ვან ნისტელროის გადმობირება რომ შევძლო, ძალიან წარმატებული ნაბიჯი იქნება"*, - თქვა მწვრთნელმა.

შეგახსენებთ, რომ რუუდ ვან ნისტელრომ ხუთი წელიწადი „ოლდ ტრეფორდზე" გაატარა, „მანჩესტერ იუნაიტედში", სადაც თითქმის 200 შეხვედრაში 150 გოლი გაიტანა. მერე, 2006 წლის ზაფხულში ჰოლანდიელი „რეალმა" იყიდა, თუმცა, „სანტიაგო ბერნაბეუზე", მთელი რიგი მიზეზების გამო „მანჩესტერულად" ველარ ითამაშა, რასაც უკვე ახალი სირთულეები ემატება: მადრიდელებმა ბოლო ხანს **კაკა** და **კრისტიანო რონალდო** შეიძინეს...

თუმცა აქვს კი სემ ელერდაისს ვან ნისტელროის საყიდელი ფული? როგორც BBC წერს, სანტა კრუსის „მანჩესტერ სიტიში" 17 მილიონ და დერბიშირის ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" 3 მილიონ ფუნტად გაყიდვა „ბლექბერნის" თავკაცს ამის საშუალებას სწორედაც რომ აძლევს.

*„ხელფასი, რომელსაც ვან ნისტელროი „რეალში" იღებდა, ჩვენთვის შესაძლოა მეტისმეტად მაღალია, მაგრამ თუ მას ინგლისში დაბრუნება სურს და მზადაა საამისოდ ჯამაგირის შემცირებას დაყაბულდეს, მაშინ ყველაფერი რიგზე ყოფილა"*, - განმარტა ელერდაისმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ამბობენ, „ბლექბერნი" ვან ნისტელროისთვის ინგლისში დაბრუნების ერთადერთი ვარიანტი სულაც არ არის. ვან ნისტელროი „ტოტენჰემის" მწვრთნელ **ჰარი რედნაპსაც** ძალიან მოსწონს და შესაძლოა, ელერდაისს კონკურენციაც გაუწიოს.

და კიდევ ერთი. ელერდაისმა განაცხადა, რომ ხმები - „ნიუკასლიდან" წასული **მაიკლ ოუენის** „ბლექბერნში" მისვლის თაობაზე სიმართლეს არ შეეფერება.

ელერდაისი: *„აქ მთავარი პრობლემა ის დაუსრულებელი ტრავმებია, რომლებიც ოუენს უკვე რა ხანია თან სდევს. მე კი მჭირდება თავდამსხმელი, რომელიც მომდევნო სეზონში 30 შეხვედრას ჩამიტარებს. მაიკლს აგერ უკვე ოთხი წელიწადია ასეთი რამ არ გაუკეთებია"*.




# აბა, ვის მოსწონს ხულიო კრუსი?

## კორვინომ, ბერგი აბსურდიაო...


ხულიო კრუსი

„ფიორენტინას" სპორტული დირექტორი **პანტალეო კორვინო** არ მალავს, რომ „ინტერის" თავდამსხმელის **ხულიო კრუსის** შეძენაზე ფიქრობს. საქმე ის გახლავთ, რომ 34 წლის არგენტინელი „ნერაძურიში" აშკარად ზედმეტია, სხვა კლუბებს კი მისი შეძენა ძალიანაც უნდათ.

*„ავწონ-დავწონით და ვნახავთ, რამდენად შესაძლებელია კრუსის ფლორენციაში გადმოყვანა, - ბრძანა კორვინომ, - ფაქტი ისაა, რომ ჩვენს მწვრთნელს არგენტინელის თამაში მოსწონს და კლუბის ხელმძღვანელები შევეცდებით მისი სურვილი შევასრულოთ. ამასთან, კრუსი სულაც არ არის ერთადერთი, ვისი შეძენაც „ფიორენტინას" უნდა, თუმცა ხშირია ჭორები, რომელთაც სიმართლესთან არანაირი კავშირი არ აქვთ. მაგალითად, ამბობენ, რომ ჩვენ „გრონინგენის" მოთამაშის მარკუს ბერგის შეძენა გვსურს, რაც აბსურდია"*.

მარკუს ბერგსა და ფიორენტინაზე მართლა იმდენს ლაპარაკობენ, რომ თქვენი ნებართვით ორიოდ სიტყვით შევჩერდებით: 21 წლის შვედზე ყველაზე დიდი ხმაური ჰოლანდიურმა პრესამ ატეხა - „გრონინგენი" ხომ ჰოლანდიური გუნდია, რომელიც ერედივიზიეს ბოლო ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე გავიდა. ასაკის მიუხედავად, ამ თავდამსხმელმა უკვე მოასწრო სახელის დაგდება. ნიშანდობლივია, რომ „გრონინგენის" შემადგენლობაში მან 57 შეხვედრაში 33 გოლი გაიტანა. ბერგს „გრონინგენში" კიდევ 2 წელიწადი დარჩა გასატარებელი, ფორვარდის წინა გუნდი კი გახლდათ შვედური „გიოტებორგი", რომელმაც ორი წლის წინ ის 9.5 მილიონ გირვანქად გაყიდა. ესეც გვერდზე გადავდოთ და მთლად ახალი ვთქვათ - შვედეთში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში, სადაც მისი გუნდი ნახევარფინალიდან გავარდა, ბერგმა 4 მატჩში 7 (!) გოლის გატანა მოახერხა.

მისი შეძენის მსურველთა შორის არიან „აიაქსი" და „ლაციოც". კრუსის ამბავზე კი კიდევ იმას მოგახსენებთ, რომ „ფიორენტინას" „რომასა" და „ნაპოლის" კონკურენციასთან გამკლავება მოუწევს. საინტერესოა, რომ „ბენფილდის", „რივერ პლეიტის", „ფეიენოორდისა" და „ბოლონიას" ყოფილ ფეხბურთელს წინა კვირაში ბერძნულ „პანათინაიკოსთან" კონტრაქტის გაფორმებამდე ცოტა დააკლდა, მაგრამ გარიგება ბოლო წამს ჩაიშალა და ათენის კლუბმა ფრანგ **ჯიბრილ სისესთან** გამონახა საერთო ენა.


იაია ტურე

# აი, იაია...

## ტურე შეიძლება წავიდეს

**იაია ტურემ**, მართალია, „ბარსელონასთან" სულ ახლახან მოაწერა ახალ კონტრაქტს ხელი, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, ამ გაგანია სატრანსფერო სეზონში, ბევრს არაფერს ნიშნავს - 26 წლის კოტდივუარელი ფეხბურთელის შეძენას მაინც ცდილობენ. ტურეს მოსურნე კლუბთაგან ერთ-ერთი გახლავთ „მანჩესტერ იუნაიტედი", თუმცა, ამბობენ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ „მანჩესტერი" და „ბარსელონა" საერთო ენას გამონახავენ, ფეხბურთელი ინგლისში იანვრამდე ვერ გადავა.

და რად უნდა „იუნაიტედს" ტურე? **ოუენ ჰარგრივზის** შესაცვლელად. როგორც გაზეთი „მირორი" ამბობს, ტურეს ტრანსფერი ინგლისის ჩემპიონს 25 მილიონი ფუნტი ანუ 29 მილიონი ევრო დაუჯდება.

სხვათა შორის, „იუნაიტედს" ძალიან უნდოდა, „ბარსელონას" „ლივერპულთან" ვაჭრობაში ხელი მომართვოდა და არგენტინელი **ხავიერ მასკერანო** ეყიდა, ეგონა, ასეთ შემთხვევაში კატალონიელები ტურეს უფრო იოლად შეელეოდნენ, მაგრამ მასკერანოს ყიდვის მაგივრად ბარსელონელებმა, აგერ, ტურეს გაუგრძელეს ხელშეკრულება.

ასე და ამგვარად, ტურემ კონტრაქტი გაახანგრძლივა, რითაც, ერთი მხრივ, მისი ფასი გაიზარდა და მეორე მხრივ, თუ ესპანეთის ჩემპიონმა ახალი ვერავინ იყიდა, ისევ მას დაეყრდნობა. მოკლედ, „მანჩესტერსა" და „ბარსას" შორის გარიგება ან ამ ზაფხულს შედგება, ანაც ახალ წელს.

აღიარება

# ბერბატოვის მსხვერპლი

**კარლოს ტევესმა** თავისი წყენის კიდევ ერთი და ვინ იცის, ყველაზე მნიშვნელოვანი საბაბი გაამხილა. ახლა უფრო მეტი პასუხია კითხვაზე, რატომ დატოვა არგენტინელმა „მანჩესტერ იუნაიტედი", რატომ თქვა უარი ინგლისის ჩემპიონთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე, რომლის თანახმადაც, კლუბის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ჯამაგირის მქონე ფეხბურთელი ხდებოდა.

თავდამსხმელი, რომელიც, სავარაუდოდ, ამ კვირაში „მანჩესტერ სიტიში" გადავა, თურმე „იუნაიტედში" ბულგარელი თავდამსხმელის, **დიმიტარ ბერბატოვის** გამოჩენასა და მას მოყოლებულ ამბებს გამოუყვანია წყობიდან.

*„გამოჩნდა თუ არა გუნდში ბერბატოვი, თავი მეორეხარისხოვნად ვიგრძენი, - თქვა ტევესმა, - ჩამოსული არ იყო, რომ სასტარტო შემადგენლობაში დაჯავშნული ჰქონდა ადგილი"*.

ტევესი, რომელიც, წინა კვირაში გავრცელებულ ცნობათა თანახმად „სიტიში" კვირაში 150 ათას ფუნტს აიღებს, ამბობს, რომ ალექს ფერგიუსონს ახალ კონტრაქტზე უარი იმიტომ უთხრა, რომ მან ადამიანების დაფასება არ იცის.

*„მანჩესტერში რომ ჩავდიოდი, ვიცოდი, რომ შეგუება და საკუთარი ადგილისთვის ბრძოლა დამჭირდებოდა. პირველ წელიწადს მართლაც ბევრი ჯილდო მოვიგეთ, მაგრამ შემდგომ სეზონში რაღაც პრობლემის გამო ბუენოს აირესში დამჭირდა დაბრუნება. რომ დავბრუნდი „ლივერპულთან" ვითამაშე. ბერბატოვის მხარდამხარ დავიწყე. უეინ რუნი და კრისტიანო რონალდოც მოედანზე იყვნენ. 2:1 დავმარცხდით, მაგრამ ჩვენი ერთადერთი გოლი მე გავიტანე. შემდეგ ტურში კი, რატომღაც, ისინი ყველანი მოედანზე იყვნენ, მე კი სკამზე გადავინაცვლე. ის დღე იყო და ის დღე, ფერგიუსონმა შევიწროვება დამიწყო. მოკლედ, გასული სეზონი ჩემთვის დიდ განცდებთან გამოდგა დაკავშირებული. ვგრძნობდი, რომ პატივს არ მცემდნენ, თუმცა ფერგიუსონთან მაინც ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. რამდენიმე დღის წინ დამირეკა და მითხრა, რომ ჩემი დატოვება სურდა, მაგრამ უარი ვუთხარი"*.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**


კარლოს ტევესი დიმიტარ ბერბატოვს დაუღუპია...

შალკე

# დესპოტის შავი სია

## მაგათს ასამოა, შტრაიტი, სანჩესი და გროსმიულერი თვალში არ მოუვიდა



კიბეებზე სირბილი ფელიქს მაგათის საყვარელი ვარჯიშია

დაიწყო თუ არა **ფელიქს მაგათმა** „შალკეს" გაწვრთნა, გუნდის სამწვრთნელო შტაბიდან პირველივე დღეს სამი სპეციალისტი დაიფრინა: **მაიკ ბიუსკენსი, იური მიულდერი** და **ოლივერ რეკი**. პრინციპში, მოსალოდნელიც იყო, რომ გელზენკირხენული კლუბის ახალი მწვრთნელ-მენეჯერი ამ სამეულს კონტრაქტებს არ გაუგრძელებდა, რადგან ფელიქსს თავისი სამწვრთნელო შტაბი ჰყავს და „შალკეშიც" ამ შტაბით მივიდა. „დესპოტ ფელიქსს" **ლევან კობიაშვილისა** და **ლევან ყენიას** გუნდში მხოლოდ მეკარეების მწვრთნელი არ ჰყავდა მიყვანილი და შესაბამისად, მას რეკის შემცვლელი სჭირდებოდა. შაბათის შემდეგ კი ცნობილია, რომ გელზენკირხენელ კიპერებს ამიერიდან 42 წლის **ბერნდ დრეერი** გაწვრთნის. ამ უკანასკნელს ფელიქსი „ბაიერნიდან" იცნობს. დრეერი მიუნხენური გრანდის მეკარე გახლდათ, მერე კი მეკარეების ერთ-ერთი მწვრთნელის პოსტი ეკავა, მაგრამ რეკორდმაისტერიდან **იურგენ კლინსმანმა** დაიფრინა. უმუშევარ დრეერს კი ახლა მაგათი ასაქმებს – „შალკეში".

*„ბერნდ დრეერი წლების განმავლობაში „ბაიერნში" თამაშობდა და მუშაობდა, ოლივერ კანს ავარჯიშებდა და დარწმუნებული ვარ, რომ რეკის საქმეს იდეალურად გააგრძელებს. ჩვენს მეკარე მანუელ ნოიერს სწორედ ასეთი მაღალკვალიფიციური დამრიგებელი სჭირდება,"* - განაცხადა მაგათმა და მოგვიანებით მოულოდნელი ბლიცშეკრება დაგეგმა: დღეიდან ფელიქსი თავის შეგირდებს აღმოსავლეთ ვესტფალიაში, კერძოდ მარიენფელდში წაასხამს.

მაგათის მიზანი „შალკეს" გაჩემპიონებაა და აქედან გამომდინარე, ყველასათვის ცხადია, რომ „დესპოტი ფელიქსი" ახალი შეგირდების კარგად გაცნობის შემდეგ, გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელს გაუშვებს. პირველ რიგში იმიტომ, რომ ტრანსფერებისთვის მხოლოდ 5 მილიონი აქვს გამოყოფილი და აშკარად მეტი სჭირდება. და რაკი შეფებისგან მეტს ველარ მიიღებს, იძულებულია, სამი-ოთხი მოთამაშე გაყიდოს, რათა მერე გუნდის გაძლიერება შეძლოს. ფელიქსმა თქვა, რომ წელს „შალკეში" გრანდიოზულ ცვლილებებს არც უნდა ველოდეთ, მაგრამ მაგათი რისი მაგათია, რამდენიმე ახალი ფეხბურთელი რომ არ დაიმატოს. პირველი ვარჯიშის შემდეგ ფელიქსი აბსოლუტურად კმაყოფილი არ დარჩენილა და თქვა: *„მე ყველას მივცემ შანსს, ამიტომაც დავაბრუნე ძირითად გუნდში ის ფეხბურთელები, რომლებიც გასული სეზონის მეორე ნახევარში გუნდის მიერ დისკვალიფიცირებულები იყვნენ. სამწუხაროდ, ასპროცენტიანი მონდომება და თავდადება ყველას ვერ შევამჩნიე!"*

გაზეთი „ბილდი" საიდუმლო წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ მაგათი ოთხი ფეხბურთელის მონდომება-მოტივაციის დონით დარჩა უკმაყოფილო. ესენი არიან: **ალბერტ შტრაიტი, კარლოს გროსმიულერი, ჯერალდ ასამოა** და **ვისენტე სანჩესი**. შესაბამისად, „ბილდის" ცნობით, ისინი გაყიდვის ნომერ პირველი კანდიდატები არიან. აქვე გეტყვით, რომ ვარჯიშზე საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო და „შალკეს" სავარაუდოდ სექტემბრამდე ვერ დაეხმარება 27 წლის საყრდენი ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯონსი**.

შტუტგარტი

# ბაბელი: ჩვენ დიდი მიზნები გვაქვს!

## შვაბებმა მზადება რეალის ლანძღვით დაიწყეს

„შტუტგარტმა" ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო და შვაბური კლუბის ბანაკიდან პირველივე დღეს ხმაურიანი შეძახილები გაისმა. გუნდის გენერალურმა მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** მადრიდის „რეალის" შეფები გააკრიტიკა და მათ ფეხბურთის დაბინძურებაში დასდო ბრალი. *„ყველაფერი ის, რაც ახლა ფეხბურთში ხდება, უფრო სწორად, რასაც მადრიდული გრანდის შეფები აკეთებენ, ნამდვილი სიგიჟეა. „რეალის" პრეზიდენტი ფულს აქეთ-იქით ისე ისვრის, თითქოს მონოპოლიას თამაშობდეს. ეს ყველაფერი უკვე აუტანელი და მიუღებელია,"* - განაცხადა ჰელდტმა.

თვითონ ჰელდტი ახლა „ბაიერნში" გადასული **მარიო გომესის** შემცვლელს ეძებს და ამბობს, ჩვენგან ასეთ ნაბიჯებს ნურავინ ელისო. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, შვაბები ძალიან ახლოს არიან სერბეთის ნაკრების ფორვარდ **მილან იოვანოვიჩის** გადაბირებასთან, რომელიც ლიეჟის „სტანდარდის" ღირსებას იცავს. თუმცა კლუბებს შორის მოლაპარაკებები ინელება და ჰელდტიც ამბობს, ჩვენ არსად გვეჩქარებაო. ფაქტია, რომ შვაბებმა დღემდე მხოლოდ ორი ფეხბურთელი გადაიბირეს: **სტეფანო ჩელოცი** (კარლსრუედან) და **მათიას შვარცი** (ინგოლშტადტიდან). მენეჯერის თქმით, „შტუტგარტი" კიდევ რამდენიმე ტრანსფერს განახორციელებს.

*„ამ დღეებში კიდევ რამდენიმე ახალწვეული გვეყოლება,"* - ამბობს ჰელდტი და იქვე აღიარებს, რომ კლუბის შემადგენლობაში მყოფ მოთამაშეებთან ახალ ხელშეკრულებებზე მოლაპარაკებები რთულად მიმდინარეობს, ყველას ხელფასის გვარიანად მომატება უნდაო. მოგეხსენებათ, „შტუტგარტში" გადასვლის ერთ-ერთი კანდიდატი „ჰოფენჰაიმის" სენეგალელი ფორვარდი **დემბა ბაა**. ჰელდტმა უარყო ბოლო დროს გავრცელებული ხმები იმის შესახებ, თითქოს „შტუტგარტი" მზადაა, ბას სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო გადაიხადოს.

*„მომავალი სეზონისთვის ძალიან სერიოზული მიზნები გვაქვს. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა რთული იქნება, მაგრამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჯგუფში მოვხვდეთ და იქ კი გაცილებით უკეთ ვიასპარეზოთ, ვიდრე 2 წლის წინ ვიასპარეზეთ, როცა 6 თამაშიდან 5 წავაგეთ. ჩვენი მიზნები უცვლელია ბუნდესლიგაშიც, პროგრამა მაქსიმუმი გერმანიის ჩემპიონობაა, მინიმუმი კი ხუთეულში მოხვედრა,"* - ეს კი გუნდის მთავარი მწვრთნელის, **მარკუს ბაბელის** სიტყვებია.

შტუტგარტს ამბიცია მოეძალა



ჰამბურგი



ბრუნო ლაბადიას ბევრი საფიქრალი აქვს

# ლაბადიას გაუჭირდა

## ბრუნო სათადარიგოთა სკამსაც კი ვერ ავსებს

„ჰამბურგის" გულშემატკივრები მოუთმენლად ელიან ახალ ვარსკვლავებს და დიდი შანსია, რომ ხვალ-ზეგ ჩრდილოგერმანულმა კლუბმა „ტვენტეს" 21 წლის ფეხბურთელი **ელერო ელია** წარადგინოს, მაგრამ ფაქტია, რომ მხოლოდ ამ ფეხბურთელის შეძენა საკმარისი არ იქნება. დღეს რომ ბუნდესლიგა იწყებოდეს, „ჰამბურგის" თავკაცი **ბრუნო ლაბადია** სათადარიგოთა სკამსაც კი ვერ შეავსებდა, რადგან ძირითად შემადგენლობას რომ თავი დავანებოთ, სკამზე მხოლოდ ამ ფეხბურთელებსღა ვიხილავდით: **კასტელენი, ჩუპო-მოტინგი, ბენჯამინი, პიტროიპა, ტავარესი** და **რინკონი**. მოკლედ, ლაბადიას განკარგულებაში დღესდღეობით მხოლოდ 17 ფეხბურთელია, რადგან **ივიცა ოლიჩმა** „ბაიერნს" მიაშურა (უფასოდ), **ტიმოთი ატუბას** და **ბასტიან რაინჰარდტს** კონტრაქტები დაუმთავრდათ (არ გაუგრძელეს), სათადარიგო მეკარე **ვოლფგანგ ჰეზლი** განათხოვრებულია, ნიჭიერმა თავდამსხმელმა **მაკალეი ხრიზანტუსმა** კი „კარლსრუეს" მიაშურა (არენდის წესით). ზამთარში „ჰამბურგმა" ოთხი ფეხბურთელი ინათხოვრა (**შტრაიტი, გრავგაარდი, ნდიენგი, სინუ**) და ოთხივე თავის კლუბებს დაუბრუნდა.

*„ახლა განაცხადში 17 ფეხბურთელი გვყავს და მე თითოეულ მათგანს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ფაქტია, რომ თუ მომავალ სეზონში წარმატების მიღწევა გვსურს, ახალი ჭრმოთამაშეები გვჭირდება. თითქმის ყველა პოზიცია საჭიროებს გაძლიერებას,"* - აცხადებს ლაბადია.

ვოლფსბურგი



ედინ ჯეკოს სხვა გზა არ აქვს

# ჯეკო: ვაი, ასეთ დარჩენას!

## ბოსნიელ გოლეადორს მილანში გადასვლა ძალიან უნდოდა

მოსწონს თუ არ მოსწონს, **ედინ ჯეკო** „ვოლფსბურგში" უნდა დარჩეს. ასეთია გერმანიის ჩემპიონი გუნდის ხელმძღვანელების ვერდიქტი. მიუხედავად იმისა, რომ „მილანმა" ყველაფერი გააკეთა ბოსნიელი გოლეადორის გადასაბირებლად და ფეხბურთელსაც ძალიან უნდოდა „როსონერიში" გადასვლა, „ვოლფსბურგის" ხელმძღვანელებმა მას წასვლის უფლება არ მისცეს.

ჯეკო შვებულებიდან შაბათს დაბრუნდა და „ვოლფსბურგის" ბაზაზე მისულმა, ჟურნალისტებს აცნობა, რომ გუნდში რჩება, მაგრამ ამით ბედნიერი არ არის. *„დიახ, მომავალ სეზონსაც „ვოლფსბურგში" გავატარებ, მაგრამ თუ გგონიათ, რომ ამით ბედნიერი ვარ, ძალიან ცდებით. „მილანში" გადასვლა ძალიან მინდოდა, მაგრამ „ვოლფსბურგმა" არ გამიშვა,"* - განუცხადა ჯეკომ ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

ცნობილია, რომ „მილანი" მზად იყო, ჯეკოს სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო გადაეხადა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძალოსნობა — საქართველოს ჩემპიონატი

# ალბერტ კუზილოვი გამარჯვებით დაბრუნდა


ალბერტ კუზილოვი

გუშინ, ქუთაისის ძალოსნობის ცენტრალურ დარბაზში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ძალოსნობაში, რომელსიც 14 გუნდის 150-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ყველაზე სასიხარულო **ალბერტ კუზილოვის** ქართულ ფიცარნაგზე დაბრუნება გახლდათ, რომელიც პეკინის ოლიმპიადის შემდეგ ცნობილი მიზეზების გამო **არსენ კასაბიევთან** ერთად საქართველოს ნაკრებიდან წასული იყო. საბედნიეროდ, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ძალოსანი საქართველოში ისევ დაბრუნდა და ქუთაისში საქართველოს ჩემპიონობასთან ერთად, საუკეთესო შედეგიც აჩვენა. ყველაზე საინტერესოდ სწორედ 105კგ წონით კატეგორიაში განვითარდა მოვლენები, სადაც **ალუდა მანაგაძე და ვილი ალექსიძე** კუზილოვის ძლიერი კონკურენტები იყვნენ. ალუდა მანაგაძემ, რომელსაც ატაცში 167 კილოგრამი დაძლეული ჰქონდა 170 კილოგრამინი შტანგის დამორჩილება ვეღარ მოახერხა, ალბერტ კუზილოვმა კი მეორე ცდაზე 180 კგ. შეუკვეთა და ამოცანას მშვენივრად გაართვა თავი. მისმა კონკურენტმა ალუდა მანაგაძემ აკვრაში 200 კგ. დაძლია, თუმცა კუზილოვმა მეორე გასვლაზე 223 კილოგრამი ასწია და პირველი ადგილი მოიპოვა. ამის შემდეგ, ალბერტმა 231 კილოგრამი შეუკვეთა, თუმცა მისი აწევა ვეღარ მოახერხა. მიუხედავად ამისა, ძალოსნობის დარბაზში შეკრებილმა მაყურებლებმა ახალგაზრდა სპორტსმენისთვის ოვაციები არ დაიშურეს. საქართველოს 17-წლამდე ნაკრების ერთ-ერთმა წამყვანმა ძალოსანმა ვილი ალექსიძემ, რომელმაც **ზურა თავაძესთან, კახა ჩიბურდანიძესთან** და გიორგი ლომთაძესთან ერთად სექტემბერში ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა იასპარეზოს, ამ ეტაპზე კუზილოვსა და მანაგაძეს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია, თუმცა ამ ნიჭიერ სპორტსმენს ყველაფერი წინ აქვს.

საინტერესოდ წარიმართა მოვლენები მძიმე წონაშიც. საქართველოს ნაკრების წევრმა **გია მაჭავარიანმა,** რომელიც ამ წონის ფავორიტად ითვლებოდა, ატაცში 170 კგ, აკვრაში კი 180 კილოგრამი დაძლია, თუმცა აჭარის გუნდის წარმომადგენელმა **ირაკლი თურმანიძემ** ბოლო ცდაზე აკვრაში 185 კგ. ასწია და რადგანაც ატაცში მასაც 170 კილიოგრამი ჰქონდა დაძლეული, მაჭავარიანს 5 კილოგრამით აჯობა და პირველობა მოიპოვა.

54კგ-ში იასპარეზა ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა ძალოსანმა, ზუგდიდის გუნდის წევრმა **ბაჩანა ქუხილავამ,** რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ახალგაზრდა სპორტსმენმა ორჭიდის ჯამში 180 კილო დაძლია და მესამე ადგილი მოიპოვა. ქუხილავა პირველ ადგილზე გასულ **შოთა მიშველაძეს** 15 კილოგრმით ჩამორჩა, მეორე ადგილოსან **ზვიად ფუტკარაძეს** კი მხოლოდ 4 კილოგრამით.

როგორც მოსალოდნელი იყო, 62 კგ-ში წონის ფავორიტმა **გიორგი ლომთაძემ** გაიმარჯვა. მან ორჭიდის ჯამში 255 კგ. დაძლია და მეორე ადგილზე გასულ **ზაზა აბულაძეს** მთელი 30 კილოგრამით აჯობა. დაძაბული პაექრობა იყო 69კგ. წონით კატეგორიაში ატაცში აქ ყველას ქუთაისელმა **ზურაბ თავაძემ** აჯობა (111 კგ.), მაგრამ ორჭიდის ჯამში აჭარელმა **ნუგზარ ჭინჭარაძემ** გაიმარჯვა (254), რომელმაც თანაგუნდელ **ვაჟა ქავთარაძეს** მხოლოდ ერთი კილოგრამით აჯობა, ზურა თავაძე კი მესამე ადგილს დასჯერდა.

85 კგ. წონით კატეგორიაში ახალგაზრდული ნაკრების ორი წევრი **ნიკა წიკლაური** და **იკა ცანავა** გამოდიოდნენ, რომლებიც **დავით გოგიასთან** (94კგ.) ერთად ივლისის ბოლოს შვედეთში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე იასპარეზებენ. წიკლაურმა ორჭიდის ჯამში 300 კილოგრამი დასძლია და მეორე ადგილი დაიკავა, ცანავამ კი ერთი კილოთი ნაკლები შედეგი აჩვენა და მესამე ადგილს დასჯერდა. ამ წონაში პირველი ადგილი ზუგდიდელმა **თემურ ჩხაიძემ** დაიკავა (310კგ).

ჩემპიონები და პრიზიორები ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და სეოკ-ის იმერეთის ორგანიზაციის მიერ დაწესებული პრიზებით დაჯილდოვდნენ.

„საინტერესო ჩემპიონატი იყო. შედეგებით კმაყოფილი ვართ, ძალოსნებმა კარგი მომზადების დონე აჩვენეს, რაც ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს. ქართული ძალოსნობა აღორძინების გზას ადგას. განსაკუთრებით ალბერტ კუზილოვის გამოსვლა უნდა აღვნიშნო, მან დღეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძლიერი სპორტსმენია და სასიხარულოა, რომ გარკვეული ფორმალური საკითხების მოგვარების შემდეგ იგი საქართველოს ნაკრებში დაბრუნდება. კორეის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც ოლიმპიადის ლიცენზიებიც გათამაშდება, მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ. კუზილოვთან ერთად, თუ ტრამვებმა ხელი არ შეუშალა, საპრიზო ადგილისა და ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვების შანსი გია მაჭავარიანსაც ექნება," - აღნიშნა ოლიმპიურმა ჩემპიონმა გიორგი ასანიძემ.

საქართველოს ჩემპიონატის პარალელურად ჩატარდა საქართველოს ლიგის მე-2-ე ტური, რომელშიც გამარჯვებულები სინკლერის სიის პრინციპით ვლინდება. ლიგაზე ერთმანეთს მწვრთნელები ეჯიბრებიან და მეორე ტურში ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. მალხაზ ლომთაძე (ქუთაისი)
2. ბეჟან ჭიჭინაძე (ზუგდიდი)
3. ავთანდილ გახოკიძე (თბილისი)
4. გურამ ფარულავა (თბილისი)
5. გია ცირეკიძე (ქუთაისი)
6. ბესო ბასილაია (აჭარა)

საქართველოს ჩემპიონატი. გამარჯვებულები და პრიზიორები:

**56 კგ**

1. შოთა მიშველაძე (ქუთაისი) 90+105-195
2. ზვიად ფუტკარაძე (აჭარა) 80+104-184
3. ბაჩანა ქუხილავა (ზუგდიდი) 80+100-180

**62 კგ**

1. გიორგი ლომთაძე (ქუთაისი) 110+145-255
2. ზაზა აბულაძე (აჭარა) 100+125-225
3. ზაზა ფუტკარაძე (აჭარა) 95+122-217

**69 კგ**

1. ნუგზარ ჭინჭარაძე (აჭარა) 110+144-254
2. ვაჟა ქავთარაძე (აჭარა) 110+143-253
3. ზურა თავაძე (ქუთაისი) 111+140-251

**77 კგ**

1. ბექა კახაძე (ქუთაისი) 125+160-285
2. ლევან ხუზაურაშვილი (თბ.) 115-+140-255
3. კახა ბალდავაძე (ქუთაისი) 115+138-253

**85 კგ**

1. თემურ ჩხეიძე (ზუგდიდი) 140+170-310
2. ნიკა წიკლაური (თბილისი) 135+165-300
3. იკა ცანავა (ზუგდიდი) 135+164-299

**94კგ**

1. თემურ გოგია (ზუგდიდი) 160+187-347
2. დავით გოგია (ზუგდიდი) 147+185-332
3. ნაილ ისმაილოვი (თბ.) 135+180-315

**105 კგ**

1. ალბერტ კუზილოვი (თბილისი) 180+223-403
2. ალუდა მანაგაძე (ქუთაისი) 167+200-367
3. ვილი ალექსიძე (აჭარა) 140+175-315

**მძიმე**

1. ირაკლი თურმანიძე (აჭარა) 170+185-355
2. გია მაჭავარიანი (აჭარა) 170+180-350
3. ლევან მამისაშვილი (თბ.) 148+177-325

**გუნდური:**

1. აჭარა, 2. ქუთაისი, 3.თბილისი და ზუგდიდი (თანაბარი ქულები დააგროვეს).

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ძიუდო — ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკებში


მარცხნიდან მესამე ლუხუმ ჩხვიმლიანი


მარჯვნივ ირაკლი ლომიძე

# ჭაბუკთა ბრინჯაოს ხანა

საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრებს „ბრინჯაოს ხანა" დაუდგა - სლოვენიურ კოპერში დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატში გამოსვლა სამი ბრინჯაოთი დაასრულა. პარასკევს, ჩემპიონატის გახსნის დღეს, **ლუხუმ ჩხვიმლიანის** (55) მიერ მოპოვებულ მედალზე უკვე გესაუბრეთ, მომდევნო დღეებში კი ანალოგიურ წარმატებას **ირაკლი ლომიძემ** (66) და **ლევან რუაძემ** (81) მიაღწიეს. აღსანიშნავია, რომ შარშანდელი შემადგენლობიდან წლევანდელ გუნდში მხოლოდ ეს ორი მოჭიდავე შემორჩა და მათი წარმატება ლოგიკურიცაა. მართალია, შარშან ორივე თითო წონითი კატეგორიით დაბლა გამოდიოდა, მაგრამ სხვებთან შედარებით, ბევრად გამოცდილებიც იყვნენ. სწორედ გუნდის გამოუცდელობა იყო ის მიზეზი, რის გამოც ნაკრების თავკაცი **ჯემალ ნათელაშვილი** პროგნოზებისას თავს იკავებდა და ამბობდა, რომ დიდ წარმატებას არ ელოდა. მწვრთნელის შიში გამართლდა და სლოვენიაში გუნდი მართლაც წარუმატებლად გამოვიდა. მართალია, სამ მედალს ვერც კრახს და ფიასკოს დავარქმევთ, მაგრამ საქართველოს ნაკრები (მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ასაკზეა ლაპარაკი) იმ ყალიბრის გუნდია, რომლის მსგავსებსაც ტურნირის უჩემპიონოდ ჩამთავრება მარცხად ეთვლებათ. მეტიც - ჩვენნაირებისთვის უფინალოდ დასრულებული ნებისმიერი შეჯიბრება წარუმატებლობაა, არათუ ფინალამდე ვერმიღწევა, ამჯერად კი ვერც ერთი ჩვენებური ნახევარფინალშიც ვერ გავიდა.

არადა, ლომიძემ და რუაძემ ზედ ნახევარფინალთან წაიფორხილეს. იქამდე უფრო დამაჯერებლად ლომიძე მივიდა და თითქოს არც იმ ბარიერის გავლა უნდა გასჭირვებოდა - ჩვენებურმა ხომ მანამდე ორი შეხვედრა მოიგო იპონით, ხოლო მისი მძლეველი, ლატვიელი **დმიტრი ფედოსეენკოვსი** ძლიერი საჭიდაო სკოლის წარმომადგენელი არაა. მართალია, მანამდე ლატვიელმაც ორი იპონი მიითვალა, მაგრამ ნახევარფინალი მისი მაქსიმუმი აღმოჩნდა და საბოლოოდ ისიც მესამეზე გავიდა. ვეჭვობთ, ის ვინმეს წონის ფავორიტებში მიეჩნია და მასზე უფრო საშიში ლომიძის პირველი მეტოქე, ბულგარელი **ივაილო ივანოვი** ჩანდა, როგორც უფრო ძლიერი სკოლის წარმომადგენელი, მაგრამ ფაქტია - ჩვენებურმა მას სულ რაღაც 40 წამში იპონით მოუგო, ლატვიელთან კი ვაზარით დამარცხდა. მანამდე ლომიძემ სლოვენიელ **პრიმოჟ მარინჩიჩსაც** კარგად დაქოქილ მანქანასავით გადაურბინა - იუკო, ვაზარი და ბოლოს იპონი მის სასარგებლოდ. თუმცა ლატვიელთან ყველაფერი ავბედითად შემოუბრუნდა და რაკილა ეს მეოთხედფინალში მოხდა, დამამშვიდებელში გადაერთო. კიდევ კარგი, მედლამდე დარჩენილ იმ ორ შეხვედრაში ძველი დამაჯერებლობა დაიბრუნა და ორივე მეტოქე ბეჭებით გააკრა ტატამს. თანაც, ორივე იმდენად უსწრაფესად, მისალმებაც არ აცალა - ჩეხ **ლუბომირ პოლჩაკს** ეს სულ რაღაც 16 წამში (!) გაუკეთა, ბერძენმა **რომან მოუსტოპოულოსმა** კი 6 წამით მეტი გაუძლო და 22-ზე დანებდა.

რუაძემ პირველ შეხვედრაში სერბი **ლუკა ნოვაკოვიჩი** დაიიპონა, ბოსნიელ **მუსტაფა ჯატიჩს** კი იუკო-ვაზარით აჯობა. მესამე შეხვედრა უკვე თვითონ დათმო თურქ **ბატუჰან ეფემგილთან** - მისი იუკო რუაძემ ვერაფრით გაქვითა, თუმცა, ეტყობა, დიდად არც ცდილობდა, რაკი ისევ თვითონ გააფრთხილეს. სანუგეშოში თავადაც ზუსტად ასეთი სხვაობით აჯობა ფრანგ **მევენ მონდესირ ფერეს**, უშუალოდ ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი იტალიელი **დიეგო ფრუსტასი** იპონით გააბითურა.

მეოთხედფინალამდე **ელგუჯა ბიბილაშვილიც** (90) მივიდა, თუმცა საამისოდ ერთადერთი შეხვედრის მოგება დასჭირდა - პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი ფრანგ **ნაბილ მაჩტროუს** მცირე უპირატესობით აჯობა. სამწუხაროდ, ეს მისი ერთადერთი მოგება აღმოჩნდა ტურნირზე - ჯერ უკრაინელმა **გლიბ ბუხარინმა** ორი ვაზარით სანუგეშოში გაუშვა, სადაც თურქ **სინან ბინგოლთან** დამარცხდა და საბოლოოდ მეშვიდეზე დარჩა.

სლოვენიაში ერთადერთი შეხვედრა გამართა **ბაჩანა ტიტვინიძემ** (73) და ისიც წააგო მომავალ ჩემპიონთან, რუს **ხასან ხალმურზაევთან**. მძიმეწონოსანმა გიორგი ზაქარიაძემ აზერბაიჯანელი **ანდრეი ფატიევი** ორჯერ ვაზარზე კი დააგდო და ეს ბარიერი წმინდა მოგებით გაიარა, მაგრამ მერე რუს **ანტონ კრივობოკოვთან** დაყარა ფარხმალი - რუსმა ჯერ იუკო მიითვალა გაფრთხილებებით, რასაც მერე ორი სავაზარე გდებაც მიაყოლა.

სხვათა შორის, ამ წონაში ებრაელმა **იაკობ მამისთვალოვმა** გაიმარჯვა, რომლის მამაც - **რამაზ მამისთვალოვი** თბილისში დაბადებული, მაგრამ ისრაელში გაზრდილი კაცია. უფროსი მამისთვალოვი ისრაელის უცნობილესი ძიუდოისტის, ევროპის ჩემპიონის, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის და ოლიმპიურ პრიზიორ **ერიელ ზეევის** მწვრთნელია, რომელიც უკვე ამთავრებს კარიერას - სავარაუდოდ, მსოფლიო ჩემპიონატის მერე წავა, მაგრამ მამა ახალ ჩემპიონს უზრდის ისრაელს. აღსანიშნავია, რომ იაკობს ტყუპი და-ძმა ჰყავს.

ქალთა ტურნირისგან ბევრს არაფერს ველოდით. ერთადერთი, ის გვაინტერესებდა, მოიგებდნენ თუ არა ჩვენები თუნდაც ერთ ორთაბრძოლას. სასწაული არ მომხდარა და მედალი მართლაც არავის მოუპოვებია, მაგრამ ეს მოლოდინი კი გაგვიმართლდა - **ნონა მერებაშვილმა** (52) ფრანგი **ტრეისი ეტინნარი** ორჯერ გააფრთხილებინა და იუკოთი აჯობა, მერე კი სლოვაკ **ანდრეა კრისანდოვასთან** წააგო. **სოფო ბერიძემ** (57), თეონა სუხიტაშვილმა (70) და ელენე ქებაძემ (+70) პირველივე შეხვედრები დათმეს.

**ირაკლი თავაძე**



ირაკლი ლომიძის ილეთი

რაგბი

საქართველოს ჩემპიონატი

# ლიდერის მორიგი გამარჯვება



**ლელო-აია 19:8**

ლელო (15-9): **ყიასაშვილი, ზაალიშვილი, კორკელია, ლომინაძე (მანჯავიძე 41), თოდუა, ჭინჭარაული, კაჭარავა (ფოფხაძე 54), (1-8) ყალიჩავა (სუჯაშვილი 35), ჭყონია, მირცხულავა, ხორბალაძე (მძინარიშვილი 68), ვ.მაისურაძე, იორდანიშვილი (კოლელიშვილი 41), სარდანაშვილი (ი.მაისურაძე 36), აზალაძე.**

*ლ: თოდუა. 4ს,გ: ყიასაშვილი*

სინბინი: მირცხულავა

აია(15-9) **მშვენიერაძე (ლოსაბერიძე 35), გორგიძე (როხვაძე 41), გოგლიჩიძე, სინაურიძე, გოშაძე (თ.შალამბერიძე 40), შარვაშიძე, ხამაშურიძე. (1-8) ლომიძე (გურეშიძე 41), ნარიაშვილი, მოდებაძე (ჯაჯაია 48), იობიძე, გ.შალამბერიძე, ჩიქვინიძე (ძაგნიძე 41), გოგისვანიძე (გუდავა 41), რევიშვილი.**

*ლ: შარვაშიძე. ს: სინაურიძე.*

მსაჯი: **გ. ამირხანაშვილი.**

საქართველოს ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი თბილისის „ლელო" ისევ დაუმარცხებლად აგრძელებს ასპარეზობას. ქვეყნის ვიცე-ჩემპიონებმა და თასის მფლობელებმა მე-9 ტურში საშინაო შეხვედრაში ქუთაისის „აიას" სძლიეს - 18:9.

შეხვედრა საკმაოდ დაძაბული და ნაკლებად პროგნოზირებადი გამოდგა. პირველ ტაიმში სათამაშო უპირატესობას სტუმრები, ქუთაისელი მორაგბეები ფლობდნენ. იმდენად, რომ „ლელომ" მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში მხოლოდ ერთხელ შეაღწია და ისიც დაახლოებით 30-ე წუთზე.

მიუხედავად ამისა, მატჩის პირველი ნახევარი მაინც მასპინძლებმა მოიგეს მინიმალური სხვაობით - 6:5. ლელოელთა მხრიდან თავი ფულ ბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** გამოიჩინა, რომელმაც ჯერ ორმოცი მეტრიდან გაიტანა საჯარიმო. მერე კი, კიდევ უფრო შორიდან, 47 მეტრიდან დაარტყა ზუსტად.

ჩუბინობას ვერაფრით შევუქებთ ქუთაისელებს. მათ პირველ ტაიმში ორი საჯარიმო და ერთიც გარდასახვა გაუცუდდათ. სამაგიეროდ საკმაოდ აქტიური და მოძრავი იყო შერკინების ხაზი. ანგარიში „აიამ" მე-10 წუთზე გახსნა. შეტევა მარცხენა ფრთაზე განვითარდა. ჯერ პირველხაზელმა **გიორგი მოდებაძემ** შეძლო მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში შეღწევა. მერე წარმოქმნილი რაკიდან კიდევ ერთმა პირველხაზელმა **თორნიკე ლომიძემ** წაიწია წინ რამდენიმე მეტრით. საბოლოოდ ბურთი ცხრა ნომრის პოზიციაზე მოთამაშე **ბესიკ ხამაშურიძემ** ხაზზე გაუტანა **ლევან შერვაშიძეს**, რომელმაც იერიში პირდაპირ ლელოზე მიიტანა და შეაღწია კიდეც. გარდასახვა საკმაოდ ხელსაყრელი პოზიციიდან **გაგა სინაურიძემ** ვერ გაიტანა.

მეორე ტაიმში „ლელოს" თამაში რადიკალურად შეიცვალა, რაც ძირითადად მესამე ხაზში განხორციელებული შეცვლების შედეგი იყო. **ილია მაისურაძისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** მოედანზე გამოჩენამ „ლელოს" შერკინების თამაში უფრო აგრესიული, მობილური და ეფექტური გახადა. საკმაოდ სასარგებლო სამუშაოს გაწევა დაიწყო ცხრა ნომერმა **გიორგი კაჭარავამაც**, მაგრამ ლელოელთა სამწუხაროდ, მან მალევე ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო.

„ლელოს" უპირატესობა თვალნათელი გახდა, მაგრამ ლელო არსად ჩანდა. სმაგიეროდ ისევ ზუსტად გზავნიდა ბურთს მეტოქის კარის ძელებს შორის ლელოელთა დამრტყმელი **ირაკლი ყიასაშვილი.** მან კიდევ ორი საჯარიმო დაჰკრა ზუსტად, რაზეც გაგა სინაურიძემ ერთით უპასუხა და 70-ე წუთისთვის „ლელო" - 12:8 იგებდა.

„აიას" მატჩის გადასარჩენად საკმარისი დრო ჰქონდა. თუმცა მათი ძალისხმევა სრულიად უსარგებლო „ლელოს" გარემარბმა **ალექსანდრე თოდუამ** გახადა. თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე, „აიას" ათმა ნომერმა ლევან შარვაშიძემ ბურთი საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონიდან ფეხით გამოიტანა. მას მოედნის ცენტრში შეცვალზე შემოსული „ლელოს" გარემარბი **ზურაბ ფოფხაძე** დაეუფლა, რომელიც მარჯვნივ კიდესკენ დაიძრა და იქვე თოდუას გადააწოდა. „კოჭოიამ" ლელომდე ორმოცდაათი მეტრი ირბინა, ისე, რომ გზად ცრუ მანევრით სამი მოწინააღმდეგე ჩამოიცილა. ყიასაშვილმა ერთობ რთული პოზიციიდან გარდასახა - 19:8.

**IX ტური**

ვისოლი ყოჩები-უნივერსიტეტი 22:13
ლოკომოტივი-ბათუმი XV 16:8
ხარები-აკადემია 11:26

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 6 | 6 | 0 | 0 | +105 | 12 |
| 2.ლოკომოტივი | 6 | 5 | 0 | 1 | +35 | 10 |
| 3.აკადემია | 9 | 5 | 0 | 4 | +13 | 10 |
| 4.ვის.ყოჩები | 5 | 4 | 0 | 1 | +32 | 8 |
| 5. ბათუმი XV | 9 | 4 | 0 | 5 | -33 | 8 |
| 6.აია | 7 | 2 | 0 | 5 | -1 | 4 |
| 7.ხარები | 9 | 2 | 0 | 7 | -68 | 4 |
| 8.უნივერსიტეტი | 7 | 1 | 0 | 6 | -79 | 2 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

შავი ზღვის თასი

# რუსებს შავ ზღვაზეც მოვუგეთ

რუმინეთის საპორტო ქალაქ კონსტანცაში შავი ზღვის თასის გათამაშება დაიწო. საქართველოს მორაგბეთა ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებმა, რომელსაც **ბადრი ბოხუა** ხელმძღვანელობს, პირველი შეხვედრა გამართა და გამარჯვებას მიაღწია.

ჩვენი ყმაწვილების მეტოქე რუსეთის თანატოლთა ნაკრები იყო. ქართველმა მორაგბეებმა მოწინააღმდეგეს სამი ლელო გაუტანეს და 15:8 დაამარცხეს.

მომდევნო შეხვედრას ჩვენი ნაკრები ხვალ გამართავს მასპინძელთა გუნდთან, რომელშიც თასის მფლობელის ვინაობა გაირკვევა. შეგახსენებთ, რომ კონსტანცაში რიგით მეორე გათამაშება მიმდინარეობს. პირველი, რომელიც შარშან ფოთში გაიმართა, საქართველოს ნაკრების გამარჯვებით დასრულდა.

საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრები:

**თორნიკე ჯიბლაძე, თამაზ მჭედლიძე, დავით ხიდეშელი** (ყველა - უნივერსიტეტი), **გია ანაკიძე** (აიეტი), **ბექა არაბიძე, ბექა მამრიკიშვილი, ზურაბ ძნელაძე, გიორგი ლომთაძე, ლევან შვანგირაძე, გაგი ბაზაძე** (ყველა - აია), **გიგა გაგოშვილი, ხვიჩა ბუჟიაშვილი, გიორგი თეთრაშვილი** (ყველა - შევარდენი), **ლევან გოგოლაშვილი, ლაშა ლომიძე, მერაბ შარიქაძე** (ყველა - აკადემია), **დურმიშხან ყუფარაძე, გიორგი ქოჩიაშვილი** (ორივე - ჯიქები), **სანდრო ქოიავა, ბექა კნიპაშვილი, ელგუჯა სურგულაძე, გოდერძი ჭინჭარაული**(ლელო), **ბახვა კობახიძე, როსტომ ლორთქიფანიძე** (ორივე - ყოჩები), **გიორგი მისრიაშვილი** (არმაზი), **ზაზა ნავროზაშვილი** (ივერია).

**ბესიკ ჯანგავაძე**

პლაჟბურთი

მსოფლიოს ჩემპიონატი

# ამჯერად საქა-რთველომ მოიგო, გეორ-გიამ ვერა

ნორვეგიის ქალაქ სტავანგერში მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ტური უიღბლო გამოდგა ვაჟთა შორის პლაჟბურთის ქართული წყვილისთვის. **გეორგიამ** მარცხი განიცადა ჯგუფის ფავორიტ **ბარსუკი-კოლოდინსკის** რუსულ დუეტთან - 0:2 (18:21, 18:21). მიუხედავად ამისა გეორ-გია სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა და პლეი ოფში გასვლის რეალურ შანსს ინარჩუნებს.

ბოლო შეხვედრას ჯგუფურ ეტაპზე ჩვენი ფრენბურთელები აუტსაიდერ **დიუგრი-სალვეტის** ფრანგულ წყვილთან გამართავენ. გამარჯვების შემთხვევაში გეორ-გია პლეი ოფში გაალწევს.

სატურნირო თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა ქალთა შორის ქართულმა წყვილმა **საქა-რთველომ.** ჩვენმა ფრენბურთელებმა ურთულეს ბრძოლაში მასპინძელთა დუეტი - **ინგრიდი-ნილა** დაამარცხეს სამ სეტში - 21:19, 21:23, 15:13. შედეგად, საქა-რთველო ახლა სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა და ბოლო შეხვედრას ჯგუფში, გეორ-გიას მსგავსად, აუტსაიდერ დანიურ წყვილთან **ანდრეასენი-ვესტერგაარდი** გამართავს. ჩვენს ფრენბურთელებს პლეი ოფში გასასვლელად გამარჯვება სჭირდებათ.

ვაჟები. „ი" ჯგუფი: **1. ბარსუკი-კოლოდინსკი (რუს) - 4 ქულა, 2. გეორ-გია (საქ) - 3, 3. კაისი-ვესიკი (ესტ) - 3, 4. დიუგრი-ალვეტი (საფ) - 2.**

**ქალები. „ი" ჯგუფი: 1. პოლი-რაუ (გერ) - 4 ქულა, 2. საქა-რთველო (საქ) - 3, 3. ნილა-ინგრიდი (ნორ) - 3, 4. ანდრეასენი-ვესტერგაარდი (დან) - 2.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



თავისუფალი ჭიდაობა

ინტერვიუ ლევ გომთან

# ჩამოსვლის მიზეზი ქართველ ფალავანთა მაღალი კლასია

**ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, რომ საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრები თბილისში გასამართი ევროპის ჩემპიონატისათვის ვარიანის სპორტულ კომპლექსში ემზადებოდა. შეკრების დასკვნით ეტაპზე ქართველ ფალავნებთან ერთად ისრაელის ნაკრების რამდენიმე სპორტსმენი და მათი უკრაინელი მწვრთნელი ლევ გომი იმყოფებოდა. მკითხველისათვის საინტერესო თემებზე ისრაელის ნაკრების თავკაცს ჩვენ სწორედ ვარიანში ვესაუბრეთ.**

**— პირველ ყოვლისა, საინტერესოა, თუ რატომ შეარჩიეთ მოსამზადებელი შეკრების ჩასატარებლად საქართველო?**

— საქართველოში ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ფინანსური მხარეა. ჩვენი ფედერაცია არ არის მდიდარი, საერთოდაც სპორტი ისრაელში სახელმწიფო კმაყოფაზე არ არის და ძვირად ღირებული შეკრებების მოწყობა ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება. ვინაიდან ახლა ევროპის ჩემპიონატი თბილისში უნდა გაიმართოს, გადავწყვიტეთ, მოსამზადებელი შეკრების ბოლო ეტაპი საქართველოში ჩაგვეტარებინა. საქართველო და ქართველი ფალავნები აი, რა არის ვარიანში ჩვენი ყოფნის მთავარი მიზეზი. თქვენ მაღალი კლასის მოჭიდავეები და, თამამად შეიძლება ითქვას, მსოფლიო დონის მწვრთნელი გყავთ - ნუგზარ სხირელი. ნუგზარს წლების განმავლობაში ვხვდებოდი შეჯიბრებებზე, ჩამოგვიყალიბდა კარგი პროფესიული ურთიერთობა და აგერ ახლა ერთობლივი შეკრების ჩატარებაც გახდა შესაძლებელი. ოთხი წელიწადია ისრაელის ნაკრების მწვრთნელი ვარ და საკუთარი თვალით ვხედავ, თუ როგორ შესანიშნავად მომზადებული ჩადის ყველა ტურნირზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები და, რაც მთავარია, წარმატებებს აღწევს. თქვენი გუნდი ხომ ევროპის შარშანდელი ჩემპიონიცაა! ამჟამინდელი შეკრება პირადად ჩემთვისაც ნაყოფიერია. ვაკვირდები როგორ მუშაობს ბატონი სხირელი, როგორ ურთიერთობს ის თავის შეგირდებთან... მოკლედ ძალიან ბევრს ვსწავლობ მისგან.

**— გამოდის, რომ მოჭიდავეებთან ერთად გარკვეულწილად თქვენც იმაღლებთ ოსტატობას...**

— ალბათ მართლაც ასეა და გარდა ზემოთქმულისა, საქართველოს კლიმატიც ჩვენთვის ერთობ მიმზიდველია. ისრაელში ამ დროს დიდი სიცხის გამო ჰაერი დახუთულია და ვარჯიშის შემდეგ აღდგენითი პროცესი გაცილებით უარესად მიმდინარეობს ვიდრე აქ, საქართველოში. ვარიანში კარგი ჰავაა, სიმწვანე, მთები. მართალია, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში არ ვცხოვრობთ, მაგრამ აქაური პირობები, კვება და თბილი ადამიანური ურთიერთობა ისრაელის ნაკრებში ჩემი მუშაობის პერიოდში არც ერთ სხვა შეკრების დროს არ მინახავს.

**— რა შემადგენლობით გყავთ გუნდი შეკრებაზე ვარიანში?**

— ჩამოვედით ხუთი მოჭიდავით. სამი კონტინენტის მოახლოებულ ჩემპიონატზე დაიცავს თავისი ქვეყნის სახელს, ორი კი დიდების ნაკრების წევრია. უფროსთა ნაკრების წვრთნის პროცესშიც ხშირად ვმონაწილეობ. სხვათა შორის, ამ ხუთეულიდან ოთხი საქართველოდან წასული ებრაელია. თბილისის სპორტის სასახლეში იჭიდავებენ დავით ბინიაშვილი (55 კგ), ვადიმ გონჩარენკო (60 კგ) და მიხეილ ცაცალაშვილი (84 კგ). ორი ფალავანი - დოვგური (50 კგ) და ფელდმანი (66 კგ) უშუალოდ ჩემპიონატის დაწყების წინ შემოუერთდებიან გუნდს. ამჟამად მათთვის ადგილზევეა ორგანიზებული საწვრთნელი პროცესი. ამ ეტაპზე კი ჩვენთან ერთად იმიტომ არ არიან, რომ ყოველი წლის ივნისის ბოლოს ისრაელში იწყება საგამოცდო სესიები, ე.წ. ბოგრუდი, შეღავათი არ არსებობს თუნდაც ეს ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა იყოს.

**— მაშასადამე წარმომადგენელი ყველა წონით კატეგორიაში არ გეყოლებათ?**

— ისრაელში თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის ჭიდაობები არ არის ისეთი პოპულარული, როგორც, მაგალითად, ძიუდო. შემადგენლობის თვალსაზრისითაც, ორივე ამ სახეობის ნაკრები ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ჩასული ებრაელებით კომპლექტდება. ჯერჯერობით ყველა წონით კატეგორიაში არ გვაქვს დიდი კონკურენცია და, შესაბამისად, არც საერთაშორისო დონის ოსტატების სიმრავლეა. ამიტომაც, სუსტი ფალავნების ჩამოყვანას არასრული შემადგენლობით ასპარეზობა ვამჯობინეთ.

**— ვარიანში დიდების ნაკრების ორ ფალავანს რომელი შეჯიბრებებისათვის ამზადებთ?**

— ეს ფალავნები არიან ბესიკ ბინიაშვილი და ბექა მანდერაშვილი. მათთვის უახლოესი შეჯიბრება „მაკაბიადაა" (ისრაელის ე.წ. ოლიმპიური თამაშები), შემდეგ 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე დაღუპულ სპორტსმენთა ხსოვნის ტურნირია.

**— და ბოლოს ისევ კონტაქტების თემას დავუბრუნდეთ... ქართველი მოჭიდავეები თუ ჩამოსულან ისრაელში სასპარეზოდ?**

— შარშან ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე მოვიწვიეთ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. ჩამოვიდა ნუგზარ სხირელი თავისი მოჭიდავეებით და შვიდი ოქროს მედალი საქართველოში წამოიღო! ვფიქრობთ, ამითაც ყველაფერია ნათქვამი ქართველი მოჭიდავეების შესაძლებლობებზე. მომავალში კი ვიმედოვნებთ, რომ კონტაქტები გაღრმავდება.

**ვასილ ბალახაძე**
ვარიანიდან

## მილოცვა



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 55 წელს ულოცავს სასტენდო სროლაში მსოფლიოს ჩემპიონს და სამგზის პრიზიორს, ევროპის შვიდგზის ჩემპიონს გუნდურ პირველობაში, ოთხგზის პრიზიორს პირად პირველობაში, ევროპის თასის მფლობელს, სსრკ მრავალგზის ჩემპიონს და პრიზიორს, ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონს, მსოფლიოს აბსოლუტურ რეკორდსმენს, ოლიმპიური თამაშების სამგზის მონაწილეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, ღირსების ორდენოსანს თამაზ იმნაიშვილს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 55 წელს ულოცავს სასტენდო სროლის ვეტერანს, სამი ოლიმპიური თამაშების (1980, 1986, 1996) მონაწილეს, სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ღირსების ორდენის კავალერს თამაზ იმნაიშვილს.

## კალათბურთი

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები

# ჭაბუკები შეიმართნენ



ჭაბუკთა ნაკრები გუშინ ისრაელში გაფრინდა. **მიხეილ კობეშავიძის** შეგირდებს ალთქმულ მიწაზე ადგილობრივ 18-წლამდელთა გუნდთან 3 საკონტროლო მატჩი ელის. პირველი შეხვედრა დღეს გაიმართება, მეორე - ხვალ, მესამე – ზეგ.

ქართველი იუნიორები ისრაელიდან 2 ივლისს ჩამოფრინდებიან და მზადებას "აკადემიას" დარბაზში ჩვეული რეჟიმით განაგრძობენ. იუნიორთა B დივიზიონის მატჩები ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში 23 ივლისს დაიწყება და 2 აგვისტოს დასრულდება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ანალოგიურ შეჯიბრებას 16 ივლისს იწყებს და 26-ში დაასრულებს. 20-წლამდელთა ნაკრების მატჩების შედარებით ადრე გამართვა იყო ერთ-ერთი მიზეზი **თორნიკე შენგელიას** ახალგაზრდულ ნაკრებში გადაყვანისა. 1991 წელს დაბადებული თორნიკე ეროვნულ ნაკრებშიცაა გამოძახებული და, რაც ადრე შეუერთდება გუნდს მით უკეთესი.

შენგელიას თემას იუნიორთა მთავარი მწვრთნელი, მიხეილ კობეშავიძე მოგვიანებით კიდევ მიუბრუნდება, ახლა კი B დივიზიონის შესახებ. ქართველები C ჯგუფში შოტლანდიასთან, ჰოლანდიასთან, რუმინეთთან და ჩერნოგორიასთან მოხვდნენ. ურთიერთშეხვედრების შემდეგ ორი საუკეთესო ჯგუფიდან გავა და A დივიზიონისთვის ბრძოლას განაგრძობს. ელიტაში B დივიზიონის ფინალისტები აინაცვლებენ.

რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ: ქართველი ჭაბუკებისთვის A ლიგის საგზურის მოპოვება ძალიან რთული იქნება. არც ჯგუფიდან გასვლა უნდა გაუიოლდეთ, რადგან ჰოლანდია და რუმინეთი (შარშან წავაგეთ, 71:76) ჩვენზე არანაკლები გუნდებია. ქართველებს სწორედ ამ ორ ნაკრებთან მოუწევს მომდევნო ეტაპის საგზურისთვის ბრძოლა, რადგან წინასწარ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფიდან გამსვლელ ორთაგან ერთ-ერთი ჩერნოგორია იქნება.

შარშან 18-წლამდელებში **ნიკა მეტრეველი** და თორნიკე შენგელია თამაშობდნენ. ახლა ისინი ახალგაზრდულ გუნდს ეხმარებიან. წლეულს შემადგენლობაში ერთადერთი ლეგიონერია – ესპანური "პიექსეგალეგოს" უკანახაზელი, **ბექა ჩიკვილაძე**. იგი მსროლელია და მსუბუქ ფორვარდადაც თამაშობს. ბექას ესპანეთში კარგი სეზონი ჰქონდა, ფიზიკურადაც მოძლიერდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც უნდა იყოს. საინტერესოა, რომ მეორე ლიდერი მისივე თანაამპლუელი **მერაბ ბოქოლიშვილია**. მერაბი საქართველოში "აკადემიას" ღირსებას იცავდა, 20-წლამდელთა ჩემპიონატი ფინალში წააგო, ხოლო 18-წლამდელებში ჩემპიონი გახდა. მესამე ფინალური მატჩის ბოლო წუთებზე ბოქოლიშვილმა ორი სამქულიანი ჩააგდო და "დინამოს" გამარჯვება ხელიდან გამოჰგლიჯა. მწვრთნელი მიხეილ კობეშავიძე, ალბათ, მერაბს და ჩიკვილაძეს სასტარტო ხუთეულში ერთმანეთის გვერდით დააყენებს.

ბოქოლიშვილი რიგ ეპიზოდებში გამთამაშებლის ფუნქციებს ასრულებდა, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ 18-წლამდელთა ნაკრებში პირველი ნომრის ამპლუაში ვიხილოთ, რადგან გამთამაშებლის პოზიციაზე სერიოზული კონკურენციაა: **გივი ბაქრაძე** "დინამოს" სუპერლიგაშიც გვარიანად დაეხმარა და 18-წლამდელთა ჩემპიონატშიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო. თუმცა გივის სასტარტო შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ აქვს – **ტატო თავართქილაძე** სუპერლიგაში "ბათუმის" ერთ-ერთი შეუცვლელი წევრი იყო, ხოლო **გიორგი ტეტელაშვილი** "ნტდ-თბილისის" ღირსებას იცავდა და მწვრთნელი, **ნუგზარ კანდელაკი** როცა ენდობოდა, გიორგი იმედებს არ უცრუებდა.

ფორვარდებში მიხეილ კობეშავიძეს გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს. ეს შეიძლება უკეთესიც იყოს... **ბექა ჭიჭვეიშვილი, აკაკი ლომოური, გოგა ჯავახიშვილი, ნოდარ თენიეშვილი და დუდა სანაძე** საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატებში იყვნენ გამორჩეულნი, ხოლო **დავით იოსელიანი** სეზონის დასაწყისში "მაქაბის" ღირსებას იცავდა, შემდეგ თურქეთში წავიდა, ხოლო, გაზაფხულზე ისევ "მაქაბის" დაუბრუნდა.

ცენტრის პოზიციაზე სამი კალათბურთელია, **ბექა ბექაური, ლევან სულაბერიძე** და **აკაკი დვალიშვილი**. სასტარტო ცენტრი დვალიშვილი უნდა იყოს, რომელმაც 20-წლამდელთა ჩემპიონატი "აკადემიას" მოუგო, ხოლო ჭაბუკთა საქართველოს პირველობაზე ფინალში ვერ გავიდა. თუმცა, ამ ტურნირებზე აკაკი ერთ-ერთი მთავარი მომხსნელი და მექულე იყო. დვალიშვილი "ენერჯის" მაისურით სუპერლიგაშიც თამაშობდა.

ვნახოთ, ჯერ ისრაელთან, შემდეგ კი ბოსნიაში ვინ როგორ ითამაშებს. თუმცა, ინდივიდუალურ სტატისტიკაზე მეტად გუნდური შედეგი გვაინტერესებს. სხვათა შორის, კალათბურთელებიც აცხადებენ, რომ წლევანდელი ნაკრები გუნდური თამაშით უნდა გამოირჩეს.

ამის იმედი აქვს მთავარ მწვრთნელ მიხეილ კობეშავიძეს, რომელმაც ვარჯიშის შემდეგ მასმედიისთვის მოიცალა.

**- ჯერ ისრაელთან დაპირისპირებებზე ვთქვათ.**

- ამ ნაკრებს შარშანწინ კადეტების ევროპის ჩემპიონატზე ორჯერ შევხვდით და ერთხელ მოვუგეთ. ამიტომ, სპარინგპარტნიორების შერჩევისას მხედველობიდან არ გამოვრჩენილვართ და ისრაელში მიგვიპატიჟეს. ასეთ წინადადებაზე უარის თქმა არ შეიძლებოდა. საკონტროლო მატჩები ჩემი გუნდისთვის მეტად სასარგებლო იქნება, დაგვანახვებს, რა შედეგი გამოიღო ჩვენმა მუშაობამ და ბოსნიაში გამგზავრებამდე რაზე უნდა ვიმუშაოთ.

**- ამჟამად მზადების რა ეტაპზე ხართ?**

- 10 ივნისს შევიკრიბეთ. საწყისი 10 დღე ფიზმომზადებას დავუთმეთ. ვფიქრობ, მზადების ამ ეტაპმა ნაყოფიერად ჩაიარა. შემდეგ ბურთთან მუშაობაზე გადავედით და ისრაელში მეტ-ნაკლებად მომზადებულნი მივდივართ. 2 ივლისს საქართველოში დავბრუნდებით და ვარჯიშს თბილისში განვაგრძობთ. ძირითადად ტაქტიკაზე ვიმუშავებთ.

**- ისრაელში 14 მოთამაშე მიგყავთ.**

- ასეა. ჯერ 14-კაციანი შემადგენლობით ვვარჯიშობთ. B დივიზიონის მატჩების დაწყებამდე კი შემადგენლობა 12 კაცამდე შემცირდება.

**- გუნდში ყველა ჯანმრთელადაა?**

- დიახ, ყველა მწყობრშია.

**- B დივიზიონიში თქვენი მთავარი ამოცანა რა იქნება?**

- ჭაბუკთა ნაკრების მთავარი ამოცანა ეროვნული გუნდისთვის კალათბურთელების მომზადებაა. რაც შეეხება B დივიზიონს, ვიბრძოლებთ და ვნახოთ, რა გამოვა. ისე, ნიკა მეტრეველი და თორნიკე შენგელია რომ გვყოლოდა, მიზნებზე საუბარი უფრო თამამად შეგვეძლებოდა. მათი გამოკლება ჩვენთვის დიდი დანაკლისია. თუმცა, როგორც ქართული კალათბურთისთვის უკეთესი იყო, ისე მოხდა – ისინი ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშებენ, შემდეგ ეროვნულში.

ბოლოს გაგაცნობთ ისრაელში წამსვლელთა შემადგენლობას და B დივიზიონის მატჩების განრიგს:

უკანახაზელები: **გივი ბაქრაძე** (დინამო), **გიორგი ტეტელაშვილი** (მართვე), **ტატო თავართქილაძე** (აკადემია), **მერაბ ბოქოლიშვილი** (აკადემია), **ბექა ჩიკვილაძე** (პიექსეგალეგო, ესპანეთი)

ფორვარდები: **ბექა ჭიჭვეიშვილი** (მართვე 2), **დავით იოსელიანი** (მაკაბი), **აკაკი ლომოური** (მართვე 2), **გოგა ჯავახიშვილი** (აკადემია), **ნოდარ თენეიშვილი** (აკადემია), **დუდა სანაძე** (ენერჯი)

ცენტრები: **ლევან სულაბერიძე** (მართვე 2), **აკაკი დვალიშვილი** (რუსთავი), **ბექა ბექაური** (სამედიცინო)

მთავარი მწვრთნელი: **მიხეილ კობეშავიძე**. მწვრთნელი: **კახა შენგელია**

### B დივიზიონი

მატჩების განრიგი

| |
|---|
| **23 ივლისი** |
| 21:30 საქართველო-შოტლანდია |
| **25 ივლისი** |
| 17:45 საქართველო-ჰოლანდია |
| **26 ივლისი** |
| 22:15 რუმინეთი-საქართველო |
| **27 ივლისი** |
| 24:00 საქართველო-ჩერნოგორია |

**ვაჟა სიმონიშვილი**

ლეგიონერი

# ელისი სევილიაში რჩება და საქართველოს ნაკრებისთვის ემზადება

ზუსტად ერთი კვირის წინათ ესპანურმა გაზეთებმა გაავრცელეს ინფორმაცია **ტაირონ ელისის** "ესტუდიანტესში" შესაძლო გადასვლის შესახებ. მათი თქმით, წინასწარი შეთანხმება შემდგარი იყო...

თუმცა, გუშინ მიღებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა გადაწყვეტილება შეცვალა და ყოფილ კლუბ "კახასოლს" ხელშეკრულების ერთი წლით გახანგრძლივებაზე დათანხმდა.

ეს ამბავი საზოგადოებას სევილიელთა ტექნიკურმა დირექტორმა **ხოან პლაცამ** ამცნო. მისივე მტკიცებით, ელისი ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს და მომავალ სეზონში გუნდს ფლეი ოფში გასვლაში დაეხმარება.

სხვათა შორის, ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ელისმა "ესტუდიანტესში" გადასვლა გადაიფიქრა, საპლეიოფო ამბიციები უნდა ყოფილიყო. "კახასოლის" უფროსობა გუნდის სერიოზულად გაძლიერებას აპირებს, რასაც ვერ ვიტყვით სტუდენტურ გუნდზე.

ტაირონ ელისმა იტალიური "ნაპოლიდან" გადასვლის შემდეგ სევილიელთა რიგებში ორი სეზონი გაატარა და პლეი ოფამდე ორჯერვე თითო-ოროლა მოგება დააკლდა.

გუშინვე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენელთაგან შევიტყვეთ, რომ ელისი ჩვენს ეროვნულ ნაკრებში ჩამოსასვლელად მზადაა. იგი ნაკრებს პირველივე დღეებიდან შეუერთდება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული გუნდი 20 ივლისს ავსტრიაში იკრიბება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ჩოგბურთი



ბარბარე ერისთავი



ნიკა დოლიძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# თბილისი მოილიეს და ერევანს მიაშურეს

„დინამოს" კორტებზე დამთავრდა „რენას და დათოს თასის" ტრადიციული გათამაშება. განსაკუთრებულ ინტერესს, ცხადია, 14 და 16 წლის სპორტსმენთა პაექრობები იწვევდა, რადგან მათი უმრავლესობა 20-26 ივლისს ჩეხეთში ევროპის პირველობაზე, ნაწილი კი ფინურ ტამპერეში ევროპის ახალგაზრდების ოლიმპიურ ფესტივალზე გამოვა.

ასპარეზობის დასკვნით დღეს 14-წლიანი ვაჟების ერთეულთა ფინალში თბილისელმა **ალექსანდრე დავლიანიძემ** სანკტპეტერბურგელ **გიორგი ჯავახიშვილს** სძლია 7:6, 6:1 (საგულისხმოა, რომ მანამდე ჯავახიშვილმა პირველ ნომრად განთესილ თურქ **ალპ ჰოროზს** დააყრევინა ფარ-ხმალი, ხოლო დავლიანიძემ — რუს **ანდრეი რეჩკინს**, რომელთანაც ერთად წყვილთა ასპარეზობაში გაიმარჯვა) და **ლეილა მესხის** ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე ნაგებისთვის ჯავრი იყარა.

16-წლიან გოგონებში უძლიერესი იყო **ბარბარე ერისთავი**, რომელმაც ფინალში **ანა გოგვაძეს** აჯობა. საამისოდ მას სამი სეტი (6:1, 5:7, 6:3) დასჭირდა. შეგახსენებთ, რომ წყვილთა პაექრობაში სწორედ ერისთავი-გოგვაძის დუეტი ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

ამ ასაკის ვაჟებში ტოლი არ ჰყავდა **ნიკა დოლიძეს**. მან ფინალში მეორე ნომრად განთესილ დავით ხუციშვილს მოუგო 6:4, 6:1, მანამდე კი რეიტინგით პირველი და „ავსტრიის ავიახაზების თასის" მფლობელი **გიორგი ცივაძე** ჩამოიშორა გზიდან.

ტურნირის დამთავრების შემდეგ გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, მედლებითა და პრიზებით დაჯილდოვნდნენ. „რენას და დათოს თასის" გათამაშების მონაწილეთა უმრავლესობამ ერევანს მიაშურა, სადაც 14 და 16-წლიანთა ორი შეჯიბრება გაიმართება.

კარგია, რომ ახალგაზრდა ჩოგბურთელებისთვის ამიერკავკასიაში ოთხი მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირი ტარდება, რაც რეგიონის სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებას უწყობს ხელს. ეს შედეგებიდანაც ჩანს. დასტურად ჩვენი გოგო-ბიჭების ბოლოდროინდელი მაჩვენებლებიც გამოდგება: ზემოაღნიშნულ შეჯიბრებებში ისინი საკმაო ქულებს აგროვებენ, წელგამართული მიდიან ევროპაში და არა მარტო ძირითად ბადეში ხვდებიან, არამედ საპრიზო ადგილებსაც გამოჰკრავენ ხოლმე ხელს. შარშანწინ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე **ეკა გორგოძემ** და **გიორგი ხმიადაშვილმა** შერეულ წყვილებში პირველი ადგილი დაიკავეს, ხოლო გორგოძე ერთეულთა თანრიგში მეორე იყო. წლეულს მსგავს შეჯიბრებაზე საქართველოს სპორტულ ღირსებას ნიკა დოლიძე, ალექსანდრე დავლიანიძე, ბარბარე ერისთავი და ანი გოგვაძე დაიცავენ. ამიტომაც ორმაგად სასიამოვნო იყო მათი წარმატებები „ავსტრიის ავიახაზებისა" და „რენას და დათოს" თასებზე. იმედია, ქართველი ჩოგბურთელები ტამპერედანაც ხელდამშვენებულნი დაგვიბრუნდებიან.

აქვე შეგახსენებთ, რომ ჩეხეთში 14-წლიანთა ევროპის პირველობაზე **ლიზა ნადიბაიძე, თამარ ჭალაგანიძე, მიხეილ ხმიადაშვილი** და **შოთა მეფარიძე** იასპარეზებენ. ხოლო 16-წლიანებში **ბაბილინა მაჩაიძე, ნინო სუჯაშვილი, ალექსანდრე მეტრეველი** და **გიორგი ცივაძე** გამოცდიან ძალებს.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ტატიშვილის მეხუთე ტიტული

19 წლის **ანა ტატიშვილმა** (189) კარიერაში მეხუთე ტიტული მოიგო - მან შვედეთის ქალაქ კრისტიენშამნის საერთაშორისო ტურნირში (Rolls Royce Womens Cup; 25 ათასი $) ზედიზედ ხუთი მეტოქე დაამარცხა და პირველობა არავის დაანება. აღსანიშნავია, რომ წლეულს ანამ პირველი ტიტული მოიპოვა, კრისტიენშამნური ტრიუმფი ტატიშვილისთვის პირველია ევროპის კონტინენტზე. აქამდე მან ოთხჯერ იმარჯვა და ოთხჯერვე ამერიკაში: ტრუა (50 ათასი $), ბოსტონი (50 ათასი $), ელ პასო (25 ათასი $) და რელაი (25 ათასი $, წყვილებში). სხვათა შორის, წინა ოთხი ტიტული 2008 წლის საჩოგბურთო სეზონისაა.

ჩვენმა თანამემამულემ, რომელიც შვედეთში მე-3 ნომრად განთესეს, ფინალამდე ასეთი გზა გაიარა - **მონა ბარტელი** (500, გერმანია) - 3:6, 6:2, 7:6 (6); **ირინა ბურიაჩოკი** (233, უკრაინა) - 4:6, 6:2, 6:4; **ჰანე სკაკ იენსენი** (374, დანია) - 6:4, 1:6, 6:3; **სოფია არვიდსონი** (145, შვედეთი) - 6:2, 7:6 (5). აქედან არვიდსონი - ტურნირის პირველი ჩოგანი. ფინალში ანა ტატიშვილის მეტოქე 17 წლის უნგრელი **რეკა-ლუკა იანი** (465) იყო, რომელმაც კრისტიენშამნში დიდი სენსაცია მოახდინა - საკვალიფიკაციო ბადიდან ფინალამდე გაალწია. ანამ პირველ სეტში იოლად იმარჯვა, მეორეში კი უნგრელმა გაიბრძოლა, მაგრამ უშედეგოდ - 6:1, 7:5. ტატიშვილმა კრისტიენშამნში 50 ქულა მოიპოვა, რაც დაახლოებით 20-ადგილიანი წინსვლის ტოლფასია მსოფლიო რეიტინგში.

ახლა ანა შვედეთში გააგრძელებს ვარჯიშს და შაბათს ქალაქ ბაშტადში შვედეთის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ბადეში დაიწყებს ასპარეზობას. ბაშტადის ტურნირი WTA-ს ეგიდით იმართება და მისი საპრიზო ფონდი 220 ათასი ამერიკული დოლარია.

ფრანგულ პერიგოში (25 ათასი $) კარგი ტურნირი გამოუვიდა **მაკა ჩახნაშვილს** (229), თუმცა მან ვერ შეძლო ამ კვირაში ანას მიღწევის გამეორება - მე-7 ნომრად განთესილმა ქართველმა ნახევარფინალში გააღწია, სადაც უშანსოდ წააგო მე-2 ნომრად განთესილ უკრაინელ **იულია ვაკულენკოსთან** (181) - 1:6, 2:6. ვაკულენკომ ფინალშიც იმარჯვა და პერიგოს ტიტულს დაეუფლა. ჩახნაშვილმა 24 სარეიტინგო ქულა მიიღო, რაც ჩვენებურს კლასიფიკაციაში დაახლოებით 15 ადგილით დააწინაურებს.

17 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (831) კალიფორნიის ქალაქ ჩიკოს ტურნირში (15 ათასი $) საკვალიფიკაციო ბადიდან შეძლო შეჯიბრების ნახევარფინალში გაღწევა. ჯერჯერობით ნიკას კარიერაში ეს საუკეთესო შედეგია, რომელიც მან მესამედ გაიმეორა, ფინალში კი ჯერ არასოდეს უთამაშია. ჩიკოს ტურნირის მეოთხედფინალში ბასილაშვილმა კანადელი **ფილიპ ბესტერი** (633) დაამარცხა - 6:3, 3:6, 7:5. ნახევარფინალში კი მან ორ სეტში დათმო ამერიკელ **რაიან ჰარისონთან** (981) - 4:6, 4:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ცურვა

# ჭორვილელნი ოქროს ზღურბლთან


ჭორვილელი პრიზიორები მწვრთნელთან ერთად


ირაკლი რევიშვილი

„ლაგუნა ვერეს" საცურაო აუზში მოცურავეთა საქართველოს ღია ჩემპიონატში აზერბაიჯანელმა სპორტსმენებმაც იასპარეზებს. ეს შეჯიბრება იმითაც არის აღსანიშნავი, რომ კვარცხლბეკზე დედაქალაქელებთან ერთად პერიფერიების წარმომადგენლებიც მრავლად ვიხილეთ, რომლებიც საკმაოდ უხვი ნადავლით დაბრუნდნენ შინ. განსაკუთრებით გორელებმა გამოიჩინეს თავი. საჩხერის სახელით გამოდიოდა სოფელ ჭორვილის საშუალო სკოლის გუნდი, რომელმაც 6 მედალი დაიმსახურა. მეოთხე წელიწადია, ჭორვილელები ცურვაში ვარჯიშობენ და უკვე თვალსაჩინო წინსვლაც აქვთ. როგორც მათმა მწვრთნელმა **თეიმურაზ კვესაძემ** გვითხრა, წლეულს სამ შეჯიბრებაში იასპარეზეს და 30-ზე მეტი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. „ოქროს" ზღურბლსაც მიუახლოვდნენ და შორს არ არის ის დრო, ქომაგებს პირველი ადგილებითაც რომ გაახარებენ. მით უმეტეს, რომ სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან მოცურავეთა დაფინანსებას საკუთარი ბიუჯეტიდანაც აპირებს.

სასიამოვნო სიურპრიზი იყო ღია ჩემპიონატში ჭიათურელთა მონაწილეობა ოცწლიანი „შესვენების" შემდეგ.

— ჩვენთან შარშან 25-მეტრიანი დახურული საცურაო აუზი ამოქმედდა, — ამბობს იმერთა მწვრთნელი **ვალერი ცხადაძე**, — ოთხი ბილიკი გვაქვს, რაც ჯერჯერობით ჩვენს მოთხოვნებს აკმაყოფილებს. სპორტულ ჯგუფში 30-მდე მოზარდი ვარჯიშობს, დანარჩენები ფასიან სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში ეუფლებიან ცურვას. ადგილობრივი გამგეობის დახმარებით ამჟამად საასპარეზოდ 10 სპორტსმენით ჩამოვედით. ერთი ბრინჯაოს მედალი ავიღეთ. მართალი გითხრათ, მეტს ველოდი, მაგრამ ჩვენი ბავშვები საშეჯიბრო სტარტებს შეუჩვევლნი არიან. სამომავლოდ უკეთესი მაჩვენებლები გვექნება.

ჩემპიონატის შედეგებით კმაყოფილია საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გიორგი აბზიანიძე**.

— მოცურავეთა ერთმა ნაწილმა საკუთარი მიღწევები გააუმჯობესა, — გვითხრა მან. — გორელმა **გიორგი ბუხრიკიძემ** 100 მეტრზე თავისუფალი ყაიდით სპორტის ოსტატობა შეასრულა, ხოლო 200 მეტრზე ბრასით ცურვაში 15 წლის **ირაკლი შენგელიამ** ოსტატობის კანდიდატის დრო აჩვენა. ეს კარგია, რადგან ირაკლი შენგელია, **დავით სიხარულიძე** და **ირაკლი ბოლქვაძე** ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადებიან, რომელსაც ივლისის ბოლო დეკადაში ტამპერე უმასპინძლებს.

ივლისის პირველ ნახევარში **გიორგი მთვრალაშვილი**, რომელიც ინდივიდუალურად ვარჯიშობს და ამ ჩემპიონატზე არ გამოსულა, ჯერ ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე გაემგზავრება, შემდეგ კი **ირაკლი რევიშვილთან** ერთად რომში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსინჯავს ძალებს. რაც შეეხება რევიშვილს, მან ამ შეჯიბრებაზე შესაშური მონდომებით იასპარეზა, განსაკუთრებით 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში — თავის ეტაპზე 10-12 მეტრით დაწინაურებულ აზერბაიჯანელ მეტოქეს ფინიშამდე მიასწრო. იმედია, საერთაშორისო სარბიელზეც გვასახელებს...

ახლა კი შეჯიბრების ბოლო დღის შედეგებს გაგაცნობთ.

**ქალები. 50 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. ნატალია ფილინა (ბაქო; 28,04), 2. მაია ხრიკული (30,27), 3. ნასტია გრივაჩი (ორივე — თბილისი; 30,65). **50 მ. ბატერფლაი.** 1. გვანცა ხინჩეგაშვილი (გორი; 34,12), 2. ანა კაკალაშვილი (40,68), 3. ელენე შენგელია (ორივე — თბილისი; 44,10). **100 მ. ბრასი.** 1. ეკა კაჭახიძე (თბილისი; 1.19,45), 2. თამარ გამგებელი (საჩხერე; 1.55,25), 3. მეგი ხათაშვილი (გორი; 1.35,97). **100 მ. გულაღმა ცურვა.** 1. სოფიო ცინცაძე (ბათუმი; 1.19,44), 2. თათია გოლოშვილი (გორი; 1.31,13), 3. ანა სანარსკი (ჭიათურა; 1.32,60).

**4X100 მ. კომბინირებული.** 1. თბილისი I (5.28,85), 2. გორი (5.58,08), 3. თბილისი II (6.09,38).

**ვაჟები. 50 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. გიორგი ბუხრიკიძე (გორი; 24,48), 2. დავით სიხარულიძე (თბილისი; 25,14), 3, ნაზიმ აგაევი (ბაქო; 25,56). **50 მ. ბატერფლაი.** 1. თემურ გულიევი (25,48), 2. ფარიდ გაჯიზადე (ორივე — ბაქო, 26,88), 3. გიორგი ბუხრიკიძე (გორი; 27,38). **100 მ. ბრასი.** 1. ალექსანდრე ხახანაშვილი (1.07,13), 2. ბესო მდივანი (1.09,54), 3. ირაკლი შენგელია (სამივე — თბილისი; 1.10,73). **100 მ. გულაღმა ცურვა.** 1. ბორის კირილოვი (ბაქო; 1.01.00), 2. თორნიკე სხილაძე (1.01,61), 3. ირაკლი ლომიძე (ორივე — თბილისი; 1.08,37). **200 მ. კომპლექსური ცურვა.** 1. ირაკლი რევიშვილი (2.11,80), 2. ირაკლი ბოლქვაძე (ორივე — თბილისი; 2.18,44), 3. ელგუნ ბაბაევი (ბაქო; 2.25,29). **800 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. ირაკლი რევიშვილი (თბილისი; 9.58,70), 2. ცოტნე მაისურაძე (რუსთავი; 10.16,00), 3. გაგა გრძელიშვილი (საჩხერე; 11.27,50). **4X100. მ. კომბინირებული** 1. თბილისი I (4.07,11), 2. ბაქო (4.08,02), 3. თბილისი II (4.19,87).

ვაჟა **დანელია**

ავტორის ფოტოები

ავტოსპორტი

# დრიფტის მეფე ცნობილია



საქართველოს ეროვნული საავტომობილო სპორტის ფედერაცია ურთიერთობების გაღრმავების კვალდაკვალ აფართოებს საინტერესო სპორტულ ღონისძიებათა არეალს. ამჯერად თბილისის მერიასთან ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა კიდევ ერთი სახალისო ასპარეზობა Extzeme Weekend-ის პროგრამით Drift King-ში („დრიფტის მეფე"). ბევრმა ავტომოყვარულმა წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები. ამ შესანიშნავ შოუს მაყურებელიც საკმაოდ ჰყავდა. დავძენთ, რომ ღონისძიება თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე ჩატარდა.

ჟიურის გადაწყვეტილებით გამოვლინდა "დრიფტის მეფის" გვირგვინოსანი. ეს პატივი წილად ხვდა თბილისელ **ზვიად ადეიშვილს.**

"ლელოს" კორ.

ეროვნული საუნჯე


ანა ლომინაძე

# ცურვა ჩვენი, ლაზური

ეს იყო ცხრა წლის წინათ — საქართველოს ზღვისპირეთის დამცველთა ასოციაცია „აიეტის" თავმჯდომარემ, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ჰენრი კუპრაშვილმა** 2001 წლის 28 იანვარს „ლაგუნა ვერეს" აუზში პირველად ოთხგან ხელ-ფეხშეკრულმა 2 კილომეტრი გაცურა, რითაც სათავე დაუდო ეროვნული ცურვის სახეობის „კოლხურის" აღორძინებას. 2002 წლის ზაფხულში კი მსგავსი სტილით დარდანელის სრუტე გადაცურა. „ლაგუნა ვერეს" დირექტორის **ვლადიმერ გოიაშვილის**, მწვრთნელების — **მანანა ზამბახიძისა** და **დიმიტრი დიკის** თანადგომით ჰენრი კუპრაშვილმა „ლაზურით" მოზარდების დაინტერესებაც შეძლო. როგორც თავად ამბობს, ძველკოლხური ცურვა ძუძუმწოვრების — სელაპის, დელფინის ტალღისებურ მოძრაობასთან არის ოპტიმალურად მიახლოებული, ავითარებს კუნთებს, რაც ცურვის კლასიკურ სახეობებში მოვარჯიშეებსაც გამოადგებათ.

და აი, გასულ შაბათს, 27 ივნისს, ისტორიული მოვლენის მოწმენიც გავხდით: საქართველოს მოცურავეთა ღია პირველობის დამთავრების შემდეგ 48 სპორტსმენმა (მათ შორის 3 აზერბაიჯანელი გახლდათ) „ლაზურით" იასპარეზა პირველ ეროვნულ ჩემპიონატში, რომლის ორგანიზატორები იყვნენ ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაცია და სპორტკომპლექსი „ლაგუნა ვერე". გოგონებმა ორ და ვაჟებმა სამ დისტანციაზე მოსინჯეს ძალები. პირველი ჩემპიონი გახდა **ანა ლომინაძე,** რომელმაც 50 მეტრი 46.26 წამში დაფარა. მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ, შესაბამისად, **ელენე შენგელია** (53,2) და **ანა მაყიშვილი** (56,2). **ვაჟები.** 1. **თემურ კობახიძე** (39,55), 2. **გიორგი წილოსანი** (45,63), 3. **ლევან გამგებელი** და **გიორგი ბიგანიშვილი** (ორივე — 50,00).

**100 მ. გოგონები.** 1. **ნასტია გრივაჩი** (1.41,9), 2. **ნატალია ფილინა** (ბაქო; 1.49,0), 3. **გვანცა ხინჩეგაშვილი** (1.49,60). **ვაჟები.** 1. **ირაკლი რევიშვილი** (1.17,10), 2. **თორნიკე სხილაძე** (1.20,46), 3. **ირაკლი შენგელია** (1.23,0). **400 მ. ვაჟები.** 1. **ირაკლი შენგელია** (6.52,8), 2. **დათო ბარდაველიძე** (7.38,2), 3. **ცოტნე დევდარიანი** (7.57,0).

**ვლადიმერ გოიაშვილი**, „ლაგუნა ვერეს" დირექტორი: - ცურვა მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარული სპორტის სახეობაა, რომელსაც საქართველოშიც კარგი ტრადიციები ჰქონდა. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ყველაფერი დავიწყებას მიეცა, აუზები გაპარტახდა. ისეთი დიდი ქალაქები, როგორებიცაა ქუთაისი და ბათუმი, უბაზოდ დარჩა. არადა, ამ ქალაქებიდან ჩვენი ცურვაც და წყალბურთიც ღირსეულ შევსებას იღებდა. სპორტის ეს სახეობა საქართველოში აუცილებლად უნდა გამოცოცხლდეს. ამ საქმეში „ლაზურიც" შეიტანს თავის წვლილს. მის აღორძინებაში უდიდესი წვლილი მოუძღვის ჰენრი კუპრაშვილს. მიხარია, რომ პირველ ეროვნულ ჩემპიონატში სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებმა იასპარეზეს. იმედია, მომავალ შეჯიბრებებში მეტი მონაწილე გვეყოლება. ცხადია, ყველა მოცურავე ჩემპიონი ვერ გახდება, სამაგიეროდ, წყალთან დაკავშირებულ ბევრ უბედურ შემთხვევას თავიდან ავიცილებთ.

**დიმიტრი დუნდუა,** ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის პრეზიდენტი: მთავარია, რომ „ლაზურში" პირველი ჩემპიონატი შედგა. დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ ეროვნულ საქმეში გვერდით დაგვიდგა. უპირველესად თბილისის მერიას, რომლის მატერიალური დახმარებითაც მედლები, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადავეცით გამარჯვებულებსა და პრიზიორებს. თანადგომისთვის მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ასევე ნიჩბოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი, პარლამენტარი **ბეჟან ხურციძე**, ბორჯომისა და მინერალური წყლების კომპანია და სააქციო საზოგადოება „ნატახტარი". ამგვარი ერთიანობით მომავალში უფრო დიდ საშვილიშვილო საქმეებს გავაკეთებთ.

ვაჟა **დანელია**

ავტორის ფოტო

ჭადრაკი

# პანტერა, საბურთალო და ნტნ-ი უდანაკარგოდ ლიდერობენ

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება **ვახტანგ ქარსელაძის** ტრადიციული მემორიალი. ოთხ ასაკობრივ ჯგუფში 74 გუნდი (თითოეულში 3 ჭაბუკი და 1 გოგონა) ეცილება ერთმანეთს პირველობას.

გუშინ მეხუთე ტურში დაწინაურებული გუნდებიდან ერთმანეთს დაუპირისპირდნენ:

**8-წლიანებში** — „ნანა-3"-„პანტერა" 1:3, ABC-„პოლუსი-1" — 0:4, „ოთარი-1"-„საბურთალო-8" 2:2, „ეტლი"-„ნიწილები" 2:2, „ნანა-4"-„მთაწმინდა" 1,5:2,5.

ამ ჯგუფში 10 ქულით „პანტერა-1" მეწინავეობს. ლიდერს 2 ქულით ჩამორჩება „პოლუსი-1". 7-7 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებს „მთაწმინდა", „საბურთალო" და „ნანა-3" ინაწილებენ. დღეს „პანტერა" „მთაწმინდას" შეხვდება, „საბურთალო" „პოლუს-1"-ს, ხოლო „ნანა-3" გორელთა ექვსქულიან გუნდს.

**10-წლიანებში** — „საბურთალო-10"-„ნანა-1" 1:3, „აისი"-„მამლაყინწები" 3,5:0,5, „ყვინჩილები"-„კოლხა" 2:2, „პანტერა"-„ოთარი-1" 2:2, 186-ე სკოლა-„ოთარი-4" 3,5:0,5.

ხუთი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ (მოგებაზე — 2, ფრეზე — 1, წაგებაზე 0 ქულა) „ნანა-1" ლიდერობს, „აისს" 8 ქულა აქვს, თითო ქულით ნაკლები — „კოლხას", „ყვინჩილებსა"და 186-ე სკოლის გუნდს. მე-6 ტურში ითამაშებენ: „ნანა-1"-„ყვინჩილები", „კოლხა"-„აისი", „მამლაყინწები"-186-ე სკოლა.

**12-წლიანებში** — „ნტნ"-ი-„აისი" 3,5:0,5, „ნანა"-151-ე სკოლა 0,5:3,5, „ოთარი-5"-„საბურთალო-1" 1,5:2,5, „რუსკა და გიო" -„ანდრია" 1,5:2,5, „ჭადრაკის სასახლე-2" -„თბილისი-2" 2.5:1.5.

„ნტნ"-ი — 10, 151-ე სკოლა — 8, „ჭადრაკის სასახლე-3", „ანდრია", საბურთალო-12" 7-7 ქულა.

დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: „საბურთალო-12"-„ნტნ"-ი, 151-ე სკოლა-„ჭადრაკის სასახლე-3" „ანდრია"-„სიონი".

**14-წლიანებში** — „კოკა"-„აისი" 2:2, „ლუკა და გიო"-„ჩირაღდანი" 3,5:0,5 „ოთარი-9" -სიონი" 2:2, „ჯიხა"-„ნონა" 0:4.

9 ქულით „აისი" პირველობს, რომელსაც „ლუკა-გიო" ქულით ჩამორჩება, „კოკას" 7 ქალა აქვს.

დღევანდელ პაექრობებში ინტერესს იწვევს „აისი"-„ნონას"; „ოთარი-9"-„ლუკა-გიოს" და „ჩირაღდანი"- „კოკას" ორთაბრძოლები.

ვაჟა **დანელია**

**რაგბი.** ივნისის ტესტები


ბრაიან ჰაბანას ლელო

# ბოკემ სერია უკვე მოიგო

სამი მატჩისგან შემდგარი სერია სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა უკვე მოიგო. პრეტორიაში „ბოკემ" ზედიზედ მეორედ დაამარცხა „ბრიტანელი ლომები" - 28:25 და სერიაში ანგარიში - 2:0 გახდა.

პირველი შეხვედრისგან განსხვავებით „ქურციკებს" გაცილებით დიდი ჯაფა დაადგათ და მეტოქეს გამარჯვება ბოლო წამებზე გამოგლიჯეს ხელიდან. ამ შემთხვევაში შეცვლაზე შემოსულმა **მორნი სტეინმა** იყოჩაღა. მან 53 მეტრიდან საჯარიმო მაშინ დაარტყა, როცა შეხვედრისათვის განკუთვნილი დრო უკვე ამოწურული იყო. ტაბლოზე კი ანგარიში საყაიმო - 25:25 იყო. სტეინს ნერვებმა არ უმტყუნა და ზუსტი საჯარიმო დარტყმით „ბოკეს" მორიგი გამარჯვება მოუტანა.

იქამდე კი, სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა ძალიან ბევრი ინვალა. გუნდის თამაშში თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო. თუმცა დამრტყმელები **ფრანსუა სტეინი** და **რუან პიენაარი** სცოდავდნენ. ორივემ ჯამში ოთხი საჯარიმო და ერთი გარდასახვა ვერ გაიტანა ანუ „ბოკეს" 14 ქულა დააკლდა.

საქმე, როგორც უკვე ალვნიშნეთ, მორნი სტეინმა გამოაკეთა. საერთოდ, აფრიკელთა თავკაცს ცვლილებებმა გაუმართლა. სტეინის მოედანზე შესვლამდე ხუთი წუთით ადრე თამაშში გარემარბი **ჟაკ ფური** ჩაერთო. ამან მასპინძელთა მიერ გატანილი სამი ლელოდან ბოლო, მესამე ლელო 75-ე წუთზე გაიტანა და თავისიანები შეხვედრაში პირველად დააწინაურა.

მანამდე კი ანგარიშში წინ მუდამ ბრიტანელი ლომები იყვნენ და თამაშსაც თითქმის მთლიანად აკონტროლებდნენ. შეხვედრა საკმაოდ უჩვეულოდ დაიწყო. 32-ე წამზე აფრიკელთა მესამეხაზელი **შალკ ბურხერი** მატჩის ფრანგმა არბიტრმა **ფრანსუა ბერდოსმა** სინბინში გაუშვა. ბურხერმა რაკში თამაშისას ლომების გარემარბ **ლუკ ფიცჯერალდს** ლამის თვალები დათხარა.

მალე ბრიტანელებმა ანგარიში საჯარიმოდან გახსნეს კიდეც. **სტეფან ჯოუნზმა** ხელსაყრელი პოზიციიდან შანსი ხელიდან არ გაუშვა. მე-10 წუთისთვის სტუმრები უკვე 10:0-ს იგებდნენ. ლელო შეტევაში სილრმიდან ჩართულმა ფულ ბეკმა **რობ ქერნიმ** გაიტანა. საკმაოდ რთული პოზიციიდან, თითქმის კიდედან ჯოუნზმა გარდასხვა ზუსტად დაარტყა - 10:0. ასეთ დასაწყისს არავინ ელოდა.

დაახლოებით ათწუთიან შუალედში მეტოქეებმა თითო საჯარიმო გაცვჭვალეს. ზუსტი დარტყმები სტეფან ჯოუნზს და ფრანსუა სტეინს გამოუვიდათ - 13:3. ხუთიოდ წუთში კი მასპინძლებმა ანგარიშში სხვაობა ხუთ ქულამდე შეამცირეს. ბრიტანელთა მოედნის ნახევარზე „ბოკემ" საკუთარი დერეფანი სუფთად მოიგო და ბურთი ხაზის მოთამაშეებმა გაიტაცეს. გარემარბმა **ჯეი პი პიტერსენმა** ლელომდე თითქმის 30 მეტრი ირბინა. გარდასახვა რუან პიენაარმა დაარტყა და ვერ გაიტანა - 8:13.

ტაიმის დასრულებამდე ჯოუნზმა მასპინძელთა კარი არეკნით დალაშქრა და სხვაობა რვა ქულამდე გაზარდა - 16:8. ეს ანგარიში თამაშში საკმაოდ დიდხანს შენარჩუნდა. „ქურციკები" საკუთარი მონაგარის გაზრდას ვერაფრით ახერხებდნენ. „ბრიტანელმა ლომებმა" კი კიდევ ორი საჯარიმო მიითვალეს - 22:8.

მორნი სტეინი მოედანზე მე-60 წუთიდან გამოჩნდა და ყველაფერი შეიცვალა. ჯერ „ბოკეს" გარემარბმა **ბრაიან ჰაბანამ** გაჭრა ცენტრიდან მოწინააღმდეგის დაცვის ხაზი, სტეინმა გარდასახა - 15:22. მანვე ორიოდ წუთში საჯარიმოდანაც არ გააწბილა ქომაგები - 18:22.

გარდამტეხი, როგორც ზემოთაც ალვნიშნეთ, გარემარბ ჟაკ ფურის ლელო გამოდგა. სტეინმა აქაც იყოჩაღა, თავისიანები წინ გაიყვანა - 25:22. ბრიტანელებმა ანგარიშის გათანაბრება ჯოუნზის საჯარიმო დარტყმით მაინც შეძლეს. თუმცა სიხარული ხანმოკლე გამოდგა. მორნი სტეინმა სულ რაღაც ოცი წუთი ითამაშა და მატჩის გმირი შეიქნა.

მორიგი შეხვედრა ამ გუნდებს შორის 4 ივლისს იოჰანესბურგში გაიმართება.

სიდნეიში ავსტრალიის ნაკრებმა საფრანგეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და 22:6 დაამარცხა. უფრო ზუსტად, გამარჯვება „ვოლაბებს" ერთმა მორაგბემ, ათმა ნომერმა **მეტ გიტომ** მოუტანა. მის ანგარიშზე ავსტრალიელთა ოცდაორივე ქულაა. გიტომ ჯერ ლელო გაიტანა თავისი გარდასახვით, რასაც შემდეგ კიდევ ხუთი ზუსტი საჯარიმო დარტყმა დაუმატა. ფრანგებმა მხოლოდ ორი საჯარიმოს გატანა მოახერხეს. ერთი მათგანი ქართული წარმოშობის ფრანგის **დიმიტრი იაშვილის** ანგარიშზეა. ერთიც **ლიონელ ბოქსიმ** მიითვალა.

საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია „ოლ ბლექსს" კრაისჩერჩში იტალიის ნაკრებმა. თუმცა ზელანდიელებმა მეტოქეს სამი ლელო მაინც გაუტანეს და 27:6 დაამარცხეს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**ზელანდია-იტალია 27:6**

**ზელანდია:** 3ლ - როკოთოკო, როსი, ვაითლოქი. 2ს,3გ - მაკალისტერი.
**იტალია:** 2ს - მაკლინი

**ავსტრალია-საფრანგეთი 22:6**

**ავსტრალია:** ლ,გ,5ს - გიტო.
**საფრანგეთი:** 2ს - იაშვილი, ბოქსი.

**ს.აფრიკა-ბრიტ.ლომები 28:25**

**ს.აფრიკა:** 3ლ - პიტერსენი, ჰაბანა, ფური. 3ს - მ.სტეინი (2), ფ.სტეინი. 2გ - მ.სტეინი.
**ბრიტ.ლომები:** ლ - ქერნი. 4ს,გ,ა - ჯოუნზი

**ფიჯი-სამოა 19:14**

**იაპონია-ტონგა 21:19**

**ჰოკეი.** დრაფტი 2009

# შვედების დრაფტი

ჰოკეის ეროვნული ლიგის მორიგმა დრაფტმა მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა. როგორც ვარაუდობდნენ, წლევანდელი დრაფტის პირველი სამი ნომერი **ჯონ ტავარესს, ვიქტორ ჰედმანსა** და **მეტ დიუშენს** ერგოთ.

დღეს ჩვენ გაგაცნობთ დრაფტის პირველ ხუთეულში მოხვედრილ ჰოკეისტებსა და მათ პერსპექტივებს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში.




### 1. აილენდერსი. ჯონ ტავარესი, ფორვარდი

ახალგაზრდულ ლიგებში **ტავარესი** ზედიზედ ხსნიდა შედეგიანობის რეკორდებს. 2008-09 წლების სეზონში "ლონდონ ნაითსის" შემადგენლობაში გამოსვლისას, "აილენდერსის" მომავალმა ახალწვეულმა 56 მატჩში 58 შაიბა გაიტანა.

ტავარესი ბომბარდირობისთვის არის დაბადებული. ის უდიდესი ინტერესით სარგებლობს პრესასა და გულშემატკივრებში - ეს კი ტელეტრანსლაციებიდან შემოსულ ფულს, ბილეთებისა და სუვენირების რეალიზაციის მაღალ პროცენტს ნიშნავს. თანაც, უკვე დროა, "აილენდერსი" აუტსაიდერების რიგებიდან გამოვიდეს. ტავარესი უნდა გახდეს ის მოთამაშე, რომლის გარშემოც ახალი გუნდი შეიქმნება. *"იმედი მაქვს, ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ წარმატების მიღწევას და გამარჯვებათა ტრადიციების დაბრუნებას"*, - განაცხადა ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა.

### 2. ტამპა ბეი. ვიქტორ ჰედმანი, მცველი

**ჰედმანი** მზად არის ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სათამაშოდ. მისი სიმაღლე 2 მეტრია, წონა - 100 კილოგრამი. შვედ მცველს თავის სახელოვან თანამემამულეს **ნიკლას ლიდსტრიომს** ადარებენ. ჰედმანი სასარგებლოა შეტევაში და ბრწყინვალე - დაცვაში. სოლიდური გაბარიტები ძალისმიერ ბრძოლაში უპირატესობას ანიჭებს, კორპუსის გამოყენების გარეშე შაიბის ართმევა - ასევე ჰედმანის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. სკანდინაველი დრაფტის წინ ამბობდა, რომ "ტამპაში" თამაში სურდა. ასე რომ, "ლაითნინგმა" და ჰოკეისტმა ის მიიღეს, რაც სურდათ.

### 3. კოლორადო. მეტ დიუშენი, ფორვარდი

ეს თავდამსხმელი ბრწყინვალე სისწრაფით, სნაიპერული თვისებებითა და საგოლე მომენტებისადმი "მზრუნველი" დამოკიდებულებით გამოირჩევა. ასევე ძალიან სასარგებლოა რიცხობრივ უმცირესობაში თამაშისას. მოკლედ, ფორვარდი-უნივერსალი. ამას ემატება ის, რომ **დიუშენი** უკვე დიდი ხანია "კოლორადოს" გულშემატკივრობს.

### 4. ატლანტა. ევანდერ კეინი, ფორვარდი

გასული სეზონი **კეინისთვის** უბრალოდ ფენომენალური გამოდგა. თუ ერთი წლის წინ, ევანდერმა (ეს სახელი ლეგენდარული ამერიკელი მოკრივის **ევანდერ ჰოლიფილდის** საპატივცემლოდ ჰქვია) 65 მატჩში მხოლოდ 41 ქულა (24+17) დააგროვა, წელს მისი მაჩვენებლები მართლაც მომხიბვლელია - 61 მატჩი და 96 ქულა (48+48). კეინს კალგარელ **ჯერომ იგინლას** ადარებენ: ამას მისი თამაშის მანერა და კანის ფერიც უწყობს ხელს. კეინი უნივერსალია: სნაიპერი, პასების დამრიგებელი, ძალისმიერი ფორვარდი.

### 5. ლ. ანჯელესი. ბრეიდენ შენი, ფორვარდი

თავდამსხმელი, რომლის საკუთარ რიგებში ხილვაც "ტორონტოს" სურდა, კალიფორნიაში მიემგზავრება. შენი ძლიერია ძალისმიერ ბრძოლაში, კარგად იცავს თავს, ფლობს ლიდერის თვისებებს. ხოლო გასული სეზონის 70 მატჩში დაგროვებული 56 პასი მის დისპეტჩერულ უნარზე მიუთითებს.

■ ■ ■

მონრეალში გამართული დრაფტის მთავარი მოვლენა ის იყო, რომ პირველ რაუნდში შვიდი ახალგაზრდა შვედი ჰოკეისტი აირჩიეს, რაც მსგავსი ღონისძიების ისტორიაში აბსოლუტური რეკორდია.

პირველ რაუნდში არჩეული 30 მოთამაშიდან შვედეთს წარმოადგენენ ვიქტორ ჰედმანი, მცველი **ოლივერ ეკმან ლარსონი** (აირჩია "ფინიქსმა" მე-6 ნომერად), თავდამსხმელი **მაგნუს პიარვი-სვენსონი** ("ედმონტონი", 10), მცველი **დავიდ რუნბლადი** ("სენტ ლუისი", 17), **ფორვარდი იაკობ იუსეფსონი** ("ნიუ ჯერსი", 20), მცველი **ტიმ ერიქსონი** ("კალგარი", 23) და ფორვარდი **მარკუს იუჰანსონი** ("ვაშინგტონი", 24).

ბოლოს დრაფტის პირველ რაუნდში "ტრე კრუნურს" მაქსიმალური წარმომადგენლობა 1993 წელს ჰყავდა - ექვსი ჰოკეისტი.

გუშინ ჩატარებული დრაფტის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ის იყო, რომ პირველ რაუნდში მხოლოდ ერთი რუსი ჰოკეისტი იყო წარმოდგენილი.

**გია თვალაბეიშვილი**

# იხვებმა სელიანე და ნიდერმაიერი შეინარჩუნეს

## კრის პრონგერი ფილადელფიაში გადავიდა


"ანაჰაიმ დაქსის" ორი ვეტერანი - 36 წლის მცველი **სკოტ ნიდერმაიერი** და 39 წლის ფორვარდი **ტეემუ სელიანე** კიდევ ერთი წელი ითამაშებენ "იხვების" შემადგენლობაში. ორივე ჰოკეისტმა "ანაჰაიმთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

"ყველა ვარსკვლავის მატჩის" ათგზის მონაწილე სელიანეს NHL-ში ნათამაშები 17 სეზონიდან ათი "დაქსის" რიგებში აქვს გატარებული. ოკეანის გაღმა კარიერა მან "ვინიპეგის" შემადგენლობაში დაიწყო და სადებიუტო სეზონში 76 შაიბა გაიტანა, რისი წყალობითაც ლიგის საუკეთესო სნაიპერი გახდა. 1995 წლიდან მოყოლებული პაუზებით (2000-04 წლებში "სან ხოსესა" და "კოლორადოში" თამაშობა) "ანაჰაიმის" შემადგენლობაში ირიცხება და 352 გოლითა და 390 პასით ამ გუნდის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია. სულ კი ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სელიანემ 1132 მატჩში 1212 ქულა (579 გოლი+633 პასი) დააგროვა.

*"ტეემუ ძველებურად უმაღლეს დონეზე თამაშობს, მატჩებში ბოლომდე იხარჯება და გასახდელში ნამდვილ ლიდერად გვევლინება"*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა სელიანესთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას "ანაჰაიმის" გენერალურმა მენეჯერმა **ბობ მიურეიმ**.

სკოტ ნიდერმაიერი ზედიზედ მეოთხე სეზონს გაატარებს "ანაჰაიმის" რიგებში. "იხვების" დაცვის ლიდერს, რომელსაც ლიგაში დებიუტი 1991 წელს ჰქონდა, 1183 მატჩი აქვს ჩატარებული და მის ანგარიშზე 692 ქულა (162+530) მოდის.

მართალია, "ანაჰაიმმა" ორი ვეტერანი შეინარჩუნა, მაგრამ ამავდროულად თავისი საუკეთესო მცველთა დუეტი დაშალა. ბოლო სამი სეზონი სკოტ ნიდერმაიერთან წყვილში ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი **კრის პრონგერი** თამაშობდა, რომელიც გუშინ "იხვების" ხელმძღვანელობამ "ფილადელფიაში" გაუშვა, სანაცვლოდ კი ორი ჰოკეისტი - **ლუკ სიბსა** და **ჯოფრი ლუპული** და მომავალ დრაფტში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლება მიიღო.

გასულ სეზონში 34 წლის პრონგერმა 82 მატჩი ჩაატარა, 11 გოლი გაიტანა და 37 საგოლე გადაცემა შეასრულა.

**გია თვალაბეიშვილი**

**რალი.** მსოფლიოს ჩემპიონატი

**VIII ეტაპი. პოლონეთის რალი**

1. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, "ფორდი") - 3:07.27,5; 2. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, "სიტროენი") - +1.10,30; 3. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, "ფორდი") - +2.05,70; 4. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, "სუბარუ") - +2.24,30; 5. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, "ფორდი") - +4.17,50; 6. **კშიშტოფ ჰოლოვჩიკი** (პოლონეთი, "ფორდი") - +4.33,90; 7. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, "სიტროენი") - +19.15,10; 8. **კონრად რაუტენბახი** (ზიმბაბვე, "სიტროენი") - +19.20,60.

**საერთო ჩათვლა**

1. **მიკო ჰირვონენი** - 58 ქულა; 2. **სებასტიან ლოები** - 57; 3. **დანიელ სორდო** - 39; 4. **ჰენინგ სოლბერგი** - 27; 5. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, "ფორდი") - 25; 5. **პეტერ სოლბერგი** - 25; 7. **მეტიუ უილსონი** - 19; 8. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, "ფორდი") - 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცურვა

# რეკორდები გახშირდა

მოახლოებული მსოფლიოს ჩემპიონატის წინ პლანეტის საუკეთესო მოცურავეები ბრწყინვალე ფორმის დემონსტრირებას ახდენენ.

იტალიის ქალაქ პესკარაში ხმელთაშუა ზღვის თამაშები მიმდინარეობს, სადაც მოცურავეები "მოკლე" აუზში ეჯიბრებიან ერთმანეთს. სწორედ აქ პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონმა **ფედერიკა პელეგრინიმ** 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 25-მეტრიანი აუზისთვის მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. იტალიელის დრო იყო 4 წუთი და 41 მეასედი წამი, რაც 15 მეასედით ნაკლებია წინა რეკორდზე, რომელიც ბრიტანელ **ჯოან ჯექსონს** ეკუთვნოდა და ამა წლის მარტში იყო დამყარებული.

შეგახსენებთ, რომ ფედერიკა პელეგრინიმ პეკინში ორჯერ ნაკლებ დისტანციაზე გაიმარჯვა. მასვე ეკუთვნის მსოფლიოს რეკორდი 200 მეტრ დისტანციაზე.

■ ■ ■

ბრწყინვალე ფორმაშია პეკინის ოლიმპიადის კიდევ ერთი ტრიუმფატორი **ბრიტა შტეფენი**, რომელმაც ბერლინში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე მის მიერვე ორი დღის წინ, 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა.

ამჯერად გერმანელმა თავის წინა რეკორდს 59 მეასედი წამი ჩამოაკლო. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ამ დისტანციაზე საუკეთესო დრო ავსტრალიელ **ლიბი ტრიკეტს** ეკუთვნოდა (52.88 წამი)



ალსანიშნავია, რომ შტეფენი იმ საცურაო კოსტიუმით გამოდიოდა, რომლის ხმარებაც, შესაძლოა, მომავალი სეზონიდან აკრძალონ.

კალათბურთი



## შაქმა 33 აირჩია

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვეტერანი ცენტრი **შაკილ ო'ნილი** თავის ახალ კლუბ "კლივლენდ კავალიერზში" 33-ე ნომრით ითამაშებს.

შაკს ეს ნომერი სასკოლო კალათბურთის გუნდსა და უნივერსიტეტის ლიგაში ჰქონდა. რაც შეეხება NBA-ის, თავის წინა კლუბებში ო'ნილი 32-ე და 34-ე ნომრებით თამაშობდა.

## რაშიდი სპურსში?

"დეტროიტ პისტონზის" ვეტერანმა ფორვარდმა **რაშიდ უოლასმა**, შესაძლოა, "სან ანტონიო სპურსის" რიგები შეავსოს - იტყობინება San Antonio Express-News-ი.

1 ივლისიდან უოლასი თავისუფალი აგენტი გახდება და მას **გრეგ პოპოვიჩის** გუნდში გადასვლას უწინასწარმეტყველებენ. რაშიდით ასევე "ბოსტონ სელტიქსია" დაინტერესებული. გასულ სეზონში დეტროიტელი საშუალოდ 12 ქულასა და 7.4 მოხსნას აგროვებდა.

## ზო მაიამიში დაბრუნდა

"მაიამი ჰიტის" ლეგენდა **ალონზო მოურნინგი** ფლორიდულ კლუბში დაბრუნდა. ასოციაციის ყოფილი ცენტრი "ჰიტში" ვიცე-პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს. ზოს კონტრაქტის დეტალები არ გახმაურებულა.

მოურნინგი 2006 წლის სეზონში NBA-ის ჩემპიონი გახდა "მაიამის" შემადგენლობაში. ეს ცენტრი აგრეთვე "შარლოტისა" და "ნიუ ჯერსის" ღირსებას იცავდა.

## თეთრ სახლში კალათბურთს ითამაშებენ

ამერიკის პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** თეთრ სახლში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავები მიიწვია. კერძოდ, თეთრი სახლის ეზოში საჩვენებელი მატჩის გამართვაა დაგეგმილი. ობამა პლანეტის საუკეთესო კალათბურთელების წინააღმდეგ აპირებს შებმას.

სავარაუდოდ, NBA-ის მოთამაშეთა ნაკრებში "კლივლენდ კავალიერზის" ლიდერ **ლებრონ ჯეიმსს** ვიხილავთ.

მოტორბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# როსიმ მეასე მოიგო და ფერარის დაუმიზნა

გასულ უქმეებზე ჰოლანდიის ქალაქ ასენში მოტორბოლაში მსოფლიოს ჩემპიონატის მეშვიდე ეტაპი გაიმართა, რომლის დროსაც ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა. მოტოგრანპრის კლასში მოასპარეზე ლეგენდარულმა **ვალენტინო როსიმ** კარიერაში მე-100 (!) რბოლა მოიგო და კვლავ სათავეში ჩაუდგა საერთო ჩათვლას.

ასევე საინტერესოა ვალენტინოს შესახებ გავრცელებული ეს ინფორმაცია. "ფერარის" პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ** ამასწინათ განაცხადა, რომ ფორმულა 1-ის რბოლების სანახაობრივი მხარის ამაღლებისა და გასწრებების რაოდენობის გაზრდის მიზნით, წამყვანმა გუნდებმა, შესაძლოა, ტრასაზე არა ორი, არამედ სამი ბოლიდი გამოიყვანონ. ამ განცხადებას გამოეხმაურა როსი, რომელიც რამდენჯერმე მონაწილეობდა იტალიური გუნდის ტესტებში. ვალენტინომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 2011 წლისთვის ყველა ღონეს იხმარს "ფერარის" მესამე პილოტის სტატუსის მოსაპოვებლად.

*"მომავალ წელს Yamaha-სთან კონტრაქტი მაკავშირებს და ამის გამო ფორმულა 1-ში გადასვლა პრობლემატური იქნება, თანაც "ფერარის" ჯერ არ ჰყავს მესამე მანქანა. თუმცა 2011 წლისთვის, მოხარული ვიქნები, თუ "სკუდერიასთან" კონტრაქტს გავაფორმებ. რატომაც არა? ეს იდეა სულაც არ არის ინტერესმოკლებული",* - ამბობს იტალიელი მოტომრბოლი.

**VII ეტაპი (ჰოლანდია)**

**125 cc**

1. **სერხიო გადეა** (ესპანეთი, "აპრილია") - 39.07,577; 2. **ხულიან სიმონი** (ესპანეთი, "აპრილია") - +0,901; 3. **ბრედლი სმიტი** (ბრიტანეთი, "აპრილია") - +12,350; 4. **ანდრეა იანონე** (იტალია, "აპრილია") - +12,400; 5. **ნიკოლას ტეროლი** (ესპანეთი, "აპრილია") - +20,076; 6. **შტეფან ბრადლი** (გერმანია, "აპრილია") - +20,488.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ხულიან სიმონი** - 104 ქულა; 2. **ბრედლი სმიტი** - 98.5; 3. **ანდრეა იანონე** - 84.5; 4. **სერხიო გადეა** - 84; 5. **ნიკოლას ტეროლი** - 68.5; 6. **მარკ მარკესი** (ესპანეთი, KTM) - 55.

**250 cc**

1. **ჰიროში აოიამა** (იაპონია, KTM) - 40.44,008; 2. **ექტორ ბარბერა** (ესპანეთი, "აპრილია") - +4,224; 3. **მარკო სიმონჩელი** (იტალია, "ხილერა") - 10,339; 4. **ალექს ესპარგარო** (ესპანეთი, "აპრილია") - +11,383; 5. **რობერტო ლოკატელი** (იტალია, "ხილერა") - +11,596; 6. **ალექს დებონი** (ესპანეთი, "აპრილია") - +14,265.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ჰიროში აოიამა** - 121 ქულა; 2. **ალვარო ბაუტისტა** (ესპანეთი, "აპრილია") - 108; 3. **ექტორ ბარბერა** - 95; 4. **მარკო სიმონჩელი** - 77; 5. **მატია პაზინი** (იტალია, "აპრილია") - 64; 6. **თომას ლუტი** (შვეიცარია, "აპრილია") - 52.

**მოტოგრანპრი**

1. **ვალენტინო როსი** (იტალია, "იამაჰა") - 42.14,611; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპანეთი, "იამაჰა") - +5,368; 3. **კეისი სტოუნერი** (ავსტრალია, "დუკატი") - +23,113; 4. **კოლინ ედვარდსი** (აშშ, "იამაჰა") - 29,114; 5. **კრის ვერმოილენი** (ავსტრალია, "სუძუკი") - +33,605; 6. **ჯეიმს თაუსლენდი** (ბრიტანეთი, "იამაჰა") - +39,347.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ვალენტინო როსი** - 131 ქულა; 2. **ხორხე ლორენსო** - 126; 3. **კეისი სტოუნერი** - 122; 4. **ანდრეა დოვიციოზო** (იტალია, "ჰონდა") - 69; 5. **დანიელ პედროსა** (ესპანეთი, "ჰონდა") - 67; 5. **კოლინ ედვარდსი** - 64.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ფინეთი** | |
| ლაჰტი-ტამპერე | 2:1 |
| ტურკუ-მიუპა | 3:1 |
| ჰაკა-იარო | 0:0 |
| ჰიკ-ინტერი | 2:0 |
| როვანიემი-ჰონკა | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| კოოტეპე-ოულუ | 0:1 |
| კპვ-პკ35 | 1:0 |
| ვიიკინგიტი-იიპო | 2:0 |
| **ისლანდია** | |
| ფიოლნირი-ფრამი | 1:2 |
| ტროტური-ფილკირი | 1:2 |
| ვესტმანაეიარი-ჰაფნარი | 0:3 |
| გრინდავიკი-კეფლავიკი | 1:1 |
| **ნორვეგია** | |
| ფრედრიკსტადი-ბოდო გლიმტი | 2:2 |
| მიოლდე-ლინი | 4:0 |
| ოდ გრენლანდი-ვიკინგი | 2:2 |
| სტრიომსგოდს.-სანდეფიორდი | 1:1 |
| ტრომსიო-ოლესუნდი | 3:1 |
| ვოლერენგა-რუსენბორგი | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ბრინი-ტრიომსდალენი | 2:2 |
| ჰაუგესუნდი-სიოგნდალი | 0:2 |
| ჰიონეფოსი-სტავანგერი | 3:1 |
| ლოვ ჰამი-ნოტოდენი | 2:1 |
| მიონდალენი-ალტა | 0:1 |
| სარპსბორგი-კონგსვინგერი | 1:0 |
| სკეიდი-ნილი | 1:2 |
| **ბელარუსი** | |
| გრანიტი-დინამო (ბ) | 1:1 |
| მტზ რიპო-ბატე | 0:2 |
| ტრანსმაში-მინსკი | 3:2 |
| ტორპედო-დინამო (მნ) | 0:0 |
| ნაფტანი-ვიტებსკი | 2:1 |
| შახტიორი-ნემანი | 2:0 |
| **აშშ** | |
| კოლამბუსი-ნიუ იორკი | 1:0 |
| სოლტ ლეიკი-ტორონტო | 3:0 |

| | |
|---|---|
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანჟი-ლ. ენერგია | 2:0 |
| კამაზ-ურალი | 1:1 |
| ნოსტა-ალანია | 2:2 |
| ვოლგა-სიბირი | 2:0 |
| გაზპრომი-სკა ენერგია | 0:0 |
| ჩერნომორეცი-სალუტი | 1:1 |
| ვიტიაზი-ნიჟნი ნოვგოროდი | 1:0 |
| კრასნოდარი-მეტალურგი | 1:0 |
| **ბრაზილია** | |
| ატ. პარანაენსე-კორინთიანსი | 1:0 |
| ბარუერი-ატ. მინეირო | 4:2 |
| სან პაულუ-ნაუტიკო | 2:0 |
| ბოტაფოგო-გოიაში | 1:4 |
| კრუზეირო-ავაი | 1:0 |
| **ჩილე** | |
| უნ. ჩილე-ევერტონი | 3:1 |
| **ეკვადორი** | |
| ტექ. უნივერსიტარიო-მაკარა | 2:0 |
| ელ ნასიონალი-პორტოვიეხო | 2:3 |
| დეპ. კუენსა-ემელეკი | 0:1 |
| ოლმედო-დეპ. კიტო | 1:0 |
| **პერუ** | |
| ინტი გასი-ხოსე გალვესი | 1:0 |
| ალ. ლიმა-მელგარი | 0:2 |
| ტოტალ ჩალაკო-უნ. პერუ | 1:1 |
| კოლეგიო-ბოლონესი | 2:0 |
| სპორტ ანკაში-სესარ ვალეხო | 0:1 |
| ალ. ატლეტიკო-სპორტი | 3:1 |
| სენსიანო-სპ. კრისტალი | 5:5 |
| **იაპონია** | |
| კიოტო-ჰიროშიმა | 2:0 |
| ივატა-კაშივა | 2:3 |
| ჯეფ იუნაიტედი-ომიია | 0:2 |
| ურავა-კობე | 2:0 |
| ტოკიო-შიმიცუ | 2:1 |
| იამაგატა-კავასაკი | 0:1 |
| იოკოჰომა-გამბა | 1:2 |
| ნიიგატა-ნაგოია | 2:1 |
| ოიტა-კაშიმა | 1:2 |

სხვადასხვა

ჩოგბურთი

## კიდევ ერთი ტურნირი

ATP-ის კალენდარს კიდევ ერთი ტურნირი დაემატა - მალაიზიის ღია პირველობა, რომელიც სექტემბერში კუალა ლუმპურში გაიმართება. ახალი ჩემპიონატი "აზიის ტურნირების" სერიაში დაიკავებს ადგილს, სადაც შედის ტაილანდის, ჩინეთის, იაპონიის ღია პირველობები და შანხაის მასტერსი.

მალაიზიის პრემიერმინისტრმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ წელს ტურნირი 28 სექტემბერს დაიწყება და 16-ათასიან "პუტრა სტედიუმზე" გაიმართება.

კრივი

## მეივეზერი 19 სექტემბერს იჩხუბებს

პროფესიულ სპორტში დაბრუნებული **ფლოიდ მეივეზერ-უმცროსი** თავის პირველ ბრძოლას 19 სექტემბერს გამართავს. მეტოქე უცვლელია - მექსიკელი **ხუან მანუელ მარკესი**. შეგახსენებთ, რომ თავიდან ეს ბრძოლა 18 ივლისს უნდა გამართულიყო, მაგრამ მეივეზერმა ბარძაყის ტრავმა მიიღო და შეწყვიტა საწვრთნელი პროცესი.

სამედიცინო შემოწმების შემდეგ ექიმებმა დაადგინეს, რომ დაუმარცხებელ ამერიკელს სექტემბრამდე არ ექნება რინგზე გასვლის უფლება.

## კლიჩკო vs ჰეი სექტემბერში?

სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონის **ვიტალი კლიჩკოსა** და ბრიტანელი **დევიდ ჰეის** ბრძოლა, შესაძლოა 12 სექტემბერს გაიმართოს. როგორც fightnews.com იტყობინება, დღეს მოლაპარაკებები მიმდინარეობს ბრძოლის სწორედ ამ დღეს ორგანიზების შესახებ. სავარაუდოდ, ბრძოლა გერმანიაში გაიმართება, თუმცა შესაძლებელია ჩხუბის ჩატარება დონეცკში, "შახტარის" ახალ 50-ათასიან სტადიონზე, რომელიც 29 აგვისტოს გაიხსნება.

რაც შეეხება გამაერთიანებელ ბრძოლას ვიტალი კლიჩკოსა და WBA-ის ჩემპიონ **ნიკოლაი ვალუევს** შორის, უკრაინელი მოკრივის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არ სურთ საქმე ჰქონდეთ რუსის პრომოუტერ **დონ კინგთან**. მიუხედავად ამისა, უფროსი კლიჩკოსა და ვალუევის ჩხუბი, სავარაუდოდ, 2010 წელს გაიმართება.

TV პროგრამა

**29 ივნისი. ორშაბათი**

**I არხი**

**23:00** გოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:40** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. შახტარი-სპორტინგი.
**09:40** არგენტინის ჩემპიონატი.
**11:30** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ლივერპული.
**14:10** გასული ს ეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლილი.
**18:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ალკმაარი.
**20:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:30** არგენტინის ჩემპიონატი.
**22:20** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ატლეტიკო.
**00:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რომა-ჩელსი.
**02:10** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**02:40** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლიონი.
**04:30** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ბარსელონა.

**EUROSPORT**

**10:30** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პოლონეთი.
**11:00** სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. ბრიტანეთი.
**12:00** ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
**12:15** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (UNDER 17). ქალები. ფინალი. ესპანეთი-გერმანია. შვეიცარია.
**14:00** ცურვა. ხმელთაშუაზღვის თამაშები. II დღე. პესკარა. იტალია.
**15:00** ნიჩბოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. III დღე. გერმანია.
**16:00** ნიჩბოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. IV დღე. გერმანია.
**17:00** სნუკერი. დიდების დარბაზი.
**18:00** ველოსპორტი. ფლანდრიის ტური. ბელგია.
**19:30** ცურვა. ხმელთაშუაზღვის თამაშები. II დღე. პესკარა. იტალია.
**20:00** ცურვა. ხმელთაშუაზღვის თამაშები. III დღე. პესკარა. იტალია (LIVE).
**22:00** ევროგოლი. ჯანლუიჯი ბუფონი.
**22:15** მულტისპორტი.
**22:30** პრო-რესტლინგი.
**00:25** მულტისპორტი.
**00:30** ბრძოლა წესების გარეშე.
**01:30** ცურვა. ხმელთაშუაზღვის თამაშები. III დღე. პესკარა. იტალია.
**02:30** ნიჩბოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. IV დღე. გერმანია.

# უიმბლდონი დაბადების დღე

კვირა უიმბლდონზე ტრადიციულად დასვენების დღეა, მანამდე კი ჩოგბურთელებმა 1/16 ფინალში ურთიერთობის გარკვევა დაასრულეს.

შაბათს მთავარი მოულოდნელობები რუს ჩოგბურთელებთან იყო დაკავშირებული. **ნიკოლაი დავიდენკოს** უიმბლდონზე დიდი წარმატებებისთვის არასოდეს მიუღწევია და მისი მაქსიმუმი მერვედფინალში გასვლა იყო. რუსების პირველმა ნომერმა ამჯერად ვერც ეს მოახერხა, არადა, თავის მეტოქესთან - ჩეხ **ტომაშ ბერდიხთან** აქამდე ჩატარებულ რვა მატჩში რვავე მოგებული ჰქონდა.

ჩეხი ჩოგბურთელი დამაჯერებლად აკონტროლებდა მატჩის მსვლელობას და ისეთ ტემპში თამაშობდა, რომ დავიდენკო ვერაფრის გაკეთებას ვერ ასწრებდა. ზუსტად საათ-ნახევარში ბერდიხმა პირველი გამარჯვება იზეიმა რუსზე - 6:2, 6:3, 6:2.

ნახევარ საათში პირველ კორტზე სათამაშოდ როლან გაროსის ჩემპიონი **სვეტლანა კუზნეცოვა** გავიდა. ამ დღეს რუსი ჩოგბურთელი 24 წლის გახდა და დაბადების დღეზე მისთვის ყველაზე კარგი საჩუქარი მერვედფინალის საგზური იქნებოდა, მაგრამ ახალგაზრდა გერმანელმა **საბინ ლისიცკიმ** არ მოისურვა სვეტლანას დასაჩუქრება.

ევროპული ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეულ ლისიცკის უძლიერესი მოწოდება აქვს, რომელიც ქალთა ტურში მხოლოდ **ვენუს უილიამსს** თუ ჩამოუვარდება. კუზნეცოვასთან მატჩში გერმანელმა ეს იარაღი კარგად გამოიყენა, რასაც მეტოქის შეცდომებიც დაემატა და ლისიცკიმ პირველი სეტი 6:2 მოიგო.

მეორე სეტში არაფერი შეცვლილა. რუსი კვლავაც ინერტული იყო და ვერ ხვდებოდა, რა უნდა დაეპირისპირებინა ბრწყინვალედ მოთამაშე მეტოქისთვის. მხოლოდ ბოლო მომენტში, როცა 2:5 ჩამორჩა, სვეტლანამ თავისი თამაში იპოვა და რამდენიმე კარგი გეიმი ჩაატარა. შედეგად, სეტში ანგარიში გათანაბრდა. მაგრამ ლისიცკიმ მოწინააღმდეგეს კიდევ ერთი ბრეიკის გაკეთების საშუალება არ მისცა - თითქმის ყველა მოწოდებას საათში 200 კილომეტრი სიჩქარით ასრულებდა. კუზნეცოვამ ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ საბინამ მეხუთე მატჩ-პოინტიდან სეტი და მთლიანად მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა.



კუზნეცოვამ დაბადების დღეზე წააგო

ქალებს შორის მეორე სენსაცია **ელენა იანკოვიჩმა** შემოგვთავაზა. მართალია, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი კარგ შედეგებს ველარ აჩვენებს, მაგრამ მის წაგებას 17 წლის ამერიკელ **მელანი ოუდინისგან** არავინ ელოდა. მეტოქეები ბალახის კორტებისთვის არადამახასიათებელ ჩოგბურთს აჩვენებდნენ და სამსეტიანი მატჩი სამი საათი გაწელეს. სერბმა თავისი ცუდი თამაში ქალურ პრობლემებს დააბრალა: *"როგორც იცით, ქალად ყოფნა არც ისე იოლია. იმედი მაქვს, ხვდებით რასაც ვგულისხმობ. პირველი სეტის შემდეგ ძალიან ცუდად გავხდი. ისიც კი გავიფიქრე, უკეთესი იქნებოდა საავადმყოფოში ვყოფილიყავი და არა კორტზე".*

მამაკაცთა ტურნირს დავუბრუნდეთ, სადაც მორიგი გმირობა შემოგვთავაზა ვეტერანმა ესპანელმა **ხუან-კარლოს ფერერომ**. როლან გაროსის ყოფილი ჩემპიონი და ATP-ის ყოფილი პირველი ჩოგანი ამჟამად 70-ე ადგილს იკავებს კლასიფიკაციაში და ერთი პირობა ამ სეზონის გამოტოვებასა და ჩოგბურთიდან წასვლას აპირებდა. საბედნიეროდ, ფერერომ ამის გაკეთება გადაიფიქრა და უიმბლდონს შესანიშნავად მომზადებული შეხვდა. ამჯერად ესპანელმა გზიდან ჩამოიცილა მეათე ნომრად განთესილი ჩილელი **ფერნანდო გონსალესი**. ხუთსეტიან მატჩში გადამწყვეტი აღმოჩნდა ბოლო პარტიის ბოლო გეიმში ფეროროს მიერ გაკეთებული ბრეიკი, რამაც ვეტერანი მერვედფინალში გაიყვანა, სადაც მას ფრანგი **ჟილ სიმონი** შეხვდება.

ამერიკელმა **ენდი როდიკმა** ზედიზედ მესამე მატჩში წააგო სეტი და ოთხ პარტიაში დაამარცხა მოწინააღმდეგე - ავსტრიელი **იურგენ მელცერი**. **ენდი მიურეი** კი კვლავ სეტის წაუგებლად მიიწევს წინ და ის ამ მაჩვენებლით ერთადერთია წლევანდელ უიმბლდონზე. სერბ **ვიქტორ ტროიცკისთან** მატჩში მთავარი ინტრიგა არა უშუალოდ კორტზე მიმდინარე მოვლენებს, არამედ მეტეოროლოგიურ პირობებს უკავშირდებოდა. შაბათს წვიმის ყველაზე დიდი ალბათობა არსებობდა და მაყურებელს, როგორც იქნა, საშუალება მიეცემოდა მოქმედებაში ეხილა ცენტრალური კორტის მოძრავი სახურავი. მაგრამ ნახევარსაათიანი პაუზა ყველაზე მეტად მიურეის არ აძლევდა ხელს, რომელიც მაქსიმალურად ნაკლებ დროში აპირებდა მატჩის მოგებას. შეხვედრის ბოლოს წვიმა მაინც წამოვიდა, მაგრამ ჩოგბურთელებმა მოასწრეს მატჩის დასრულება, 5 წუთში კი მოძრავი სახურავი ამოქმედდა.

### კაცები

#### 1/16 ფინალი

**ენდი მიურეი (ბრიტ, 3)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ, 30) 6:2, 6:3, 6:4; **ენდი როდიკი (აშშ, 6)**-იურგენ მელცერი (ავსტრია, 26) 7:6(2), 7:6(2), 4:6, 6:3; **ჟილ სიმონი (საფ, 8)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ, 31) 6:2, 7:5, 6:2; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 10) 4:6, 7:5, 6:4, 4:6, 6:4; **ტომი ჰაასი (გერ, 24)**-მარინ ჩილიჩი (ხორ, 11) 7:5, 7:5, 1:6, 6:7(3), 10:8; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 20)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 12) 6:2, 6:3, 6:2; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 23)**-დავიდ ფერერი (ესპ, 16) 7:5, 7:5, 3:6, 4:6, 6:4; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 19)**-ჯესი ლევინი (აშშ) 5:7, 7:5, 6:3, 6:3; **იგორ ანდრეევი (რუს, 29)**-ანდრეას სეპი (იტა) 6:1, 7:6(5), 4:6, 7:6(6); **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)**-ფილიპ პეტცშნერი (გერ) 7:5, 7:6(3), 6:3.

#### 1/8 ფინალში ხვდებიან

ჰიუიტი-შტეპანეკი (23); ბერდიხი (20)-როდიკი (6); მიურეი (3)-ვავრინკა (19); ფერერო-სიმონი (8); ანდრეევი (29)-ჰაასი (24); სელა-ჯოკოვიჩი (4); ვერდასკო (7)-კარლოვიჩი (22); სიოდერლინგი (13)-ფედერერი (2).

### ქალები

#### 1/16 ფინალი

**დინარა საფინა (რუს, 1)**-კირსტენ ფლიპკენსი (ბელ) 7:5, 6:1; **ვენუს უილიამსი (აშშ, 3)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ) 6:0, 6:4; **საბინ ლისიცკი (გერ)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 5) 6:2, 7:5; **მელანი ოუდინი (აშშ)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 6) 6:7(8), 7:5, 6:2; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 9)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 20) 6:2, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 11)**-ნა ლი (ჩინ, 19) 6:4, 7:5; **ანა ივანოვიჩი (რუს, 13)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 18) 7:5, 6:2; **ამელი მორესმო (საფ, 17)**-ფლავია პენეტა (იტა, 15) 7:5, 6:3.

#### 1/8 ფინალში ხვდებიან

საფინა (1)-მორესმო (17); ვოზნიაჩკი(9)-ლისიცკი; ვ. უილიამსი (3)-ივანოვიჩი (13); ა. რადვანსკა (11)-ოუდინი; რაზანო (26)-სკიავონე ; ვესნინა-დემენტიევა (4); აზარენკა (8)-პეტროვა (10); ჰანტუხოვა-ს. უილიამსი (2).




# ვარსკვლავები მაიკლ ჯექსონს მისტირიან

ამერიკელი პოპვარსკვლავის **მაიკლ ჯექსონის** გარდაცვალებამ ბევრ სპორტსმენს დასწყვიტა გული. როგორც აღმოჩნდა, ჯექსონი სპორტის არაერთი ვარსკვლავის საყვარელი მომღერალი ყოფილა და მათ საკუთარი ემოციები გამოხატეს ამ სამწუხარო ამბის გამო.

*"მისი მუსიკა ძალიან მიყვარს. არ ვიცი, რა დაემართა ჯექსონს, ეს ძალიან სამწუხარო ფაქტია. მაიკლის მუსიკამ ბევრ ადამიანს შეუცვალა მსოფლმხედველობა, მათ შორის მეც. 1988 წელს ის ბაზელში იყო ჩამოსული. მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი და ვერ შევძელი კონცერტზე მოხვედრა. ამიტომაც, მე და ჩემი უფროსი და მუსიკას სტადიონის გარედან ვუსმენდით"*, - ამბობს მსოფლიოს მეორე ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**.

სერბ ვარსკვლავს **ნოვაკ ჯოკოვიჩს** მაიკლ ჯექსონის როლიც კი ჰქონია შესრულებული. მან რამდენიმე წლის წინ, მონტე კარლოს ტურნირზე სხვა მოთამაშეებთან ერთად ჯექსონის ლეგენდარულ სიმღერაზე Thriller-ზე მინი-წარმოდგენა დადგა და მომღერალს თავად თამაშობდა.

*"როგორც ყველა დანარჩენი, მეც შოკირებული ვარ ამ ცუდი ამბით. ძალიან სამწუხაროა ეს ყველაფერი. მის მუსიკას მთელი მსოფლიო უსმენდა. შეიძლება, დღეს არ არის ამაზე ლაპარაკის დრო, მაგრამ ორი წლის წინ... მონტე კარლოს ტურნირის დროს, მოთამაშეები ყოველთვის რაღაც შოუს ვდგამთ: სხვადასხვა ჩოგბურთელის პაროდიას ვაკეთებთ, შემდეგ კი საცეკვაო სცენებს ვდგამთ. ამისთვის რომელიმე კლიპს ვიყენებთ ხოლმე. მაშინ Thriller-ი ავირჩიეთ, მე კი ჯექსონს ვთამაშობდი. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ ხდებოდა ეს"*, - განაცხადა უიმბლდონის ოფიციალურ ვებგვერდზე ჯოკოვიჩმა.

გვერდი მოამზადა გია თვალაბეიშვილმა

# ფედერერი ედბერგს დაეწია

უიმბლდონის მესამე წრეში გამარჯვების შემდეგ, შვეიცარიელ როჯერ ფედერერს "[illegible] სლემის" ტურნირებზე 178-ე გამარჯვება [illegible] როვდა და ამ მაჩვენებლით ლეგენდარულ შვედ **სტეფან ედბერგს** გაუთანაბრდა - ეს ჩოგბურთელები მეხუთე-მეექვსე ადგილებს იყოფენ.

ამ კატეგორიაში საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. ჯიმი კონორსი (აშშ) | 233 |
| 2. ანდრე აგასი (აშშ) | 224 |
| 3. ივან ლენდლი (აშშ) | 222 |
| 4. პიტ სამპრასი (აშშ) | 203 |
| 5. სტეფან ედბერგი (შვედ) | 178 |
| 5. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 178 |
| 7. ჯონ მაკინროი (აშშ) | 167 |
| 8. ბორის ბეკერი | 163 |
| 9. მატს ვილანდერი (შვედ) | 144 |
| 10. ბიორნ ბორგი (შვედ) | 141 |



# ფინალზე დედოფალს ელიან

ბრიტანული პრესის ინფორმაციით, წლევანდელი უიმბლდონის მამაკაცთა ფინალზე დასწრებას აპირებს ბრიტანეთის დედოფალი **ელიზაბეტ II**.

არსებული ინფორმაციით, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ფინალში შოტლანდიელი **ენდი მიურეი** ითამაშებს. ადგილობრივი გულშემატკივრების მთავარმა იმედმა უკვე გააღწია მერვედფინალში, სადაც დღეს შვეიცარიელ **სტანისლას ვავრინკას** შეხვდება.

ბოლოს ელიზაბეტ II უიმბლდონს 1977 წელს სტუმრობდა. მაშინ მან ქალთა ტურნირის გამარჯვებულისთვის განკუთვნილი თასი **ვირჯინია უეიდს** გადასცა.



თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge